წიგნში სრულად ქვეყნდება სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში (ქვემო ქართლი), დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. განთიადთან შესწავლილი ადრექრისტიანული პერიოდის საეკლესიო კომპლექსი და სამარხები; აქ აღმოჩენილი ქვის მრავალრიცხოვანი რელიეფები, წარწერები და სამარხებიდან მომდინარე მასალა.

ნაშრომი განკუთვნილია არქეოლოგების, ხელოვნებათმცოდნეების და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

The book is a thorough publication of the Early Christian period Nagzauri church complex uncovered at Gantiadi village of Dmanisi mynicipality in the south-east province of Georgia, historical Kvemo (Lower) Kartli.

The text deals with the complex itself, burials revealed in its closest vicinity and an abundant quantity of artefacts including a large number of stone relieves, inscribed pieces and grave goods.

The book is designed for archaeologists, art critics and wider public interested in Georgia's Medieval period history.

ISBN 978-9941-436-45-1

ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან

კ. კახიანი, გ. ჭანიშვილი, ჯ. კოპალიანი, კ. მაჩაბელი,
ზ. ალექსიძე, ე. ღლიღვაშვილი, ნ. პატარიძე

ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან

K. KAKHIANI, G. CHANISHVILI,
J. KOPALIANI, K. MACHABELI,
Z. ALEKSIDZE, E. GHLIGHVASHVILI,
N. PATARIDZE



THE EARLY CHRISTIAN PERIOD CHURCH COMPLEX FROM DMANISI

GEORGIAN NATIONAL MUSEUM
OTAR LORDKIPANIDZE CENTRE OF ARCHAEOLOGY

K. Kakhiani, G. Chanishvili, J. Kopaliani, K. Machabeli,
Z. Aleksidze, E. Ghlighvashvili, N. Pataridze

THE EARLY CHRISTIAN PERIOD CHURCH COMPLEX FROM DMANISI



Tbilisi
2012

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი

კ. კახიანი, გ. ჭანიშვილი, ჯ. კოპალიანი, კ. მაჩაბელი,
ზ. ალექსიძე, ე. ღლიღვაშვილი, ნ. პატარიძე

ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან



თბილისი
2012

რედაქტორი: – **გელა გამყრელიძე**, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები: – **დავით მინდორაშვილი**, ისტორიულ მეცნიერებთა დოქტორი
– **გიორგი გაგოშიძე**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

თარგმანი – **მარინე კაპანაძე**

დიზაინი და დაკაბადონება: **გიორგი ბაგრატიონი**

გამოყენებული ფოტოები: **გიორგი გიორგობიანი, ედუარდ გიგილაშვილი, ლევან ქობალია, გიორგი ჭანიშვილი, აკაკი დაუთაშვილი**

სქემები და ნახაზები:
გეოდეზისტი **ნოდარ ქვრივიშვილი**, არქიტექტორი **ნემო ჩიკაშუა**
მხატვრები: **გრიგოლ კვატაშიძე, ავთანდილ ნარსავიძე, ელეონორა სახვაძე**

An Editor – **Gela Gamkrelidze** Doctor of History
Reviewers – **Davit Mindorashvili** Doctor of History
– **Giorgi Gagoshidze** Doctor of Arts
English interpretation - **Marine Kapanadze**

Design and layout by **Giorgi Bagrationi**
Photos: **Giorgi Giorgobiani, Eduard Gigilashvili, Levan Kobalia, Giorgi Chanishvili, Akaki Dautashvili**

Schemes and draughts:
A land-survivor - **Nodar Kvrivishvili**, an architect - **Nemo Chikashua**
Draughtsman/woman: **Grigol Kvatashidze, Avtandil Narsavidze, Eleonora Saxvadze**

წიგნის გამოცემა დაფინანსებულია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის მიერ

Money provided for publication: The Fund for Protection and Survival of Georgia's Historical Monuments

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2012
© Georgian National Museum, 2012

გამომცემლობა „ნეკერი“, 2012
Publishing House "Nekeri", 2012

ISBN 978-9941-436-45-1

წინასიტყვაობა

ქვემო ქართლი აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი პროვინციაა, განსაკუთრებით მდიდარია ისტორიული ძეგლებით დმანისის მხარე, სადაც ადამიანის განვითარების ყველა პერიოდია წარმოდგენილი. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლს წარმოადგენს სოფელ განთიადსა და სოფელ ტნუსს შორის, ადგილ ნაგზაურში, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის დროს მიწის სიღრმეში გამოვლენილი ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარი და საეკლესიო კომპლექსი, რომლის შესწავლაც 1998 წელს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დააფინანსა დამკვეთმა და სამუშაოების მწარმოებელმა სააქციო საზოგადოება „ეგრისმა". გათხრების დროს გამოვლენილი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური მასალა გახდა მიზეზი, რათა აქ დაწყებულიყო მრავალწლიანი საველე სამუშაოები, რომელსაც 1998, 2001-2004 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ფილიალი – დმანისის ისტორიულ-არქეოლოგიური განყოფილების მაშავერას ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია ატარებდა.

მომდევნო წლებში დროებით შეჩერდა დაწყებული სამუშაოები. 2010 წელს საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და არასამთავრობო ორგანიზაციის – „სტუდენტთა საექსპედიციო მოძრაობის" ერთობლივი სამუშაოების შედეგად მოხერხდა ნაგზაურის საეკლესიო კომპლექსის გათხრა და შესწავლა. აქ, პატარა ტერიტორიაზე აღმოჩნდა საერთო ზღუდით შემოვლებული ოთხი ნაეკლესიარი, სენაკები, სხვადასხვა ფერის ტუფის ქვაში გამოკვეთილი ქვაჯვარათა და მათი ნაწილების – ბაზების, სვეტების, კაპიტელების, ჯვრების, ქრისტეს საფლავის მოდელების 170-მდე ფრაგმენტი, რომლებზედაც ამოკვეთილია ადამიანის, ცხოველისა და ფრინველის ფიგურები. ქვაჯვარაზე და მის ფრაგმენტებზე შემორჩენილია რელიეფური და ამოღარული ქართული ასომთავრული წარწერები და მომლოცველთა მიერ შედარებით გვიან ამოკაწრული ქართული და სომხური გრაფიტოები. აქვეა გამოვლენილი ოდნავ მოგვიანო სამარხები. მათში აღმოჩენილი მასალა საშუალებას გვაძლევს მეტნაკლები სიზუსტით დავადგინოთ კომპლექსის ნგრევისა და მისი სამაროვნად გადაქცევის დრო.

ქვემო ქართლში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ადგილი, როგორიც ნაგზაურის კომპლექსია, სადაც პატარა ტერიტორიაზე ამდენი ეკლესია და ქვის რელიეფების იშვიათი ნაკეთობები იყოს აღმოჩენილი.

ვფიქრობთ, ნაგზაურის ადრე შუა საუკუნეების საეკლესიო კომპლექსის და იქ ნაპოვნი უნიკალური მასალის გამოქვეყნება კიდევ უფრო გაზრდის იმ ინტერესს, რომელიც არსებობს საზოგადოებაში და სამეცნიერო წრეებში ადრექრისტიანული ქართული კულტურის მიმართ.

ამ მიზანს ემსახურება წინამდებარე ნაშრომი, რომლის ავტორები არიან:

კახა კახიანი – ისტორიის დოქტორი; გიორგი ჭანიშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი; ჯუმბერ კოპალიანი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; კიტი მაჩაბელი – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქ-

ტორი; ზაზა ალექსიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი; ელგუჯა ღლიღვაშვილი – ისტორიის დოქტორი და ნინო პატარიძე – დოქტორანტი.

ექსპედიციის საველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ:

კახა კახიანი – ექსპედიციის ხელმძღვანელი

ჯუმბერ კოპალიანი – დმანისის ისტორიულ-არქეოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი

გიორგი ჭანიშვილი – ხელოვნებათმცოდნე

ზურაბ ცქვიტინიძე – მეცნიერ-თანამშრომელი, რაზმის ხელმძღვანელი

მეცნიერ-თანამშრომლები: ელგუჯა ღლიღვაშვილი, მზია კახიანი, ჟუჟუნა იორდანიშვილი, ირმა დემურაშვილი, ოლია მაღრაძე

ასისტენტები: ნანა რეზესიძე, დარეჯან ჩხეტიანი, ნანი ნარსავიძე, ქეთევან ჩხეტიანი

ნინო პატარიძე – 2010 წლის პროექტის მენეჯერი

ტოპოგრაფიული გეგმა შედგენილია გეოდეზისტ ნოდარ ქვრივიშვილის მიერ, საველე ნახაზები და 2005 და 2010 წლებში ჩატარებული საკონსერვაციო სამუშაოების პროექტი გაკეთებულია არქიტექტორ ნემო ჩიკაშუას, ხოლო მასალის გრაფიკული ჩანახატები გრიგოლ კვატაშიძის, ავთანდილ ნარსავიძის და ელეონორა სახვაძის მიერ. საველე და მასალის ფოტოსურათები ეკუთვნით გიორგი გიორგობიანს, ედუარდ გიგილაშვილს, ლევან ქობალიას, გიორგი ჭანიშვილს და აკაკი დაუთაშვილს, ინგლისური თარგმანი – მარინე კაპანაძეს (კ. მაჩაბლისა და ზ. ალექსიძის ტექსტების ინგლისური თარგმანი ეკუთვნით ავტორებს).

გვინდა მადლობა გადავუხადოთ ექპედიციაში მომუშავე ქ. დმანისისა და სოფ. განთიადის მაცხოვრებლებს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით საველე სამუშაოების წარმატებით დასრულებაში.

განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით გვინდა მოვიხსენიოთ სოფ. განთიადის მცხოვრები, აწ განსვენებული ლევან ციხელაშვილი, რომლის მხარდაჭერასა და გვერდში დგომას ვგრძნობდით ექსპედიციის მრავალწლიანი მუშაობის დროს.

შესავალი

ნაგზაურის საეკლესიო კომპლექსი დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. განთიადსა და ტნუსს შორის გაშლილ მინდორში მდებარეობს. აქ თბილის-დმანისის სამანქანო ტრასა მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირის აყოლებით კვეთს მინდორს და კომპლექსი ზედ გზის პირზეა განლაგებული, ზღვის დონიდან 1080 მ. გეოგრაფიული კოორდინატებია N – 41º20‘18.00‘‘, E – 44º16‘41.00‘‘. ტრასის ზევით ადრე ძველი გზა გადიოდა და ამიტომ ამ ადგილს მოსახლეობა ნაგზაურს უწოდებს.

1998 წლის შემოდგომაზე, სამანქანო გზის გაყოლებით ოპტიკურ-ბოჭკოვანი სატელეფონო კაბელის ჩასადებად გაჭრილი თხრილიდან ამოყრილ მიწაში, რამდენიმე ასეული მეტრის სიგრძეზე აღმოჩნდა ადრე შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხები. იქვე, თხრილის გარკვეულ მონაკვეთებში ნათლად შეიმჩნეოდა ნაგებობების კედლების ქვები, ხოლო მისგან აღმოსავლეთით, ასი მ-ის მოშორებით ქრისტიანული სამარხების ნაშთები. ნანახის მიხედვით აშკარად ჩანდა, რომ აქ ვრცელი დასახლება და სამაროვანი უნდა არსებულიყო.

საველე სამუშაოები დავიწყეთ დასახლების აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ნაგებობების ნაშთები და კრამიტის ნატეხები უფრო მეტი რაოდენობით იყო თავმოყრილი. წლების განმავლობაში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს, საერთო მართკუთხა ზღუდით შემოვლებულ 700 კვ. მ. ფართობზე, გამოვლინდა და შესწავლილი იქნა ოთხი დარბაზული ეკლესიისა და ორი სენაკის ნაშთი, იქვე მიმოფანტული ქვის რელიეფების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტი და თოთხმეტი სამარხი.

ნაგზაურის ეკლესიების კომპლექსი სოფ. განთიადთან

ნაგზაურის საეკლესიო კომპლექსი შემოფარგლულია კვადრატს მიახლოებული ოთხკუთხა ზღუდით (25X27მ). ზღუდის აღმოსავლეთ კედელთან თითქმის ერთ ხაზზეა ჩამწკრივებული ოთხი შვერილ-აბსიდიანი დარბაზული ეკლესიის ნანგრევი. შვერილი აბსიდები ზღუდის კედლის გარეთაა მოქცეული. პირველი ეკლესია, მოგვიანო სამხრეთი მინაშენით, გამოვლინდა კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. იგი ყველაზე დიდი ზომისაა და დანარჩენებზე ადრეულია. მომდევნო ორი ეკლესიის ნანგრევი გაითხარა იქვე სამხრეთით 4მ-ში. ერთი მათგანი, რომელსაც ჩვენ პირობითად მეორე ეკლესიას ვუწოდებთ, მესამეზე ადრეულია, რადგანაც ეს უკანასკნელი მისი დანგრევის შემდეგ, მისსავე ფუძეზეა აგებული. მეოთხე ბოლო ეკლესია გამოვლინდა სამხრეთითვე ხუთ მეტრში. იგი მესამე ეკლესიის თანადროული უნდა იყოს. ბოლო ორი ეკლესიის აგების შემდეგ მთელ კომპლექსს შემოავლეს არაწესიერი ოთხკუთხა ფორმის ზღუდე, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მორღვეულია. ზღუდის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთზე მიდგმულია ორი სათავსოს, შესაძლოა სენაკების ნაშთი. ყველა ეს ნაგებობა შემორჩენილია მხოლოდ 0,5-1,2 მ-ის სიმაღლეზე (ნახ. 1,2; ტაბ. 1$_{1,2}$).

კომპლექსის გათხრისას ეკლესიათა ინტერიერებში და მათ ირგვლივ აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ბრტყელი და ღარიანი კრამიტი, ოქროს ვარდული და სხვადასხვა ფერის ტუფის ქვისგან გამოთლილი კაპიტელების, ქვაჯვარების და ქვის რელიეფების სხვა ნიმუშთა ასსამოცდაათამდე დამტვრეული ფრაგმენტი (ნახ. 3). მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წითელი ტუფის ქვისგან გამოთლილი მთლიანი ქვასვეტი ყრმიანი ღმრთისმშობლის და სხვა ფიგურული გამოსახულებებით მის კაპიტელსა და წახნაგებზე (ნახ. 11$_{1,2}$, 12$_{1,2}$; ტაბ. 9-15). ეს რელიეფური ფრაგმენტები ადრე შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ზოგიერთ მათგანზე რამდენიმე ქართული ასომთავრული ასო-ნიშანიც არის ამოკვეთილი (ნახ. 27$_{1-7}$; ტაბ. 28$_{1-12}$).

ნახ. 1



ნახ. 2



ეკლესიები

პირველი ეკლესია ნანგრევის სახით გამოვლინდა (ზომით – 10,6X6,3 მ.) (ნახ. 2,3,4; ტაბ. 1$_{1,2}$, 2$_{1,2}$). შემორჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთისკენ ნახევარწრიულად შვერილი აბსიდა ერთი მეტრის სიმაღლეზე და სამხრეთი ფასადის იმავე სიმაღლის აღმოსავლეთი ნაწიბური. დანარჩენ პერიმეტრზე მხოლოდ მძლავრი ცოკოლი იკითხება, რომელიც კედლიდან 0,2 მ-ით იყო გამოწეული. აღმოსავლეთით მიმართული ნაგებობის გრძივი ღერძი 6°-ით არის გადახრილი ჩრდილოეთით.

ეკლესია აგებულია დამუშავებულზედაპირიანი ქვიშაქვის დაკუთხული ქვებით. შესასვლელი ორია. ერთი სამხრეთი ფასადის ცენტრშია და 1,04მ. სიგანისაა, მეორე კი დასავლეთისა, ოდნავ ვიწრო – 0,92მ. შემორჩენილი კედლები 0,96 მ-ის სიგანისაა, აბსიდის კედელი კი 1 მ. ეკლესიის იატაკი ცოკოლზე 0,5 მ-ით დაბლაა გამართული (ნახ. 2,3,4; ტაბ. 2$_{1,2}$). იატაკი ორფენიანია. ქვედა მიწატკეპნილ იატაკზე მობნეული იყო დამსხვრეული, ფერშეცვლილი და დეფორმირებული კრამიტი და რკინის ლურსმნები, მის ზემოთ კი, ისევ მიწატკეპნილი, ოდნავ კირნარევი იატაკის მეორე ფენა გამოვლინდა. დუღაბის ბელტები პირდაპირ იატაკზე იყო მიმოფანტული.

ეკლესიის დარბაზი უპილასტროა. ნაგებობის გათხრისას არც თაღის ქვები და არც მისი საყრდენი კონსოლები არ აღმოჩნდა.

შვერილი, ნახევარწრიული აბსიდი შიდა მხრიდან ოდნავ ნალისებრია. საკურთხეველი ერთი საფეხურით არის აწეული და აქვს განიერი მხრები — 0,51 მ. ასეთივე სიგანისაა აფსიდის გარეთა მხრებიც. საკურთხევლის ცენტრში – კედელთან, ქვის წყობით ამოყვანილი, ნახევარწრიული ტრაპეზის ნაშთი გამოვლინდა. საკურთხეველი დარბაზისგან გამიჯნული ყოფილა დაბალი კანკელით, რომლის მხოლოდ სამი დაკუთხული ქვა შემორჩა. კანკელის საფუძველში დაუტანებიათ სხვადასხვა ქვაჯვარის ჯვრის მკლავის ნაწილები, რაც კანკელის გვიან გამართვაზე მიუთითებს. სარკმლები, მათი კონსტრუქციული დეტალები და ლავგარდნის ქვები არ შემორჩენილა.

ეკლესიის კედლების ნანგრევებში მრავლად აღმოჩნდა ადრე შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ბრტყელი გვერდებაკეცილი (ნახ. 8$_{1}$; ტაბ. 6$_{9}$) და ღარიანი კრამიტი (ნახ. 8$_{7}$; ტაბ. 6$_{10}$). ჩრდ. კედელთან გამოვლინდა რამდენიმე ბრტყელი თიხის ფილაც – ორშვერილიანი (ნახ. 8$_{19}$; ტაბ. 6$_{12}$) და სამშვერილიანი (ნახ. 8$_{20-22}$; ტაბ. 6$_{13-16}$). ეკლესიის დარბაზში, იატაკზე, საკურთხევლის საფეხურთან აღმოჩნდა ბრინჯაოს ქინძისთავიანი ოქროს ვარდული (ნახ. 9$_{14}$; ტაბ. 8$_{1,2}$).

ეკლესიაში და მის ირგვლივ ასევე აღმოჩნდა სხვადასხვა ფერის ტუფის ქვისგან გამოთლილი ქვაჯვარების და ქვის რელიეფების დამტვრეული ფრაგმენტები. მათი დიდი ნაწილი თავმოყრილია ეკლესიის აბსიდის სამხრეთ მხარსა და ზღუდის კედელს შორის, რამდენიმე მათგანი კი ჩატანებულია ეკლესიის კანკელში (ნახ. 3).

ეკლესიას სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე მინაშენი ჰქონია. შემორჩენილია მინაშენის 2,5 მ დასავლეთი განივი კედლის თიხის ხსნარზე ნაწყობი ცოკოლის ქვების ორი რიგი და სამხრეთი გრძივი კედლის პერიმეტრზე ერთრიგად, გრძივად დალაგებული ქვები 8,5 მ-ის მანძილზე. მინაშენის სამხრეთი კედლის პერიმეტრზე, ეკლესიის შესასვლელის ღერძიდან მარჯვნივ აღმოსავლეთით, გამოვლინდა წრიული ქვის ბაზა (In situ), რაც შესაძლოა აქ მრგვალსვეტებიანი თაღედის არსებობაზე მიუთითებდეს. მინაშენის კედელი ეკლესიასთან შედარებით მომცრო და უხეშად დამუშავებული ქვებით არის ნაგები და წყობაც უარესია. იგი ეკლესიის თანადროული არ უნდა იყოს (ნახ. 2,3,4; ტაბ. 1,2).

ეკლესიის დახვეწილ პროპორციებზე მეტყველებს მისი გეგმა. იგი ოქროს კვეთის წესითაა აგებული. საპირისპირო კედლები მკაცრად პარალელურია. შვერილი აბსიდა გარედან კარგ ნახევარწრეს ქმნის. ნაგებობის ყველა კუთხე მართია (მხოლოდ ცოკოლია ცერად დაგებული, თუმცა

ნახ. 3





ეს ნაგებობის ვიზუალურ აღქმაზე გავლენას ვერ მოახდენდა). ადრე შუა საუკუნეების ხანისათვის დამახასიათებელი სრულყოფილად გათვლილი და გაწონასწორებული ხასიათი, ეკლესიის ნანგრევებშიც ნათლად ვლინდება.

ნაგებობის ადრე შუა საუკუნეებით დათარიღების სასარგებლოდ კიდევ რამდენიმე სტილისტური ნიშანი გვესახება, კერძოდ კი — განიერი კედლები, საკურთხევლის მძლავრი მხრები, პილასტრთა არარსებობა, სამხრეთი შესასვლელის ცენტრში დატანება და საოცარი მსგავსება სოფ. უკანგორის „კვრინჩხიანის“ ადრე შუა საუკუნეებით დათარიღებულ ეკლესიასთან **[ჯაფარიძე ვ., 1982, 71, ტაბ. VI].** ამ ორ ნაგებობაში მეორდება როგორც საერთო ზომები, ისე გეგმარება და კონსტრუქციული ელემენტები. ოდნავი განსხვავება მხოლოდ წყობის ხასიათში და ზოგიერთ დეტალში ვლინდება.

ადრე შუა საუკუნეებს არ გამორიცხავს ზოგი სხვა ნიშანიც, თუმცა ამგვარი ნიშნები ხანდახან მომდევნო ეპოქაშიც გვხვდება. ეს ნიშნებია: შვერილი, ნახევარწრიული აბსიდა და კედლების სპეციფიკური საფასადო წყობა – დამუშავებული, თარაზულად ნაწყობი, ოდნავ უხეშად დაკუთხული ქვები დამახასიათებელია ზურტაკეტის, თრიალეთის და ჯავახეთის გარდამავალი ხანის (VIII-IX სს.) ნაგებობებისთვისაც.

ეკლესიაში ამავე დროს შეინიშნება ერთგვარი შეუსაბამობაც ადრე შუა საუკუნეების სტილთან. ამის მაგალითია ოდნავ უარესი, გამოლესილპირიანი წყობა ინტერიერში და საკურთხევლის აბსიდის არასრული ნალისებრი ფორმა. თუმცა ეს გარემოება ზემოთ აღნიშნულ სტილისტურ ნიშანთა სიმრავლეს და მათ ერთობლიობას ვერ ჭარბობს და ამ ნაგებობის ადრე შუა საუკუნეებით დათარიღება შესაძლებლად მიგვაჩნია.

ეკლესიის თავდაპირველი გადახურვა შესაძლოა ხის ყოფილიყო, რადგანაც მრავლად აღმოჩნდა დამწვარი, დეფორმირებული კრამიტის ნატეხები და რკინის ლურსმნები (ნახ. 8₁,₁₁; ტაბ. 6₉,₂₁).

ეკლესიის თარიღის უფრო მეტად დაზუსტება შემორჩენილი კონსტრუქციული ელემენტების

ნაკლებობის გამო ძნელდება.

პირველი ეკლესიის სამხრეთით მდებარე ნაგებობას პირობითად მესამე ეკლესია ვუწოდეთ, რადგან უფრო ადრეული ნაგებობის საფუძველზეა აგებული. ამ ადრეულ ნაგებობას კი ვუწოდეთ მეორე ეკლესია. მესამე ეკლესიის გრძივი ღერძი ზუსტად აღმოსავლეთისკენ არის მიმართული. ქვედა, უფრო ადრეული მეორე ეკლესიის გრძივი ღერძი კი 4°-ით არის გადახრილი ჩრდილოეთისკენ, რითიც იმეორებს პირველი ეკლესიის დამხრობას (ნახ. 2,5; ტაბ. 3₁,₂).

მესამე ეკლესია 3 მცირე ზომის (5,8X4 მ.) შვერილაბსიდიანი დარბაზული ნაგებობა აღმოჩნდა. გამოვლინდა ნანგრევების სახით. შემორჩენილია მხოლოდ ნახევარი მეტრის სიმაღლის სამხრეთი და დასავლეთი კედლები და მათზე ოდნავ მაღალი აღმოსავლეთით შვერილი, ნახევარწრიული აბსიდის მონაკვეთი, ჩრდ. მხრის გარეშე. აბსიდის ეს ნაწილი და ეკლესიის ჩრდ. კედლის მონაკვეთი მორღვეულია ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის თხრილის გაყვანის დროს (ნახ. 2,5; ტაბ. 3₁,₂).

შემორჩენილია სამხრეთი კედლის მხოლოდ პირველი ორი რიგის, უხეშად დამუშავებული, საშუალო ზომის ფლეთილი ქვის წყობა. ანალოგიური წყობისაა დასავლეთ კედლის შემორჩენილი ქვების ორი რიგი. დასავლეთიდან ეკლესია ოდნავ შვერილ, ერთსაფეხურიან ცოკოლზე დგას, ხოლო სამხრეთი კედელი დაბჯენილია ადრინდელი ეკლესიის კედლის საფუძველზე, რომელიც მისთვის ერთგვარი პლატფორმის მოვალეობას ასრულებს. აბსიდის მომრგვალებისათვის გამოყენებულია ოდნავ დიდი ზომის ქვები. ქვების საფასადო მხარე ოდნავ მოსწორებულია. კედლების კუთხეებში მართკუთხა მოზრდილი ქვებია ჩატანებული. აბსიდის სამხრეთი გარეთა მხარი 0,2

ნახ. 5



მ-ით არის გამოწეული. აქ ჩატანებულია მძლავრი, მართკუთხა კვადრი. კედლები თიხის ხსნარზეა ნაშენი, ნაკერებში წვრილი ქვაა ჩატანებული. წყობის რიგობითობა დაცულია.

ეკლესიის ინტერიერის კედლების წყობაც ფასადების მსგავსია, ოღონდ კიდევ უფრო უხეში. ქვებსშორისი არე თიხითაა ამოლესილი. კედლების სისქე 0,8 მ-ია. საკურთხეველი ეკლესიის დარბაზიდან 18 სმ-იანი მხრით არის გამოყოფილი. შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთი მხარი. ამ მხართან კანკელის ქვებია ჩაწყობილი. პირველი ქვა წითელი ფერის ტუფისგან გამოთლილი ქვასვეტის ფრაგმენტია. (ნახ. 12$_3$; ტაბ. 16$_4$). იგი წარმოადგენს ქვასვეტის ტანის წაგრძელებულ მონაკვეთს, რომელსაც ოთხივე გვერდზე გლუვი ლილვები აუყვება. განივკვეთში ლილვები ჯვრის ფორმას ქმნიან. კანკელის მომდევნო ქვაც შესაძლოა ქვაჯვარის ფრაგმენტი იყოს (ნახ. 22$_7$; ტაბ. 24$_7$). იგი წითელი ტუფის გვერდებჩათლილი კვადრია. მესამე, უკანასკნელი კი – დიდი ზომის სიპი ქვაა. კანკელის ჩრდილოეთი ნაწილი მონგრეულია.

ეკლესიის სამხრეთ და დასავლეთ კედლებში შესასვლელი არ არის დატანებული და, როგორც ჩანს, ნაგებობას შესასვლელი ჩრდილოეთიდან უნდა ჰქონოდა (ჩრდ. კედელი მთლიანად მოირღვა კაბელის თხრილის გაჭრის დროს). ჩრდილოეთიდან შესასვლელის დატანება იშვიათად გვხვდება დარბაზულ ეკლესიებში და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას ნაგებობის ადგილმდებარეობა მოითხოვს. ამ შემთხვევაშიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩრდილოეთი შესასვლელით ეს მცირე სამლოცველო მოხერხებულად უკავშირდებოდა პირველი ეკლესიის სამხრეთ კარიბჭეს.

№3 ეკლესიის იატაკის ოდნავ კირნარევი, თიხატკეპნილი ფენა ფრაგმენტულად გამოვლინდა სამხრეთ კედელთან და კანკელის ქვების წინ. ამ ფენაზე უწესრიგოდ ელაგა ზემოდან ჩამოცვენილი კრამიტის ნამტვრევები. საკურთხევლის იატაკი უფრო მაღლა დაფიქსირდა. როგორც ჩანს, კანკელის წინ, შუაში ორი საფეხური იყო მოწყობილი. კანკელის მიმდებარე მონაკვეთში საკურთხევლის იატაკი ბრტყელი ქვებით იყო მოკირწყლული. ნანგრევებში არ გამოვლინდა არც კამარის და არც მისი საბჯენი თაღის ქვები და არც სხვა კონსტრუქციული დეტალები.

მეორე ეკლესია უფრო დიდი ყოფილა მესამე ეკლესიაზე. ისიც შვერილაბსიდიანი, დარბაზული ნაგებობა აღმოჩნდა. თავდაპირველად მისი სამხრეთი კედელი და აბსიდის მომრგვალება მესამე ეკლესიის პლატფორმა გვეგონა. ორივე ნაგებობის სრული გათხრის შემდეგ კი დადგინდა, რომ ზედა ეკლესიის სამხრეთი კედელი დადგმულია ქვედა ეკლესიის სამხრეთი კედლის ჩრდ. წიბოზე, ხოლო ზედა ეკლესიის აბსიდის მომრგვალება თითქმის პირდაპირ ზედ ადგას ქვედა ეკლესიის აბსიდას. ქვედა ეკლესია უფრო გრძელია (7,65X4,6 მ.). მისი დასავლეთი კედელი ზედა ეკლესიის დასავლეთ კედლიდან 1 მ-ის მოშორებითაა, ჩრდილოეთი კედელი კი ზედა ეკლესიის ჩრდ. კედლის მსგავსად არ შემორჩენილა, რადგან მეორე ეკლესიის ჩრდ. კედელიც მთლიანად მოირღვა კაბელის თხრილის გაჭრის დროს (ნახ. 2,5; ტაბ. 3$_{1,2}$).

ქვედა ეკლესია უფრო მკვიდრად ყოფილა აგებული. კედლების სისქე 0,8 მ-ია. შემორჩა მხოლოდ კედლების საფუძვლები, სამხრეთ-დასავლეთ კუთხის და აბსიდის გარეთა სამხრეთი მხრის კვადრები და აბსიდისვე მომრგვალების ქვედა ორი რიგი. სამხრეთ-დასავლეთი კუთხის ქვა და დასავლეთი კედელი პირდაპირ მოსწორებულ თიხატკეპნილზეა დაწყობილი, ხოლო სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი მონაკვეთი აბსიდთან 0,3 მ-იან, ჭყორდულაბიან მომზადებაზეა დაფუძნებული. აბსიდის ქვების ფორმა ზედა ეკლესიის აბსიდის ქვებზე უკეთაა შერჩეული და წყობაც უფრო მკვიდრია.

ეკლესიის კუთხეებსა და აბსიდში გაჭრილი შურფებით დადგინდა, რომ ქვედა ეკლესიის დანგრევის შემდეგ საფუძვლები ერთ დონეზე მოუსწორებიათ და მისი იატაკის ნიშნულზე დაუფუძნებიათ ზედა ეკლესია. ამგვარად, ქვედა ეკლესიის საფუძვლები ზედა, მესამე ეკლესიის პლატფორმად ყოფილა გამოყენებული. –0,72 მ. ნიშნულზე კი იმ ადგილას, სადაც აბსიდის გარეთა ჩრდილო



მხარი უნდა ყოფილიყო, გამოვლინდა ამ მხრის საყრდენი 0,3 მ-იანი კირის ჭყორდუღაბიანი საფუძველი. თვით მხარი კი, როგორც ჩანს, კაბელის თხრილის გაყვანის დროს მონგრეულა.

მეოთხე ეკლესიაც შვერილაბსიდიანი, დარბაზული ნაგებობა აღმოჩნდა, ოდნავ გრძელი მესამე ეკლესიაზე (6,2 X 4,3 მ.). მისი დამხრობაც მესამე ეკლესიის მსგავსია და ზუსტად აღმოსავლეთით არის მიმართული. ისიც თითქმის მიწის პირამდეა მონგრეული. შემორჩა 0,5-0,8 მ-ის სიმაღლეზე (ნახ. 2,6; ტაბ. 4₁₋₃).

კედლები საკმაოდ განიერი აქვს. დასავლეთი კედელი 1 მ-ის სიგანისაა, დანარჩენები – 0,9-0,92 მ. მისი ყველა კედელი ძლიერ არის დეფორმირებული. აბსიდის მომრგვალება გადახრილია აღმოსავლეთისკენ. ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები კი – ფასადებისკენ. დაცურებულია ჩრდ.-დასავლეთ და სამხრ.-დასავლეთი კუთხის მასიური კვადრები, მორყეულია შემორჩენილი კედლების ზედაპირი. კედლების წყობა აქაც თიხის ხსნარზეა აგებული. ფასადებზე პირმოსწორებული ფლეთილი ქვებია, ხოლო კუთხეებში – მოზრდილი, მართკუთხა კვადრები. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. შესასვლელში, ძირში ზღურბლის დიდი ფილა დევს. აბსიდის მომრგვალების გარეთა მხრები საკმაოდ მძლავრია და ასეთივეა შიდა მხრებიც. საკურთხევლის იატაკის დონე აქაც მაღალია დარბაზთან შედარებით. ცენტრში ქვის 15-16სმ-იანი ორი საფეხურია მოწყობილი (სავარაუდოდ ასეთივე საფეხურები უნდა ჰქონოდა მესამე ეკლესიის საკურთხეველსაც). დარბაზისაგან საკურთხეველი სამხრეთ ნაწილში გამოყოფილია ქვის დაბალი კანკელით. შემორჩენილია კანკელის 0,4 მ.

სიმაღლის ერთი ქვა. საკურთხევლის ჩრდ. მხართან კი იატაკზე მოწყობილია მშრალად, ერთრიგად ნაწყობი ქვების მართკუთხა სტრუქტურა (0,5X0,55 მ.). იატაკი თიხატკეპნილია, ოდნავ კირნარევი, რომელზეც დიდი რაოდენობით გამოვლინდა ჩამოცვენილი ბრტყელი გვერდებაკეცილი და რამდენიმე ღარიანი კრამიტის ფრაგმენტები (ტაბ. 4₂).

ეკლესიაში მიწის თანამედროვე ზედაპირიდან დაწყებული სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა უსისტემოდ ჩაყრილი ქვის რელიეფები და მათი ნამტვრევები. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია წითელი ტუფის ქვასვეტი ტახტზე დაბრძანებული ყრმიანი ღმრთისმშობლის გამოსახულებით და თანადროული რელიეფური ასომთავრული წარწერით. ქვასვეტი აღმოჩნდა დარბაზში, მისი ჩრდილოეთი კედელის პარალელურად დადებული, თიხატკეპნილი იატაკიდან 0,15 მ. სიმაღლეზე. ის იატაკზე დაფიქსირებულ კრამიტებზე მაღლა მდებარეობდა და იატაკიდან გამოყოფილი იყო კრამიტნარევი მიწის ფენით. იქვე, მის გვერდზე, იმავე დონეზე, დარბაზის შუაში იდო ორად გატეხილი ლილვებიანი ქვასვეტი (ნახ. 3; ტაბ. 4₁).

არც ამ ეკლესიის ნანგრევებში გამოვლინდა კამარის და მისი საბჯენი თაღის ქვები და ძნელი სათქმელია ჰქონდა თუ არა მას საერთოდ ქვის კამარა. სამშენებლო ხასიათით, კედლების წყობით და ზომით ეს ეკლესია მესამე ეკლესიის მსგავსია და მისი თანადროული ჩანს. ეკლესიის კედლები პირდაპირ თიხატკეპნილ, მოსწორებულ ზედაპირზეა აგებული. მხოლოდ ჩრდილოეთ მხრიდან აქვს ორ რიგად შემოლაგებული ქვები. მეოთხე ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან გამოვლინდა მესამე ეკლესიისკენ მიმართული, დამუშავებული ქვის წყობის ორი რიგი, რომელიც შეიძლება მოკირწყლული ბილიკის ნაშთი იყოს (ნახ. 2).

კომპლექსის ზღუდე

კომპლექსის ეზო შემოფარგლულია ოთხკუთხა არაწესიერი ფორმის ზღუდით (25X27მ.). ზღუდის აღმოსავლეთ კედლის პერიმეტრში ეკლესიებია შეჭრილი შვერილი აბსიდებით, დანარჩენი კედლები კი უწყვეტად შემოზღუდავდა ტერიტორიას (ნახ 2; ტაბ. 1₁,₂).
ზღუდის კედლები სხვადასხვა სიმაღლეზეა შემორჩენილი. ყველაზე მაღალი ერთ მეტრამდე აღწევს. ზღუდის კედლები აგებულია თიხაზე ნაწყობ სხვადასხვა ზომის და ფორმის დაუმუშავებელი ფლეთილი ქვით. განსხვავებულია კედლების სიგანეც ზღუდის სხვადასხვა მონაკვეთში (0,7-1 მ.). პირველი და მესამე ეკლესიების დამაკავშირებელი კედელი განიერია (1 მ.) და წყობაში გამოყენებულია მოზრდილი ქვებიც. მესამე და მეოთხე ეკლესიების დამაკავშირებელი ზღუდის კედელი კი ვიწროა (0,7 მ.) და მთლიანად წვრილი ქვით არის ნაშენი. იგი დაზიანებულია და ოდნავ გადახრილია აღმოსავლეთისაკენ. ზღუდის სამხრეთი, 25მ. სიგრძის და 0.9მ. სიგანის კედლის ზედა ნაწილი თითქმის მთლიანად მონგრეულა სამანქანო ტრასის გაყვანისას. თუმცა ამ დაზიანებულ ზღუდეში, მეოთხე ეკლესიის დასავლეთ კედლის პირით ხაზზე, შემორჩენილია ერთი მეტრის სიგანის შესასვლელი. ზღუდის სამხრეთი კედლის ბოლოს გამოვლინდა კუთხის მასიური ქვა, სადაც მას ებმის გალავნის დასავლეთი კედელი. 0,3-0,6 მ. სიმაღლეზე შემორჩენილი დასავლეთი კედელი ჩრდილოეთისკენ გრძელდება მხოლოდ 17 მ-ის სიგრძეზე და შემდეგ მორღვეულია. მოშლილია ასევე ზღუდის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. ზღუდის ჩრდილოეთი განიერი კედელი (1 მ.) კი ეკვრის პირველი ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეს. სავარაუდოდ ეზოში შესასვლელი აქ უნდა ყოფილიყო, ზღუდის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ მონაკვეთზე.

ზღუდის დასავლეთი კედლის სამხრეთ მონაკვეთში შიდა (აღმოსავლეთ) მხარეს გამოვლინდა ორი სათავსო, სავარაუდოდ სამონასტრო სენაკები (ნახ. 2; ტაბ. 5$_{1,2}$). როგორც ზღუდის, ასევე სათავსოების კედლების საფასადო მხარე ფლეთილი, ნარჩევი ქვის წყობით არის აყვანილი თიხის ხსნარზე, მათ შორის სივრცე კი წვრილი ქვითა და ზოგიერთ შემთხვევაში კრამიტის ნატეხებით არის შევსებული. ზღუდეზე მიდგმულ სათავსოთა შიდა ზომებია: სამხრეთი სათავსო – 3,4X2,4 მ. ჩრდილოეთი სათავსო – 1,9X3,6 მ. სათავსოთა იატაკი თიხატკეპნილია. ჩრდილო სათავსოს შუა ნაწილში დაფიქსირდა ნაცროვან-ნახშიროვანი 3-4 სმ. სისქის ფენა, რომელიც, როგორც ჩანს, კერას წარმოადგენდა (ტაბ. 5$_2$). ჩრდილოეთი სათავსოს აღმოსავლეთი კედელი და შესასვლელი მოშლილია აქ მოგვიანებით გამართული სამარხების მიერ, სამხრეთისა კი, ნაწილობრივ არის შემორჩენილი.

იქვე, ზღუდის დასავლეთ მხარეს, კომპლექსს გარეთ, თორმეტიოდე მეტრის სიგრძეზე, მიწის სიღრმეში დაფიქსირდა მსხვილი ქვები, რაც შეიძლება ზღუდეზე დასავლეთი მხრიდან მიდგმული ნაგებობების ნაშთი იყოს. თუ რა ფუნქციური დანიშნულება უნდა ჰქონოდა ამ უკანასკნელს და იყო თუ არა კიდევ სხვა ნაგებობები ზღუდის დასავლეთით ან მის ირგვლივ, ამას ალბათ მომავალი გათხრები გვიჩვენებს.

სამარხები

საველე სამუშაოების დროს ნაგზაურის საეკლესიო კომპლექსის ტერიტორიაზე გამოვლინდა 20-მდე ქვაყრილი, რომლებიც ძირითადად ბრტყელი ქვის ფილებისაგან შედგებოდა. ისინი, როგორც წესი, დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთი მიმართულებით. ყოველივე ამან გვაფიქრებინა, რომ ეს ქვები სამარხების გადასახური ფილები უნდა ყოფილიყო. აღნიშნულ ადგილზე შესწავლილ იქნა 14 სამარხი (ნახ. 2,7; ტაბ. 1,7).

სამარხი №1 აღმოჩნდა პირველი ეკლესიის სამხრეთ მინაშენში (ნახ. 2). წარმოადგენს ქვის სამარხს, რომელიც გადახურული იყო სხვადასხვა ზომის ოთხი ქვით. სამარხი შედგენილია ექვსი უფორმო ქვისაგან. გრძივ კედლებად გამოყენებულია ორ-ორი, ხოლო განივ კედლებად თითო-თითო ქვა. სამარხის შიდა ზომებია: სიგრძე – 0,9 მ, სიგანე – 0,25 მ, სიღრმე – 0,2 მ. დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. სამარხში დაკრძალული აღმოჩნდა მცირეწლოვანი ბავშვი. ძვლები ცუდადაა დაცული. შემორჩენილია თავის ქალის, მენჯის და ქვედა კიდურების ნაშთები. უინვენტაროა.

სამარხი №2 (ნახ. 2,7$_1$; ტაბ. 7$_{1,2}$) მდებარეობს №3 სამარხის ჩრდილოეთით, 0,6 მ-ის დაშორებით. წარმოადგენს ხუთი სქელი ფილაქვითა და რამდენიმე წვრილი ქვით გადახურულ ქვის სამარხს. დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, სამარხის სამხრეთი და ჩრდილოეთი გრძივი კედლები შედგენილია ოთხ-ოთხი ქვით. სამარხის შიდა ზომებია: სიგრძე 1,82 მ. თავსა და ბოლოში სიგანე 0,3 მ-ია. სამხრეთი კედელი შუა ნაწილში დაწეულია და გადახრილია სამხრეთისაკენ. სამარხს დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეს ქვები არა აქვს. აქ სამარხის კედლად მიწაა გამოყენებული. სამარხის სიღრმე 0,2 მ-ია. დაკრძალულია 14-25 წლის ქალი[1]. მარცხენა გვერდზე, მოხრილი ქვედა კიდურებით, თავით დასავლეთისაკენ. მარცხენა ხელის მტევანი სახესთან აქვს

1 №№1-10 სამარხების მიცვალებულების სქესი და ასაკი განსაზღვრულია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის გამგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ლ. ბითაძის მიერ, ხოლო №№11-13 სამარხების – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ანთროპოლოგის, მაკა ჭკადუას მიერ.

მიტანილი, მარჯვენა ხელი კი მოხრილია და მარცხენა ხელთან, მუცელზე აქვს დადებული. მიცვალებულს მარცხენა ხელის მაჯაზე გაკეთებული ჰქონდა რკინის სამაჯური (ნახ. 10$_1$; ტაბ 8$_7$), ხოლო მარჯვენა ხელის თითებზე სამი ბეჭედი: ვერცხლის, ბრინჯაოსი და მინის (ნახ. 10$_{2-4}$; ტაბ 8$_{5,6}$). სამარხის ქვეშ აღმოჩნდა №6 სამარხი.

სამარხი №3 (ნახ. 2,7$_2$) აღმოჩნდა მეოთხე ეკლესიის ჩრდილოეთ კედელთან. წარმოადგენს ორი ფილით გადახურულ ქვის სამარხს. სამარხი შედგენილია სხვადასხვა ზომის ბაზალტისა და ტუფის ქვებისაგან. მისი შიდა ზომებია: სიგრძე 1,15 მ, სიგანე – 0,37 მ, სიღრმე – 0,23 მ. სამარხის სამხრეთი და ჩრდილოეთი გრძივი კედლები შედგენილია სამ-სამი, ხოლო დასავლეთი და აღმოსავლეთი განივი კედლები – თითო-თითო ქვით. სამარხში დაკრძალულია 5-6 წლის ბავშვი გაშოტილ მდგომარეობაში, ქრისტიანულად, თავით დასავლეთით. მიცვალებულს ხელები მუცელზე აქვს დაწყობილი. უინვენტაროა.

სამარხი №4 (ნახ. 2) აღმოჩნდა მეოთხე ეკლესიის გარეთ, სამხრეთ-დასავლეთი კედლის კუთხესთან, მისგან 1 მ-ის დაშორებით. წარმოადგენს მცირე ზომის შვიდი ფილით გადახურულ ქვის სამარხს. ჩრდილოეთ და სამხრეთ გრძივ კედლებად გამოყენებულია სამ-სამი, ხოლო აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებად – თითო-თითო ქვა. სამარხის შიდა ზომებია: სიგრძე 0,9 მ, სიგანე – 0,2 მ, სიღრმე – 0,2 მ. დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. დაკრძალულია მცირეწლოვანი ბავშვი ქრისტიანული წესით, თავით დასავლეთით. ძვლები დაშლილია და ნაშთის სახითაა შემორჩენილი. უინვენტაროა.

სამარხი №5 (ნახ. 2) აღმოჩნდა პირველი ეკლესიის სამხრეთით არსებული მინაშენის შიგნით, №1 სამარხის ჩრდილო-დასავლეთით. წარმოადგენს მცირე ზომის ოთხი ფილით გადახურულ ორმოსამარხს. დაკრძალულია ჩვილი. ჩონჩხი დაშლილია. დაკრძალვის პოზა არ ირკვევა. უინვენტაროა.

სამარხი №6 (ნახ. 2,7$_3$; ტაბ. 7$_3$) აღმოჩნდა №2 სამარხის ქვეშ. ორმოსამარხია. გადახურულია სამი ფილით. სამარხის ორმო კუთხეებმომრგვალებულია და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ თანდათანობით ვიწროვდება. მისი სიგრძე 2,1 მ-ია, სიგანე თავთან – 0,7 მ, ტერფთან – 0,4 მ. სიღრმე – 0,55 მ. დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებული, 30-35 წლის მამაკაცი დაკრძალულია გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ, მარცხენა ხელი მუცელზე აქვს დადებული. მარჯვენა მოხრილია და მიტანილი აქვს სახის წინ. უინვენტაროა. სამარხის გადასახურავი ფილები №2 სამარხის ძირიდან მდებარეობდა 0,3 მ სიღრმეზე.

სამარხი №7 (ნახ. 2,7$_{4,5}$; ტაბ. 7$_5$) აღმოჩნდა №8 სამარხის დასავლეთით, 0,1 მ-ის დაშორებით. წარმოადგენს ტუფის სამი ფილაქვით გადახურულ ქვის სამარხს. შედგენილია ექვსი ფილაქვისაგან. ჩრდილო და სამხრეთ კედლებად ორ-ორი ფილაქვაა გამოყენებული, ხოლო დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებად – თითო-თითო. კუთხეებსა და გვერდებში ღრიჭოების შესავსებად რამდენიმე წვრილი ქვაა ჩასმული. სამარხი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ თანდათანობით ვიწროვდება. მისი შიდა ზომებია: სიგრძე 1,65 მ, სიგანე დასავლეთ კედელთან 0,45 მ, აღმოსავლეთ კედელთან – 0,3 მ, სიღრმე – 0,4 მ. სამარხი, როგორც ჩანს, რამდენიმეჯერაა გამოყენებული. ბოლო მიცვალებული 5-6 წლის მოზარდია. დაკრძალულია სამარხის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. ხელები მუცელზე აქვს დაწყობილი. ჩონჩხის საერთო სიგრძე 0,95 მ-ია. მიცვალებულის თავის ქვეშ აღმოჩნდა: ბრინჯაოს მცირე ზომის რგოლი და ყუნწიანი საკიდი (ნახ. 10$_{5,6}$; ტაბ. 8$_3$). ადრე დაკრძალული მიცვალებულების ჩონჩხის ძვლები სამარხის აღმოსავლეთ ნაწილშია მიყრილი, ხოლო ნაწილი – სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარესაა ამოყრილი და გაფანტული. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, მიყრილ ძვლებში გამოიყო 35-40 წლის ორი მამაკაცის ძვლები. სამარხის გარეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ამოყრილ ძვლებში გამოირჩა ქალის და

Obr. 7



ბავშვის (ჩვილის) ძვლების ფრაგმენტები. გარდა ამისა, სამარხიდან ამოყრილი ადამიანის ძვლების სიახლოვეს კიდევ აღმოჩნდა ერთ ადგილს თავმოყრილი და არეული ადამიანის ორი თავის ქალა და ძვლები. აქვე, მის სამხრეთით დაფიქსირდა ბრინჯაოს სფერულთავიანი საკინძი და ბრინჯაოსავე ნაკლული, დეფორმირებული ღერაკი – სამაჯური? (ნახ. 10[9,10]) .

სამარხი №8 (ნახ. 2,7[6-8]; ტაბ. 7[6,7]) აღმოჩნდა №7 სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 0,1 მ-ის დაშორებით. წარმოადგენს ქვის სამარხს, რომელიც გადახურულია სამი დიდი ზომის და რამდენიმე წვრილი ბაზალტის ქვით. დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. სამარხის სამხრეთი და ჩრდილოეთი გრძივი კედლები შედგენილია ერთმანეთთან ცუდადმორგებული სამ-სამი ბაზალტის ქვით, დასავლეთ და აღმოსავლეთ განივ კედლებად გამოყენებულია თითო-თითო, შედარებით თხელი, ასეთივე ქვა. მისი შიდა ზომებია: სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,55 მ, სიღრმე – 0,35 მ. სამარხში დაკრძალული აღმოჩნდა ორი ინდივიდი. ქვედა მიცვალებული თავდაპირველად დაკრძალული უნდა ყოფილიყო გულაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. მას ხელები ჩამოშვებული უნდა ჰქონოდა. ამჟამად მიცვალებულის ჩონჩხის ნაწილი ზედა მიცვალებულის დაკრძალვის დროს დაძრულია თავდაპირველი მდგომარეობიდან. თავის ქალა ამობრუნებულია და ჩრდილო-დასავლეთ კედელთანაა დადებული. ქვედა ყბა მიცვალებულის გულმკერდზე დევს. მიცვალებულს აკლია ქვედა კიდურის ტერფის ძვლები და თითები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩონჩხის ძვლების ნაწილი თავდაპირველი მდგომარეობიდან დაძვრის შემდეგ ხელოვნურადაა დაწყობილი. შემორჩენილი ჩონჩხის სიგრძე 1,6 მ-ია. №1 მიცვალებული 45-50 წლის მამაკაცია. ზედა მიცვალებული დაკრძალულია ქვედა, №1 მიცვალებულზე. №2 მიცვალებული წევს მარცხენა გვერდზე, მოხრილი ზედა და ქვედა კიდურებით, თავით დასავლეთისაკენ. მისი სიგრძე მოხრილ მდგომარეობაში 1,5 მ-ია. ის 25-30 წლის ქალია. ორივე მიცვალებული უინვენტაროა.

სამარხი №9 (ნახ. 2,7[9]; ტაბ. 7[4]) აღმოჩნდა №8 სამარხის გვერდით. მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 0,7 მ დაშორებით. წარმოადგენს ორმოსამარხს, რომელსაც არ ჰქონდა გადასახურავი ქვები. დაკრძალულია მოზარდი გულაღმა, თავით დასავლეთისაკენ. მიცვალებულს ხელები მუცელზე აქვს დაწყობილი. ჩონჩხის სიგრძე 1 მ-ია. უინვენტაროა.

სამარხი №10 აღმოჩნდა №7 სამარხის ჩრდილო-დასავლეთით, 0,5 მ-ის დაშორებით. წარმოადგენს დაზიანებულ ქვის სამარხს. დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. გადახურვა არ შემორჩენილა. დაზიანებულია ჩრდილოეთი კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. სამარხის სამხრეთი გრძივი კედელი შედგენილია სამი, ხოლო დასავლეთი და აღმოსავლეთი განივი კედლები თითო-თითო ქვით. მისი შიდა ზომებია: სიგრძე – 1,1 მ, სიგანე – 0,3 მ. ჩონჩხის ძვლები არეულია, დაკრძალვის პოზა არ ირკვევა. შემორჩენილი ძვლების მიხედვით სამარხში მცირეწლოვანი ბავშვია დაკრძალული. უინვენტაროა.

სამარხი №11 (ნახ. 2,7[10,11]; ტაბ. 7[8]) აღმოჩნდა №10 სამარხის ჩრდილო-დასავლეთით, 0,7მ-ის დაშორებით. ქვის სამარხია. გადახურულია სხვადასხვა ფორმის და ზომის 6 ქვის ფილით. დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. სამარხის კედლები შედგენილია ცუდად დამუშავებული ქვებით. სამხრეთი გრძივი კედელი შედგება 3, ჩრდილოეთი – 4 ქვისაგან. დასავლეთ კედლად გამოყენებულია 2, ხოლო აღმოსავლეთ კედლად – 1 ქვა. სამარხი დასავლეთ ნაწილში განიერია და აღმოსავლეთისაკენ თანდათან ვიწროვდება. სამარხის შიდა ზომებია: სიგრძე – 1,37 მ, სიგანე დასავლეთ კედელთან – 0,4 მ, აღმოსავლეთ კედელთან – 0,2 მ, სიღრმე – 0,2 მ. სამარხში დაკრძალულია 10 წლის ბავშვი, გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ. ხელები მუცელზე აქვს დადებული. მიცვალებულის ძვლების კამერული დამუშავების დროს გამოიყო ახალშობილის ტერფის ძვლები. უინვენტაროა.

სამარხი №12 (ნახ. 2,7[12,13]; ტაბ. 7[9]) აღმოჩნდა №11 სამარხის ჩრდილო-დასავლეთით, 1,7 მ-ის

დაშორებით. წარმოადგენს ორმოსამარხს. საერთო სიგრძე 1,05 მ-ია, სიგანე – 0,6 მ. გამართულია ჰუმუსში. გადახურულია სხვადასხვა ზომის ოთხი ფილაქვით. სამარხში ქრისტიანული წესით დაკრძალულია 4 წლის ბავშვი. მიცვალებულს ხელები მუცელზე აქვს დადებული. უინვენტაროა.

სამარხი №13 (ნახ. 2,7[14,15]; ტაბ. 7[10,11]) აღმოჩნდა №11 სამარხის დასავლეთით. გამართული იყო №1 სათავსოში. წარმოადგენს ხუთი სხვადასხვა ზომის ფილაქვით გადახურულ ქვის სამარხს. სამარხის სამხრეთი გრძივი კედელი შედგენილია 5, ხოლო ჩრდილოეთი – 6 ქვით. დასავლეთ განივ კედლად გამოყენებულია ერთი, აღმოსავლეთ კედლად – ორი ქვა. სამარხის შიდა ზომებია: სიგრძე – 2,2 მ, სიგანე შუა ნაწილში – 0,5 მ, სიღრმე – 0,3 მ. დაკრძალულია 21-27 წლის მამაკაცი, ქრისტიანულად, გაშოტილი, თავით დასავლეთით. მოხრილი მკლავები მუცელზე აქვს დალაგებული. მიცვალებულის წელის არეში აღმოჩნდა სარტყლის რკინის აბზინდა (ნახ. 10[8]; ტაბ. 8[4]), რომელზედაც ტყავის და ქსოვილის ნაშთი იყო შემორჩენილი, ხოლო მარჯვენა მხარეს, ხელის თითებთან – ვერცხლის ბეჭედი, რომელზედაც ბოლოებმომრგვალებული სვასტიკაა გამოსახული (ნახ. 10[7]; ტაბ. 8[8,9]).

სამარხი №14 (ნახ. 2) აღმოჩნდა პირველი ეკლესიის მინაშენის სამხრეთ-დასავლეთით, 2,5 მ დაშორებით. წარმოადგენს დანგრეულ ორმოსამარხს. ჩონჩხის ძვლები არეულია. შემორჩენილია მიცვალებულის მენჯის, ხერხემლისა და ნეკნების ძვლების ფრაგმენტები. დაკრძალვის პოზა არ ირკვევა. ძვლების ჩრდილო-აღმოსავლეთით დაფიქსირდა საშუალო ზომის უფორმო ქვები.

შესწავლილი სამარხებიდან 5 (№№5, 6, 9, 12, 14) ორმოსამარხი, ხოლო 9 (№№1-4, 7, 8, 10, 11, 13) ქვის სამარხია. ყველა მათგანი დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ორმოსამარხის ორმოები კუთხეებმომრგვალებული სწორკუთხედის ფორმისაა, ჩაჭრილია გრუნტში ან მასზეა გამართული. ქვის სამარხები ნაგებია სიგრძეზე, ჩადგმული, ძირითადად დაუმუშავებული სხვადასხვა ზომის ქვებით. სამხრეთი და აღმოსავლეთი განივი კედლები უმეტესად თითო-თითო ქვითაა წარმოდგენილი. ორმოსამარხები და ქვის სამარხები გადახურული იყო სხვადასხვა ზომისა და სისქის ფილებით და ქვებით. სამარხების უმრავლესობაში მიცვალებული დაკრძალულია ქრისტიანული წესით, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. მათ დიდ ნაწილს ხელები მოხრილი და დადებული აქვს მუცელზე, გარდა ერთისა, №6 სამარხის მიცვალებული დასვენებული იყო ე.წ. ვედრების პოზაში. მას მარცხენა ხელი მუცელზე ჰქონდა დადებული, ხოლო მარჯვენა – მოხრილი და სახესთან მიტანილი. ორ შემთხვევაში დაფიქსირდა წინა პერიოდისათვის დამახასიათებელი, მიცვალებულის მოხრილი კიდურებით დაკრძალვა (სამარხები: №№2, 8 ზედა). ორივე მათგანი დასვენებულია თავით დასავლეთით, მარცხენა გვერდზე, მოხრილი ქვედა და ზედა კიდურებით.

საქართველოში ქრისტიანული რელიგიის შემოსვლის შემდგომ მიცვალებულის დაკრძალვის ძირითადი პოზა გაშოტილი მდგომარეობაა. თუმც, არა იშვიათად, გვხვდება მოხრილი კიდურებით დამარხვაც. როგორც ზემოთ აღინიშნა, საეკლესიო კომპლექსის ტერიტორიაზე ორი მიცვალებული მარცხენა გვერდზე, ქვედა და ზედა კიდურებით მოხრილნი არიან დაკრძალულნი. ორივე განეკუთვნება მდედრობით სქესს. ერთი (სამ. №2) 14-25 წლის, ხოლო მეორე – 25-30 წლისაა. ქალების კიდურებმოხრილ პოზაში დაკრძალვა ჩვენს მიერ დადასტურებულია ბოლნისის რაიონის სოფ. ფოლადაურში და ადგილ ორსაყდრებში (საყდრისი) ადრე შუა საუკუნეების ორ სამარხში. ამავე პერიოდში მოხრილი კიდურებით დამარხვა დაფიქსირებულია დმანისის რაიონის სოფ. ვარდისუბნის სამარხების ნაწილში [**Джапаридзе В.В. и др., 1991, 109; Джапаридзе В.В. и др., 1997, 108**]. ურვანების [**Амиранашвили Дж., 1997, 112**], რუსთავის სამაროვნებზე [**Иващенко М., 1988, 73; ლომთათიძე გ., 1988, ტაბ. XXIV; პაჭიკაშვილი ნ., 2006, 11-14**]. დაღეთის სამაროვანზე [**მინდორაშვილი დ., 2006, 5-7**], ბოლნისში [**მურვანიძე ბ. და სხვ. 2011, 170**] ამგვარი პოზა გვხვდება იაღსარის [**Рамишвили Р., 1969, 112, 113**], ჟინვალის [**ჩიხლაძე ვ., 1990, 2**] და სხვ. ადრე შუა საუკუნეების სამარხებში მოხრილ პოზაში ქალები არიან დაკრძალული [**რამიშვილი რ., 1983, 112; ჩიხლაძე ვ. 1990, 2**].

კომპლექსის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა

სამშენებლო მასალა

კრამიტი

კრამიტი გვხვდება ორი სახის, ბრტყელი გვერდებაკეცილი და ღარისებური. ბრტყელი კრამიტი უმეტესად წვრილი ნატეხების სახით გაფანტული იყო კომპლექსის მთელ ფართობზე. შედარებით მოზრდილი ფრაგმენტები ძირითადად პირველ და მეოთხე ეკლესიასთან იყო კონცენტრირებული. აქედან პირველი ეკლესიის თავდაპირველ, ქვედა იატაკზე კრამიტის ნატეხები დეფორმირებული და გადამწვარი იყო, რაც აქ ცეცხლზე და მაღალი ტემპერატურის არსებობაზე მიუთითებდა. მეოთხე ეკლესიაში მოზრდილი ნატეხები ორ ფენად იყო იატაკზე დაყრილი.

ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტი დამზადებულია განლექილი, იშვიათად წვრილკენჭებ-მინარევიანი თიხისაგან, გამომწვარია კარგად, უმეტესად ჩალისფერია. გვხვდება მოვარდისფრო ნატეხებიც. მათი გარკვეული ნაწილი წითლადაა შეღებილი. მთელი მხოლოდ ერთი კრამიტია შე-მორჩენილი, ისიც ნახანძრალი და დეფორმირებულია. მისი სიგრძე 44 სმ-ია, უდიდესი სიგანე – 31 სმ, უმცირესი – 24 სმ, სისქე – 2 სმ, აკეცილი გვერდის სიმაღლე 5-5,5 სმ-ია, საბჯენი იღლიის, ანუ საკეტის სიგრძე – 6 სმ (ნახ. 8$_{1}$; ტაბ. 6$_{9}$). ბრტყელი კრამიტების ასეულობით ნატეხს შორის შემორჩენილია მოზრდილი ფრაგმენტებიც (ნახ. 8$_{2-6}$; ტაბ. 6$_{1-8}$), რაც სიგრძის, სიგანისა და სხვა პარამეტრების დადგენის საშუალებას იძლევა. ფრაგმენტების გაზომვის შედეგად დადგინდა, რომ ისინიც იმავე ზომის სტანდარტის ყალიბებშია დამზადებული, როგორც ზემოხსენებული კრამიტი. ბრტყელი კრამიტების აბსოლუტური უმრავლესობა სადაზედაპირიანია, მხოლოდ რამდენიმე მა-თგანზეა დატანილი, გამოწვამდე, სველ თიხაზე დაწნევის შედეგად გამოყვანილი გრძივი და წრიუ-ლი ხაზები (ნახ. 8$_{6}$). ორ ნატეხზე შემორჩენილია ქართული ასომთავრული და ნუსხური ასოები (ნახ. 8$_{17,18}$; ტაბ. 6$_{16,20}$).

ბრტყელი კრამიტები თავისი ზომებით ახლოს დგას ადრე შუა საუკუნეების: ვარდისუბნის [**ჯა-ფარიძე ვ. და სხვ., 2004, 115**], ურბნისის, ვაშნარის [**ჯღამაია ჯ., 1980, 21**], აბანოსხევისა და მატანის [**რამიშვილი ა., 2008, 57**] კრამიტებთან.

ღარიანი კრამიტის ოცამდე ფრაგმენტია გამოვლენილი. ისინი, როგორც ბრტყელი გვერდე-ბაკეცილი კრამიტები, დამზადებულია განლექილი თიხისაგან და გამომწვარია მოჩალისფროდ ან მოვარდისფროდ. მათგან ყველაზე კარგად შემონახულია პირველი ეკლესიის მინაშენში ნაპოვნი კრამიტი. ის ზედა ნაწილში ფართოა და ქვედა ნაწილისკენ თანდათანობით ვიწროვდება. ქვედა ნაწილი მოტეხილია და ნაკლული, რის გამოც მთლიანი სიგრძის დადგენა არ ხერხდება. შემორ-ჩენილი სიგრძე 34 სმ-ია, სიგანე თავთან – 20 სმ, გადანატეხთან – 13 სმ, მაქსიმალური სიმაღლე – 10 სმ-ია. კეცის სისქე – 2-2,5 სმ. კრამიტს ზემოდან, მთელ სიგრძეზე გასდევს ამოღარული, კლაკნილი ზოლი (ნახ. 8$_{7}$; ტაბ. 6$_{10}$). სხვა ფრაგმენტები უმეტესად უსახოა, მხოლოდ ორ ნატეხზე შემორჩენილია ოვალურგანივკვეთიანი საბჯენი ქიმი (ნახ. 8$_{8,10}$; ტაბ. 6$_{11}$). საეკლესიო კომპლექსში აღმოჩენილი ღარისებური კრამიტები დამზადებულია ქობუნაზე. ღარისებური კრამიტების დამ-ზადების ორი წესია ცნობილი: ქობუნაზე გადაფენით და მორგვზე. კრამიტების ქობუნაზე დამზა-დების წესი ერთ-ერთი ძველია და დადასტურებულია ეთნოგრაფიულ ყოფაშიც [**ბოჭორიშვილი ლ., 1949, 150-154**].

Նկ. 8



დეკორაციული ფილა

გათხრების დროს, კომპლექსის ტერიტორიაზე კრამიტებთან ერთად ამოდიოდა ბრტყელი, სწორკუთხედის ფორმის ფილის ფრაგმენტები, რომლებსაც ერთ მხარეს სამკუთხედისებური შვერილები ჰქონდა. სულ 80-მდე ასეთი შვერილიანი ნატეხია ნაპოვნი. ნატეხების ერთმანეთთან მისადაგების შედეგად მოხერხდა მათში ორშვერილიანისა და სამშვერილიანი ფილების გამოყოფა. ფილები, ისევე როგორც ბრტყელი კრამიტები, დამზადებულია განლექილი თიხისაგან, გამომწვარია კარგად, ჩალისფრად ან მოვარდისფროდ. ზედაპირი მოგლუვებულია, რამდენიმე მათგანზე შემორჩენილია წითლად შეღებვის კვალი.

ორშვერილიანი ფილა სადაზედაპირიანია. მისი შვერილები შედარებით ფართო და მოკლეა. სიგრძე შვერილებიანად 38 სმ-ია, სიგანე – 28 სმ, შვერილის სიგრძე – 10 სმ-ია, ფილის სისქე – 2,8 სმ (ნახ. 8$_{19}$; ტაბ. 6$_{12}$). სამშვერილიანი ფილები უფრო გრძელია. ერთ-ერთის სიგრძე შვერილებიანად 47 სმ, სიგანე – 33 სმ. შვერილის სიგრძე – 13 სმ, ფილის სისქე – 3 სმ. (ნახ.8$_{20,21}$; ტაბ. 6$_{13,14}$). სამშვერილიან ფილებში გვხვდება როგორც სადაზედაპირიანი, ასევე ორნამენტირებული. ერთ-ერთ მათგანს მთელ სიგრძეზე დაუყვება რვა განიერი, ნაჭდევ-ნაპრიალები ზოლი (ნახ. 8$_{21}$; ტაბ. 6$_{13}$). ორნამენტირებული უნდა ყოფილიყო აგრეთვე ფილების გარკვეული ნაწილიც. მოტეხილ შვერილებზე კარგად შეიმჩნევა ფართო ნაჭდევ-ნაპრიალები, კლაკნილი ზოლები, ნახევარწრეები, წრიული და ოვალური ნაჭდევები (ნახ. 8$_{12-16,21,22}$; ტაბ. 6$_{13,15-17,19}$).

ნაგზაურის მსგავსი ორშვერილიანი, სადაზედაპირიანი ფილები ნაპოვნია მცხეთა-ქალაქის ნაგებობების გათხრისას [**აფაქიძე ა. და სხვ., 1989, სურ: 325, 327**].

შვერილიანი ფილის ორი ნატეხია ნაპოვნი რუსთავში მტკვრის მარცხენა ნაპირზე გამოვლენილ ნაგებობათა ნაშთებს შორის [**ლომთათიძე გ., 1955, 206, XXIII5**]. წითლადშეღებილი სამშვერილიანი ფილების ფრაგმენტებია აღმოჩენილი რუსთავის ნაქალაქარზე, 1996-97 წლებში ადრე შესწავლილი ეკლესიიდან, 10 მ-ის დაშორებით.[2] ნეკრესის ნაქალაქარზე ჭაბუკაურის ბაზილიკასთან ნაპოვნია წითლად შეღებილი ოთხშვერილიანი ფილა, რომელსაც შვერილები თეთრი საღებავით აქვს მოხატული [**ბახტაძე ნ. და სხვ., 2010, 57, 60**].

ნაგზაურის საეკლესიო კომპლექსზე 1998 წელს აღმოჩენილი სამკუთხაშვერილიანი ფილები ჩვენ, სავარაუდოდ, ანტეფიქსად მივიჩნიეთ [**ჭანიშვილი გ. და სხვ., 1999-2001, 60**]. ასევე ანტეფიქსებადაა მიჩნეული მცხეთაში და ნეკრესში აღმოჩენილი მსგავსი თიხის ფილები.

ნაგზაურის, რუსთავისა და ნეკრესის ფილები ადრე შუა საუკუნეების ეკლესიებთან არის ნაპოვნი და ისინი მათ შესამკობად გამოიყენებოდა. სავარაუდოდ, ამავე პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს მცხეთაში აღმოჩენილი ფილებიც. მოყვანილი პარალელური მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ადრე შუა საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული იყო ორი, სამი და ოთხშვერილიანი თიხის ფილები, რომლებიც ძირითადად ეკლესიების შესამკობად გამოიყენებოდა.

ლურსმანი

ლურსმნები გამოვლინდა პირველი ეკლესიის დარბაზში, იატაკზე მიმობნეულ, ფერშეცვლილ და დეფორმირებულ კრამიტებთან ერთად. მისი კრამიტებთან აღმოჩენა აშკარად მიუთითებს, რომ ის ხის გადახურვასთან უნდა იყოს დაკავშირებული. სულ ნაპოვნია 19 რკინის ლურსმანი (ნახ. 8$_{11}$; ტაბ. 6$_{21}$). ზოგიერთი მათგანი ნაკლული და დეფორმირებულია. ლურსმნების სიგრძე 9 სმ-დან 12

2 აღნიშნული ფილების აღმოჩენასთან დაკავშირებით ინფორმაცია მოგვაწოდა რუსთავის ისტორიული მუზეუმის დირექტორმა, ისტორიის დოქტორმა, ნაზიბროლა პაჭიკაშვილმა.

სმ-მდეა, სიგანე – 6-7 მმ. თავები ჭედვის შედეგად დაბრტყელებული, ღერო ოთხწახნაგა, გრძელი და წვეტიანია. ერთი მათგანი ბრტყელია და განივკვეთში სწორკუთხედის ფორმისაა, ნაკლულია. შესაძლოა ის გამირის ფრაგმენტიც იყოს.

კერამიკა

კომპლექსის ტერიტორიაზე მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების კერამიკა. ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც საკულტო ძეგლზე მათი დიდი რაოდენობით აღმოჩენა არც იყო მოსალოდნელი, უფრო მეტიც, აქ ნაპოვნი ნატეხების ნაწილი შესაძლოა აქვე არსებული თანადროული დასახლებიდან იყოს მოხვედრილი.

ერთადერთი თიხის ჭურჭელი (ქოთანი), რომლის სრულად აღდგენა მოხერხდა, აღმოჩნდა მეოთხე ეკლესიის გარეთა აფსიდის გაწმენდის დროს. მას აქვს ბრტყელი ძირი, წაგრძელებული, სფერული ტანი, მაღალი, გადაშლილი ყელი და მომრგვალებული ბაკო. ჭურჭელს მხარზე კლაკნილი ზოლი შემოსდევს, ხოლო ტანზე ორ ზოლს შორის ჩასმული ასეთივე კლაკნილი ზოლი შემოუყვება. ჭურჭელი მორგვზეა დამზადებული და მოჩალისფრო-მოვარდისფროდაა გამომწვარი. ქოთნის სიმაღლე 20 სმ-ია, ძირის დიამეტრი – 11 სმ, პირის დიამეტრი – 14 სმ (ნახ. 9$_1$; ტაბ. 8$_{11}$).

დანარჩენი მასალა ნატეხების სახითაა წარმოდგენილი. გამოიყოფა პირ-გვერდის, ძირ-გვერდის, მაღალქუსლიანი ჭრაქის და ჭურჭლის ყურების ფრაგმენტები (ნახ. 9$_{2-12}$; ტაბ. 8$_{12-14}$). მათი უმრავლესობა დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია უმეტესად ჩალისფრად და მოვარდისფროდ. გვხვდება მოშავოდ და მორუხოდ გამომწვარი ერთეულებიც. პირ-გვერდის ფრაგმენტებში აღსანიშნავია დიდი ზომის ჭურჭლის (თაღარის?) მოზრდილი ნატეხი, რომელსაც ფართო, შეზნექილი პირი და დაკეჭნილი გვერდი აქვს (ნახ. 9$_{13}$; ტაბ. 8$_{10}$) და ყელწიბოიანი ჭურჭლის ნატეხი, რომელსაც წიბოზე ყურის ნაწილი აქვს შემორჩენილი (ნახ. 9$_7$; ტაბ. 8$_{13}$).

ვარდული

ვარდული ერთადერთი ოქროს ნივთია, რომელიც საეკლესიო კომპლექსის ტერიტორიაზეა ნაპოვნი. ის აღმოჩნდა პირველი ეკლესიის დარბაზში, იატაკზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, საკურთხევლის საფეხურთან. ვარდული შედგება სარჩულის, მასზე მირჩილული დაკეჭნილი მავთულისგან შედგენილი შვიდი ფურცლისა და წრიული თვალბუდისაგან. ვარდულს უკანა მხრიდან



მირჩილული აქვს წრიული ყუნწი, რომელშიც სპილენძის ქინძისთავია გაყრილი. ვარდულის დიამეტრი 2,5 სმ-ია (ნახ. 9$_{14}$; ტაბ. 8$_{1,2}$). ის სავარაუდოდ ტანსაცმლის მოსართავად უნდა ყოფილიყო გამიზნული. აღნიშნულ ვარდულთან ახლოს დგას რუსთავში, 1950 წელს, სენაკის იატაკის დონეზე აღმოჩენილი ექვსფურცელა „საკიდი“ [**ლომთათიძე გ., 1955. 188, 189, ტაბ. XXII$_3$**].

სამარხებში მოპოვებული მასალა

საეკლესიო კომპლექსზე შესწავლილი სამარხების უმეტესობა უინვენტაროა. მხოლოდ სამ სამარხში და №7 სამარხთან ამოყრილ ადამიანის ძვლებთან ნაპოვნია რამდენიმე ნივთი: №2 სამარხში აღმოჩნდა რკინის სამაჯური და თითო-თითო ვერცხლის, ბრინჯაოსა და მინის ბეჭედი; №7 სამარხში დაფიქსირდა ბრინჯაოს თავგახსნილი რგოლი და გრძელყუნწიანი საკიდი. აქვე, ამოყრილი ძვლების სიახლოვეს – ბრინჯაოს სფერულთავიანი საკინძი და დაზიანებული ღერაკი (სამაჯური?), ხოლო №13 სამარხში კი – რკინის აბზინდა და ვერცხლის ბეჭედი.

აღმოჩენილი ნივთებიდან აბზინდა და საკინძი დაკავშირებულია ტანსაცმელთან. დანარჩენი სამკაულთა რიგს მიეკუთვნება.

აბზინდა რკინისაა, შედგება სამი ნაწილისაგან: ორადმოკეცილი გრძელი ფურცლის, ოვალური ფორმის ბრტყელი ბალთისა და ენისაგან. ფურცლებს შორის ორგანული ნივთიერების ნაშთია შემორჩენილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასში ტყავის ქამარი უნდა ყოფილიყო დამაგრებული. ფურცლის სიგრძე 8,5 სმ, სიგანე – 2,8 სმ, ენის სიგრძე – 3 სმ-ია (ნახ. 10$_8$; ტაბ. 8$_4$).

ბრინჯაოს საკინძი სფერულთავიანია. თავს ქვემოთ ორი ამოღარული ზოლი შემოსდევს. ღერო მოკლე და წრიულგანივკვეთიანია. წვეროსკენ კონუსურად შევიწროებული, მისი სიგრძე 4 სმ-ია (ნახ. 10$_9$).

რკინის სამაჯური დამზადებულია ოვალურგანივკვეთიანი ღერაკისგან. დაზიანებულია (ნახ. 10$_1$; ტაბ. 8$_7$).

ბრინჯაოს ღერაკი ოვალურგანივკვეთიანია, ერთი ბოლო გაბრტყელებულია და მასზე ორი პარალელური ამოღარული ხაზია დატანილი. მეორე ბოლო მოტეხილი და ნაკლულია. ღერაკი სავარაუდოდ სამაჯურის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს (ნახ. 10$_{10}$).

ვერცხლის ბეჭედი. სამარხებში ორი ვერცხლის ბეჭედია აღმოჩენილი. №13 სამარხში ნაპოვნი ვერცხლის ბეჭედი მთლიანადსხმული და მასიურია. ის ზედა ნაწილში რომბისებური ფორმისაა და გვერდებიდან ქვედა ნაწილისაკენ თანდათანობით ვიწროვდება. ბეჭდის რკალი ოვალურია, რომბისებურ ფარაკზე წერტილოვანი ნაჭდევებით გამოყვანილია წრე, რომელშიც ამოკვეთილია ბოლოებმომრგვალებული სვასტიკა. სვასტიკას ცენტრში და ბოლოებში თითო-თითო წერტილოვანი ნაჭდევი აქვს გაკეთებული. რკალის შიდა დიამეტრი 2 სმ-ია (ნახ. 10$_7$; ტაბ. 8$_{8,9}$). მეორე ბეჭედი (სამარხი №2) მომცრო ზომისაა, დამზადებულია ვიწრო და თხელი ლენტისებური მასალისგან. რკალის ზედა ნაწილში მირჩილულია წრიული ფორმის ფარაკი, რომელიც ბოლოვდება ერთრიგად დაკეჭნილი მავთულით შემოსალტული თვალბუდით. თვალბუდეში მინის თეთრი თვალია ჩასმული. ბეჭედს რკალზე კლაკნილი ზოლი შემოსდევს. ბეჭედი დაზიანებულია. რკალის შიდა დიამეტრი 1,6 სმ-ია, თვალბუდის – 0,5 სმ (ნახ. 10$_4$; ტაბ. 8$_5$).

სპილენძის ბეჭედი (სამარხი №2). აქვს ვიწრო, წრიული რკალი, რომელზედაც ზედა ნაწილში დაბალკონუსური ფარაკია მირჩილული. რკალის შიდა დიამეტრი 1,6 სმ-ია (ნახ. 10$_3$).

მინის ბეჭედი (სამარხი №2), დამზადებულია შავი ფერის გაუმჭვირვალე მასალისაგან. მისი რკალი ოვალურია. ზედა ნაწილში რკალის შეერთების ადგილი დაბრტყელებულია, რის შედეგადაც დაბალი ფარაკია შექმნილი. რკალი განივკვეთში ოვალური ფორმისაა. შიდა მხრიდან შემოსდევს



ამოღარული ზოლი. რკალის შიდა დიამეტრი 1,8 სმ-ია (ნახ. 10₂; ტაბ. 8₆).

ბრინჯაოს რგოლი (სამარხი №7), დამზადებულია ოვალურგანივკვეთიანი მავთულისაგან, თავგახსნილია, ერთი ბოლო სწორი, მეორე კი წაწვეტებულია. მისი გარეთა დიამეტრი 2 სმ-ია (ნახ. 10₅; ტაბ. 8₃).

ბრინჯაოს საკიდი (სამარხი №7). შედგება ორი ნაწილისაგან, რგოლისა და ყუნწისაგან. რგოლი თავახსნილია. დამზადებულია წრიულგანივკვეთიანი მავთულისგან. რგოლზე ზედა მხარეს მიმაგრებულია წაგრძელებული, ბრტყელი ყუნწი, რომელიც დაზიანებულია. რგოლის გარეთა დიამეტრი 2 სმ-ია (ნახ. 10₆).

მიუხედავად იმისა, რომ შესწავლილი სამარხები მცირე ინვენტარს შეიცავდა, მაინც გახდა შესაძლებელი ზოგიერთი სამარხის ასაკის განსაზღვრა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა №2 სამარხში აღმოჩენილი შავი ფერის მინის ბეჭედი, რომელსაც რკალის შეერთების ადგილზე დაბრტყელებული ფარაკი აქვს გაკეთებული. თავისი მოყვანილობით ის ახლო დგას რუსთავში სხვადასხვა წლებში აღმოჩენილ და მეორე ჯგუფში გაერთიანებულ მინის ბეჭდებთან [**ჩხატარაშვილი მ., 2008., 56-58**]. ათას ცალზე მეტი მინის ბეჭედია ნაპოვნი ორბეთის მინის საწარმოს გადანაყარში. ამათგან დიდი ნაწილი შავი ფერის მინისგანაა დამზადებული [**უგრელიძე ნ., 1961, 9**]. მინის ბეჭდები აღმოჩენილია ჟინვალის სამაროვანზე. მათი რიცხვი კატაკომბურ სამარხებში 52 ცალს აღწევს. გვხვდება აგრეთვე სხვა ტიპის სამარხებშიც [**ჩიხლაძე ვ., 1990, 6**]. მინის ოცი ბეჭედია ნაპოვნი ხევში —გიგიასსათიბის სამაროვანზე [**წითლანაძე ლ. და სხვ., 1998, 71, 72, 75,78]**. რამდენიმე მინის ბეჭედია ნაპოვნი სამთავროს სამაროვანზე [**აფხაზავა ნ., 1979, 97].** სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა ფშავის არაგვის ხეობაში –კართანას სამაროვანზე აღმოჩენილი მინის ბეჭდები **[რჩეულიშვილი გ., 2007, 147].** თითო-თითო მინის ბეჭედია ცნობილი: გველეთის სამაროვნიდან [**მინდორაშვილი დ.,**

2005, 70], ურბნისიდან [**ჭილაშვილი ლ., 1964, 122]**, ნოქალაქევიდან [**Леквинадзе В.А. и др., 1981, 128]**, ნასტაკისიდან [**ნარიმანიშვილი გ., 1982, 55]**, უფლისციხიდან [**მინდორაშვილი დ., 1985, 57]**, ბადათგორის სამაროვნიდან [**ჯორბენაძე ბ., 1982, 59, 77]**, არეშიდან [**ჭილაშვილი ლ., 1991, 77]**.

მინის ბეჭდები აღმოჩენილია აგრეთვე, ჩრდილოეთ კავკასიის ძეგლებზე და ის ქართულ ნაწარმადაა მიჩნეული [**Кузнецов В.А., 1962, 20-29; Ковалевская В.Б., 1981, 85]**.

რუსთავში აღმოჩენილი მეორე სახის მინის ბეჭდები დათარიღებულია VI-VII საუკუნეებით [**ჩხატარაშვილი მ., 2008, 59**], ხოლო სამთავროს სამაროვნის მინის ბეჭდების უმეტესობა VII საუკუნითა და VIII საუკუნის დასაწყისით თარიღდება [**აფხაზავა ნ., 1979, 97**]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მინის ბეჭდების დამზადება VII საუკუნიდან იწყება და მისი ზოგიერთი ვარიანტის წარმოება IX საუკუნემდე გრძელდება [**აფხაზავა ნ., 1979, 98**].

ბადადგორის სამაროვანზე, უფლისციხეში და ნოქალაქევში აღმოჩენილი მინის ბეჭდები, დათარიღებულია VIII-IX სს. ხოლო, გიგიასსათიბის სამაროვანზე ნაპოვნი მინის ბეჭდები — IX საუკუნით.

დაახლოებით ამავე საუკუნეებით თარიღდება ნაგზაურის საეკლესიო კომპლექსის №2 სამარხში აღმოჩენილი დაბრტყელებულფარაკიანი, შავი ფერის მინის ბეჭედი; ამავე სამარხის ორი ბეჭედი და №13 სამარხში ნაპოვნი სვასტიკისგამოსახულებიანი ვერცხლის ბეჭედი და რკინის აბზინდა. ყოველივე ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ნაგზაურის საეკლესიო კომპლექსის საბოლოოდ დანგრევისა და მიტოვების შემდგომ, დაახლოებით VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისში, ამ ადგილზე იწყება სამარხების გამართვა და მისი თანდათანობით სამაროვნად გადაქცევა.

ქვის რელიეფები [3]

განვიხილოთ საეკლესიო კომპლექსში აღმოჩენილი სხვადასხვა ფერის ტუფის ქვისგან გამოთლილი რელიეფების მრავალრიცხოვანი ნიმუშები. სამწუხაროა, რომ თითქმის ყველა ეს ნიმუში ფრაგმენტული სახით არის მოღწეული. თუმცა ეჭვს გარეშეა, რომ ეს ფრაგმენტები დამტვრეულ ქვაჯვარათა ნაწილებია, რადგან მათ შეგვიძლია ადგილი მოვუძებნოთ ამ დრომდე საქართველოში მოძიებულ ქვაჯვარათა თითქმის ყველა ტიპის სტრუქტურაში და მათზე გამოსახულია ამ ქვაჯვარებზე ამოკვეთილი თითქმის ყველა სახის ორნამენტაცია და გამოვლენილია ქვაზე კვეთის ოსტატობის მრავალნაირი ხერხი. ამ მახასიათებლებით ისინი მყარად თავსდებიან ადრე შუა საუკუნეების ქვაჯვარათა ქრონოლოგიურ ჩარჩოში (V-VII სს) და მათ პირდაპირ მაგალითად შეგვიძლია ჩავთვალოთ, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შემორჩენილი, თავდაპირველი აღმართვის ადგილზე ცალკე მდგომი რამდენიმე ქვაჯვარა, ასევე ეკლესიების კედლებში მოგვიანებით ჩაშენებული და/ან არქეოლოგიურად გამოვლენილი ქვაჯვარების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები – უკანგორის „ორკარიან ეკლესიაში“, უკანგორისავე „კვრინჩხიანში“, ბუჩურაშენის ეკლესიაში, ბოლნისის რ-ნის „ლამაზი გორის“ მიდამოებში, ბოლნისის სიონის ეზოში და სხვა.

ამავე ხანისაა დიდ გომარეთში შემორჩენილი სამი ქვაჯვარა, რომლებიც ერთადაა თავმოყრილი. ამ ადგილს „შიბაშიანთ კვირაცხოველს“ უწოდებენ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ძეგლები დიდხანს სტელებად მოიხსენიებოდა და ტერმინი ქვაჯვარა მოგვიანებით დამკვიდრდა, თუმცა ვ. თოფურიას გამოკვლევას „ქვაჯვარანი საქართველოში“ ქვია [**თოფურია ვ., 1942]**.

ქვაჯვარათა დანიშნულებაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. სამეცნიერო ლიტერატურაში მათ განიხილავენ როგორც საკულტო, მემორიალურ, საფლავის, საკულტო-მემორიალურ თუ სამა-

3 ნახაზებზე და ტაბულებზე რიგითი ნომრის გარდა, ფრჩხილებში მითითებულია ნივთების საინვენტარო ნომრებიც.

მულო მფლობელობის აღმნიშვნელ ძეგლებად **[მუსხელიშვილი ლ., 1938, 338; Чубинашвили Г., 1940, 86; თოფურია ვ., 1942, 58; ცისკარიშვილი ვ., 1959, 72; ამირანაშვილი ჯ., 1968, 36]**. რამდენიმე ქართველ მეცნიერს თავიანთ ნაშრომებში წვრილად აქვთ გაანალიზებული ყველა ეს მოსაზრება და გამოაქვთ შესაბამისი დასკვნები **[Чубинашвили Н., 1972, 8; ჯაფარიძე ვ., 1982, 53; მაჩაბელი კ., 1988, 63; ჯავახიშვილი გ., 1998, 6]**.

ადრექრისტიანული ქვაჯვარის კლასიკური ნიმუში გამოსახულია წალკის (ყოფილი ეძანის) სიონის ბაზილიკის აღმოსავლეთ შვერილ აფსიდზე (VIს). იგი წარმოადგენს სამსაფეხურიან ცოკოლზე შემოდგმულ მართკუთხა ბაზისს, ტოლმკლავებიანი (ბოლნურ) ჯვრიანი მედალიონით, რომელზეც აღმართულია წიწვოვანი ორნამენტით შემკული ზევითკენ დავიწროებული ქვასვეტი, უფლის საფლავის თაღედიანი მოდელით, რომელიც დაგვირგვინებულია სადგარიანი, ფართომკლავებიანი ჯვრით **[ჩუბინაშვილი ნ., 1972, 35. ტაბ. 1]**. ადრეულ ქვაჯვარათა უმრავლესობა ძირითადად ამგვარია. განსხვავება მხოლოდ ვარიაციაშია.

ასეთივე ტიპის ქვაჯვარები გამოვლენილია სომხეთშიც, უპირატესად სომხეთის ჩრდილო ნაწილში. ეს ქვაჯვარებიც ადრე შუა საუკუნეებს განეკუთვნება **[Brentie K. . . , 1981]**.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე კომპონენტისგან შემდგარი, ჯვრით დასრულებული მაღალი ქვაჯვარების გარდა, რომელთა სიმაღლე ორიდან ოთხ მეტრამდეა, ბოლნისის სიონისა და „ლამაზი გორის“ გათხრების დროს აღმოჩნდა მომცრო ზომის (25-45სმ.) ქვის ბრტყელი ფილები, მათზე ამოკვეთილი რელიეფური ორნამენტებით და ასომთავრული წარწერებით **[მუსხელიშვილი ლ., 1941, 15, 16; ამირანაშვილი ჯ., 1968, 4, 6, 36; ბოლქვაძე გ., 2007, 112-134]**. რამდენიმე ასეთი ფილა გამოვლინდა ნაგზაურის კომპლექსშიც.

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ჯვრების აღმართვა ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე იწყება IVს-ის პირველ ნახევარში, ისევე როგორც მთელს იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში და თანდათან ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების და განმტკიცების მნიშვნელოვან საშუალებად იქცევა **[შატბერდის კრებული X საუკუნისა, 1974, 323; ქართლის ცხოვრება I, 1955, 119]**. ჯვარი ქრისტიანული მრწამსის უპირველეს სიმბოლოს წარმოადგენდა და მისი გეომეტრიული სახე მკვიდრდებოდა ქრისტიანობის აღმსარებელ სახელმწიფოთა და ერების არქიტექტურაში, ხელოვნებასა და ყოფაში. სხვადასხვა ხელისუფალი, ფეოდალი თუ სხვა პირი ჯვრის აღმართვით თანაზიარი ხდებოდა ქრისტიანული მრწამსისა და ხელს უწყობდა ქრისტიანობის გავრცელებასა და განმტკიცებას მისდამი დაქვემდებარებულ მიწაზე **[ჯაფარიძე ვ., 1982, 58; ჩუბინაშვილი ნ., 1972, 39]**.

ამგვარი პროცესი ბუნებრივი იყო არა მხოლოდ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირულ ქრისტიანულ სამყაროსათვის, სადაც ჩაისახა და განვითარდა ეს რელიგია, არამედ ოდნავ მოგვიანებით დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპისთვისაც, სადაც ჯვრების და კერძოდ ქვაჯვრების აღმართვა ასევე გახდა ქრისტიანობის განმტკიცების თანამდევი მოვლენა VII - VIII სს-დან. ცალკე აღმართული რელიეფური ქვაჯვარები შემორჩენილია ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთში და ასევე კონტინენტურ ევროპაშიც **[Wilson David Mackenzie, 1984]**.

საქართველოში აღმოჩენილ ქვაჯვარათა უმეტესობა V-VII სს-ით არის დათარიღებული, მცირე ნაწილი კი – VIII-IX სს-ით. ამ ქვაჯვარათა დათარიღებას საფუძველი დაუდო მათზე ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერების პალეოგრაფიულმა შესწავლამ და ასევე ქვაჯვარათა რელიეფების მხატვრულ-სტილისტურმა ანალიზმა და შედარებამ სამშენებლო წარწერებით მყარად დათარიღებულ ხუროთმოძღვრული ძეგლების მორთულობასთან. ამ უკანასკნელ ხანს გაჩნდა მოსაზრება, რომ ზოგი ქვაჯვარა შესაძლოა IV-V სს-ის მიჯნითაც დათარიღდეს **[რამიშვილი რ., 2002, 205]**. ქვაჯვართა ეს ქრონოლოგიური ჩარჩო გვიჩვენებს, რომ ქრისტიანობის მყარად დამკვიდრე-

ბასთან ერთად ქვაჯვართა აღმართვის სიხშირე საქართველოში კლებულობს და IX ს-დან თანდათან თითქმის სრულად ქრება [**ჩუბინაშვილი ნ., 1972, 49; Чубинашвили Н., 1972, 96; მაჩაბელი კ., 2008, 8; ჯავახიშვილი გ., 1999-2001, 92].**

ქვაჯვართა აღმართვის სიხშირის კლების შემდეგ ჯვრის სიმბოლო კვლავ უპირველესია ქრისტიანულ სამყაროში და მისი გამოსახულება ქრისტიანული კულტურის განუყოფელ ნაწილად რჩება, თუმცა არა როგორც უპირატესად ქრისტიანობის დამკვიდრების და განმტკიცების სიმბოლოდ ქვაჯვართა სახით, არამედ გვხვდება სხვა კატეგორიებად - ქრისტიანული საფლავების ქვებზე, სახელმწიფო და სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელ ქვასვეტებზე და ქრისტიანული არქიტექტურის, ხელოვნებისა თუ ყოფის მრავალფეროვან გამოვლინებებში.

ამგვარად, ქვაჯვართა აღმართვას მყარი ისტორიულ — კულტურული მიზეზები ჰქონდა და იგივე პროცესები განსაზღვრავდა მისი განვითარებისა და არსებობის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

ეს ტენდენცია საერთო იყო მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის. საერთო იყო ქვაჯვართა ზოგადი სახე, ფორმა და შინაარსიც (გარკვეულწილად ზოგადი იკონოგრაფიაც), ხოლო კერძო ასპექტები — ქვაჯვართა მასალა, კვეთის ტექნოლოგია და რელიეფურ მოტივთა და გამოსახულებათა კონკრეტული იკონოგრაფიული სტრუქტურა და მხატვრული ესთეტიკა, თითქმის მთლიანად ასახავდა ამა თუ იმ ქვეყნის კულტურულ ტრადიციებს.

ჩვენ ვემხრობით იმ მოსაზრებას, რომ ეს ქვაჯვარები ადრექრისტიანულ ხანაში საკულტო დანიშნულების, ქრისტიანული რწმენის განმტკიცების იარაღი უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგ შეუძენიათ განსხვავებული დატვირთვაც. ეს მოსაზრება პირველად გამოთქვეს ნ. ჩუბინაშვილმა და ვ. ჯაფარიძემ **[ჩუბინაშვილი ნ., 1972, 39; ჯაფარიძე ვ., 1982, 58].**

ნაგზაურის საეკლესიო კომპლექსში ქვაჯვარათა ფრაგმენტები გამოვლინდა მის მთელ ტერიტორიაზე და ზღუდის ფარგლებს გარეთაც. ნიშანდობლივია, რომ ერთი და იგივე ჯვრის თუ ქვაჯვარას სხვა ნაწილთა დამსხვრეული ფრაგმენტები აღმოჩნდა ერთმანეთისგან 10-15 მ-ის მოშორებით. ამ ფრაგმენტთა უმეტესობა ძალით დამსხვრეული ჩანს და უსისტემოდაა მიმოფანტული ეკლესიათა ინტერიერებში, მათ მორღვეულ კედლებზე და ფასადების ძირში. დიდი ნაწილი თავმოყრილია №1 ეკლესიის აბსიდის მიმდებარე ზღუდის კედელთან, რამდენიმე მათგანი კი ჩატანებულია ეკლესიათა კანკელებში.

თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ ამ კომპლექსში მოძიებული ყველა ფრაგმენტი არ უნდა წარმოადგენდეს თავდაპირველი დანიშნულებით სახელდობრ აქ აღმართულ ქვაჯვარების დამტვრეულ ნამსხვრევებს, რადგან ამ შემთხვევაში აქ სულ მცირე 20 ქვაჯვარა მაინც უნდა მდგარიყო. აქ ძირითადად გამოვლინდა ქვასვეტთა დამაგვირგვინებელი უფლის საფლავის მოდელები (უპირატესად დამსხვრეული) და მათზე აღსამართავი ჯვრები (ჯვრების დანაწევრებული მკლავები) და ეს ფრაგმენტები (ყოველ შემთხვევაში მათი დიდი ნაწილი) აქ მოტანილი უნდა იყოს განსაზღვრულ დროს და დაწყობილი ალბათ უკვე დანგრეულ ეკლესიებში, ისევე როგორც უკანგორის „კვრინჩხიანში“, „ლამაზ გორასა“ და „ბუჩურაშენში“. ზოგ მკვლევართა აზრით ეს ხდებოდა ძნელბედობის ჟამს, ალბათ ამ ქვაჯვარათა გადარჩენის მიზნით [**ჩუბინაშვილი ნ., 1972, 48],** თუმცა ამგვარ ქმედებას, როგორც ვხედავთ, შედეგი ვერ გამოუღია, რადგან ქვაჯვარები ერთიანად ჩანს დამსხვრეული და განადგურებული. ამავე დროს, ეს მოსაზრება არ გამორიცხავს, რომ აქ აღმოჩენილ ფრაგმენტთა შემცველი ერთი ან რამდენიმე სრული ქვაჯვარა შესაძლოა აქვე ყოფილიყო აღმართული ეკლესიათა მოქმედად ყოფნის დროსაც.

ქვემო ქართლსა და საქართველოს სხვა ადგილებში გამოვლენილ ქვასვეტებზე ორნამენტული შემკულობის გარდა გვხვდება ფიგურული რელიეფები ქრისტეს, ღმრთისმშობლის, ანგელოზთა,

ნახ. 11



1 (110)



2 (110)


ნახ. 12
2 (110)
1 (110)
3 (77)
4 (120)
0 2 4 6
0 4 6 8

მოციქულთა, წმინდანთა და საეკლესიო და საერო პირთა გამოსახულებებით და ბიბლიური სიუჟეტებით. ასეთივე მორთულობითა და ფიგურული გამოსახულებით იქნებოდა დაფარული ნაგზაურის კომპლექსში გამოვლენილი ქვაჯვარები, თუმცა მათი ფრაგმენტულობის გამო ნაკლული რელიეფების სრული სახით აღდგენა ძნელია. სრული იკონოგრაფიული პროგრამა აქ მხოლოდ ერთ მთლიან ქვასვეტზეა შემორჩენილი – ტახტზე დაბრძანებული ყრმიანი ღმრთისმშობლის და სხვა ფიგურული გამოსახულებით მის კაპიტელსა და წახნაგებზე.

ქვის რელიეფის ეს ძეგლი, რომელიც IV ეკლესიის ინტერიერის ჩრდილოეთ კედელთან გამოვლინდა, ქართული ადრე შუა საუკუნეების ხელოვნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია: იგი გამოირჩევა ლაკონური იკონოგრაფიული პროგრამით, ფიგურათა თვითმყოფადი გამომსახველობით და ქვაზე კვეთის დახვეწილი, უზადო ოსტატობით (ნახ. **11**1,2, **12**1,2; ტაბ. **9-15**).

ამ ქვასვეტის შესახებ ამავე გამოცემაში მოცემულია კ. მაჩაბლის ვრცელი სტატია, აქ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ქვასვეტი, კიდევ ერთ შუაზე გადამტვრეულ ლილვებიან ქვასვეტთან ერთად (ნახ. **12**4; ტაბ. **4**1,**16**5) აქ დაუდიათ IV ეკლესიის დანგრევის შემდეგ, რაც ჩანს მათი გამოვლენის ადგილის სტრატიგრაფიიდან – ეს ქვასვეტები აღმოჩნდა ეკლესიის ინტერიერში იატაკის დონიდან მაღლა 0,15 მ-ზე და მათ ქვეშ იყო მოქცეული მიწის ფენა, ეკლესიის დანგრევის დროს დიდი რაოდენობით ჩამოქცეული კრამიტებით (**ტაბ. 4**2).

ამ ორი მთლიანი ქვასვეტის გარდა ნაგზაურის კომპლექსში აღმოჩნდა კიდევ ერთი ქვასვეტი, რომელზეც ზემოთ აღნიშნულ შუაზე გადამტვრეულ ქვასვეტის მსგავსად ოთხ კონად შეკრული სადა ლილვებია აყოლებული (ნახ. 12**3**, ტაბ. 16**4**). გაითხარა ქვაჯვარათა ჯვრების **43** მკლავი, რომლებიც შესაძლოა **20**-მდე სხვადასხვა მთლიან ჯვარს ეკუთვნოდა და მათგან რამდენიმე ჯვარი აეწყო კიდეც. გამოვლინდა ასევე ჯვრების საყრდენი უფლის საფლავის მოდელების ფრგმენტები, რომელთაგანაც ასევე შეიძლება აეწყოს შვიდი ან რვა ასეთი მოდელი. გამოვლინდა ოცზე მეტი ფრაგმენტი ქვაჯვარის სხვადასხვა ნაწილებისა, მათ შორის **3** ფრაგმენტი ადამიანის ფიგურული გამოსახულებით. გამოვლინდა ასევე **7** ნატეხი ასომთავრული ასოებით და რამდენიმე ათეული სხვადასხვა წვრილი ფრაგმენტი. გარდა ამისა გამოვლინდა ტუფის ქვისგან გამოთლილი „წმინდა წყლის“ ჭურჭელი (ქვის რელიეფების შემორჩენილი თითოეული ფრაგმენტის აღწერა და ზომები იხ. კატალოგში).

აქ მოძიებული რელიეფური მკლავები, ქვაჯვარათა დამაგვირგვინებელი ჯვრებისაა. დანარჩენ ფრაგმენტებისათვის ადგილი მოიძებნება ქვაჯვარათა ცნობილ კონსტრუქციაში, ზოგის იდენტიფიკაცია კი, მათი ფრაგმენტულობის გამო — ვერ მოხერხდა.

ქვაჯვარას ჯვრების სტრუქტურა ზოგადად ამგვარია: როგორც წესი ჯვრის მკლავებს ბოლოები გაშლილი აქვს. ქვედა მკლავი სხვა დანარჩენზე გრძელია და მართკუთხა მორჩით არის ჩამაგრებული საყრდენში, რომელსაც ხშირად უფლის საფლავის მოდელი წარმოადგენს. ჯვრის ზედა მკლავი კი გვერდით მკლავებზე ოდნავ მოკლეა, თუმცა იშვიათად იგივე სიგრძისაა. ჯვარი უკანა მხრიდან გლუვია, საპირე კი მორთულია დეკორაციული შემკულობით. რიგ შემთხვევაში ჯვრის ქვედა მკლავიდან ამოზრდილია აყვავებული ყლორტები და უერთდება გვერდითი მკლავების გაშლილ ბოლოებს. ჯვრები უმეტესად ერთი მთლიანი ქვისგან ითლებოდა, თუმცა ზოგ შემთხვევაში ჯვარი შედგენილმკლავიანია, რაზეც მეტყველებს მკლავებში გაკეთებული ღრმულები, რომელშიდაც ჩამაგრებული უნდა ყოფილიყო მათი დამაკავშირებელი სამაგრები (ტაბ. 19**2**).

ჯვრის მკლავები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც მასალის ფერით და ზომებით, ასევე რელიეფური გამოსახულებებით და შესრულების ტექნიკით. ამ ნიშნებით მათი ჯგუფებად დაყოფაც შეიძლება. ჯვრის მკლავების სისქე **6-8** სმ-ია, გვერდითი თარაზულად გაშლილი მკლავების საერთო სიგანე **30-50** სმ-ს შორის მერყეობს, ხოლო ჯვრის საერთო სიმაღლე **40**-დან **60** სმ-დეა

(მკლავების ზომები და აღწერა იხ. კატალოგში).

მკლავების გადაკვეთაზე ცენტრში, ხშირად წრეა გამოსახული მასში ჩაწერილი მრავალფურცელა ვარდულით ან ტოლმკლავიანი ჯვრით, უფრო იშვიათად კი სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები წრის გარეშეა ამოზრდილი. ცენტრში მკლავების კონტურებს თხელი ლილვები შემოსდევს, ცენტრებიდან კი გაგანიერებულ ბოლოებისაკენ ამოზრდილია ორნამენტებიან ღეროზე გამობმული სტილიზებული ვარდული, სამყურა შროშანი ან ლოტოსის ყვავილი. ზოგ შემთხვევაში მხოლოდ მკლავების კონტურებია სამი-ოთხი კანტით ან ირიბი ზოლებით შემოფარგლული, ხოლო შუა ნაწილი ორნამენტაციის გარეშეა და ცერადკვეთილად არის გულამოღებული.

ნაგზაურის კომპლექსში ყველაზე მეტი გამოვლინდა ჯვრის მკლავები შროშანისა და ლოტოსის ყვავილის გამოსახულებით. ამ ყვავილთა სტილიზებული გამოსახულებები მრავლად გვხვდება ძველი მსოფლიოს სატაძრო და მცირე პლასტიკის რელიეფებზე. ლოტოსის ყვავილს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ძველი ეგვიპტის ხელოვნებასა და მითოლოგიაში, როგორც თვით ქვეყნისა და სხვადასხვა ღვთაებათა სიმბოლოს, ხოლო შროშანი, როგორც ყვავილი-ინსიგნია ფართოდ იყო გავრცელებული ძველი სპარსეთის კულტურაში **[Wilkinson, Richard H., 2003. Мачабели К., 1976, 112-114].**

ამ ყვავილთა სტილიზებულმა გამოსახულებებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქრისტიანულ სიმბოლიკაშიც. შროშანი, როგორც უძველესი დროიდან სიწმინდისა და თავმდაბლობის სიმბოლო, ქრისტეს აღდგომას დაუკავშირდა. ეს სიმბოლო გაიგივებული იყო ასევე უფლის მეორედ მოსვლასთან, ხოლო შუა საუკუნეების ევროპაში შროშანი ღმრთისმშობლის ყვავილადაც ითვლებოდა.

ჯვრის მკლავი შროშანის ყვავილით

ნაგზაურის კომპლექსში გამოვლინდა ჯვრის 13 მკლავი შროშანის ყვავილის გამოსახულებით. სამყურა შროშანის მოტივი ფართოდ არის გავრცელებული ქვემო ქართლის ქვაჯვარებზე — „ლამაზი გორა“ VI ს. **[ჩუბინაშვილი ნ., 1972, ტაბ. 4,5],** ბალიჭი VI ს. **[ჯავახიშვილი გ., 1998, ტაბ. VI-3],** ბაღჩალარი VI-VII სს. **[ჯავახიშვილი გ., 1998, ტაბ. LXVI 1-2].** კომპლექსის სხვადასხვა ადგილას მოძიებული ეს მკლავები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მასალით, ფორმით და შესრულების ხარისხით (ნახ. 13$_{1-12}$; ტაბ. 17$_{1-8}$, 18$_{1-4}$).

ამ ცამეტი მკლავიდან ხუთი მონაცრისფრო ტუფისგან არის გამოთლილი (ინვ. №№ 1, 18, 28, 107, 113). ეს არის ბოლოებგაფართოებული ჯვრის მოკლე მკლავები მათზე დაბალი რელიეფით ამოკვეთილი შროშანის ყვავილით (ნახ. 13$_{1-4}$; ტაბ. 17$_{1-4}$). რამდენიმე მკლავი ერთი ჯვრის ნაწილი უნდა იყოს. ისინი ერთი ზომისაა და მსგავსი მოტივით არის დაფარული. მკლავების კონტურებს შეწყვილებული ლილვები ფარგლავს, ცენტრებიდან კი გაგანიერებულ ბოლოებისაკენ ამოზრდილია დაბალ ღეროზე გამობმული სტილიზებული სამყურა შროშანი. დაბალი ფონის მიუხედავად ხაზები დენადია და მოდელირება რბილი. სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი **№18 და №28** მკლავი, ცენტრში შემორჩენილი ვარდულიანი მედალიონით მოერგო ერთმანეთს (ნახ. 13$_{1}$; ტაბ. 17$_{1}$). №1 მკლავს გაშლილ ბოლოსთან აქვს წამონაზარდი (ნახ. 13$_{3}$; ტაბ. 17$_{4}$). იგი უთუოდ ჯვრის მარჯვენა მკლავი უნდა იყოს, რადგან ამ შემთხვევაში წამონაზარდი ქვევით მოექცევა და მივიღებთ აყვავებული ჯვრის ნაცნობ სურათს, სადაც ჯვრის ძირიდან ამოზრდილი შტოები გვერდით მკლავებს, სწორედ ამგვარი წანაზარდით ებჯინება. ანალოგიურია „ლამაზ გორაზე“ აღმოჩენილი აყვავებული

Obr. 13



ჯვარი [**ჩუბინაშვილი ნ., 1972, 45, ტაბ. 5**] და აღსანიშნავია რომ მის მკლავებზეც შროშანის ყვავილებია, ხოლო ჯვრის ცენტრში კი ასევე ვარდულიანი მედალიონი. მსგავსია შესრულების ტექნიკაც. სავარაუდოა, რომ ამ ორი ჯვრის ოსტატთაგან, ერთ-ერთისათვის ცნობილი იყო მეორე, ან სულაც ორივე ერთ სახელოსნოში ყოფილიყო დამზადებული. ნ. ჩუბინაშვილი „ლამაზი გორის“ ჯვარს VI-VII სს-ით ათარიღებს [**ჩუბინაშვილი ნ., 1972, 46**]. იგივე ქრონოლოგიურ ჩარჩოში ექცევა ჩვენი ნიმუშებიც. აქ V ს-ის არქაულობა არ ჩანს და ვფიქრობთ, VI ს-ით უნდა შემოვიფარგლოთ.

ერთმანეთის მსგავსი მოტივია ოთხ მომდევნო მკლავზე (ინვ. №№5, 16, 88, 104) და ზომებითაც ერთნაირია, თუმცა ორი მათგანი წითელი ტუფისგან არის გამოთლილი, დანარჩენი ორი კი, თეთრი ტუფისგან. ამ მკლავებზე გამოსახულია წიწვოვან ღეროზე მდგარი შროშანის ყვავილი. ღერო ამოზრდილია ჯვრის ცენტრში წრეში ჩასმული ვარდულიდან (ნახ. 13$_{5-8}$; ტაბ. 17$_{5-8}$).

შემდეგი ოთხი მკლავიდან (ინვ. №№24, 46, 71, 62) პირველი სამი ერთი ჯვრისა უნდა იყოს (ნახ. 13$_{9-11}$; ტაბ. 18$_{1-3}$). კვეთა აქ ღრმაა და ჩრდილნათელიანი. მეოთხე მკლავზე რელიეფი უფრო დაბალია (ნახ. 13$_{12}$; ტაბ. 18$_{4}$).

მათგან პირველ სამ მკლავზე ლილვებს შორის მოქცეული არე შევსებულია მაღალ ღეროზე ამოზრდილი სამყურა შროშანის ყვავილით. ღერო შევსებულია ცერადკვეთილი სამკუთხედებით. ყვავილის ფურცლებიც ცერადკვეთილადაა მოდელირებული. ფონი საერთოდ არ ჩანს. კვეთა ღრმაა, ჩრდილნათელი უხვად ეცემა და თითქმის რეალური მცენარეული ხატი იქმნება. კომპოზიცია გააზრებულია. იგრძნობა შემოქმედი ოსტატის ხელი. შეიძლება დათარიღდეს V-VI ს-ის I ნახევრით. სამკუთხედების ამგვარი მოტივი გვხვდება „კვრინჩხიანსა“ და „ბუჩურაშენის“ ეკლესიებში შემორჩენილ ქვაჯვარათა ფრაგმენტებზე [**ჯაფარიძე ვ., 1982, ტაბ. XXI-1, LXIV -1**].

ჯვრის მკლავი ლოტოსის ყვავილით

სტილიზებული სამყურა ლოტოსის მოტივიც ფართოდ არის გავრცელებული ქვემო ქართლის ქვაჯვარებზე. ლამაზი გორა V-VI სს I ნახ. [**ჩუბინაშვილი ნ., 1972, ტაბ. 3**], „ბუჩურაშენი“ V-VI სს [**ჯაფარიძე ვ., 1982, ტაბ. LXXI-1**]. სულ შვიდი ამგვარი ფრაგმენტია მოძიებული კომპლექსის სხვადასხვა ადგილას. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან მასალის ფერით, ფორმით და შესრულების მანერით (ნახ. 14$_{1-4}$; ტაბ. 18$_{5-8}$).

მათგან პირველი ოთხი (ინვ. №№38, 40, 81, 102), მონაცრისფრო ტუფისგან გამოთლილი ერთი ჯვრის მკლავები აღმოჩნდა (ნახ. 14$_{1}$; ტაბ. 18$_{5}$). ამ ჯვრის მკლავებზე გამოსახულია წიწვოვან ღეროზე მდგარი ლოტოსი. ღერო ამოზრდილია ჯვრის ცენტრში ჩახაზული კვადრატიდან. გრძივ კონტურებს ორ-ორი ლილვი გასდევს. ფონი საშუალოა. თუმცა მოდელირება საკმაოდ დენადია.

მსგავსი ნახატია მომდევნო ფრაგმენტზე (ინვ. № 103), რომელზეც შემორჩენილია ლოტოსის ყვავილის მორკალული ნაწიბური (ნახ. 14$_{2}$; ტაბ. 18$_{6}$).

შემდეგ მკლავზე (ინვ. №61) ლოტოსის ყვავილი მსგავსი ხერხითაა გამოსახული, თუმცა ფერია განსხვავებული – წითელი ტუფისაა (ნახ. 14$_{3}$; ტაბ. 18$_{7}$). ასეთივეა (ინვ. №108) ბოლო ფრაგმენტიც (ნახ. 14$_{4}$; ტაბ. 18$_{8}$).



ჯვრის მკლავი ვარდულით

მკლავების მომდევნო ჯგუფის ოთხივე მკლავზე გამოსახულია ღეროზე ამოსული მრავალფურცელა ვარდული (ნახ. 15$_{1-4}$; ტაბ. 19$_{1-4}$). ვარდულსაც აღმოსავლური ძირი აქვს, რომელმაც შემდგომ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქრისტიანულ სიმბოლიკაში როგორც „ტოლმკლავა ჯვრის ტოლფარდმა და მის შემნაცვლებელმა ელემენტმა“ **[მაჩაბელი კ., 2007, 38].** ამგვარი ვარდულები ხშირად გვხვდება ადრექრისტიანულ ქვაჯვარათა რელიეფებზე **[ჯაფარიძე ვ., 1982, ტაბ. LXVII; ჯავახიშვილი გ., 1998, ტაბ. XCV, XCVI 1-2].**

ამ ჯგუფის მკლავები მოკლეა და თანაბრად ბოლოებგაფართოებული. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ჭრის ტექნიკით და მოჩარჩოების სხვადასხვა ვარიაციით. პირველი ორი მკლავი შესაძლოა ერთი ჯვრისა იყოს (ნახ. 15$_{1-2}$; ტაბ. 19$_{1-2}$). ორთავე მოჩარჩოებულია ერთმანეთში ჩამჯდარი ცერადკვეთილი სამკუთხედების ფართო არშიით. პირველზე (ინვ. № №29) ექვსქიმიანი ვარსკვლავის მსგავსი ვარდულია, მეორეზე – შვიდქიმიანი (ინვ. №79). მესამე განსხვავებული ფერისაა (ინვ. №42). შემოსაზღვრულია სამმაგლილვიანი ჩარჩოთი, შუაში კი ფონი ცერადკვეთილად არის ამოღებული და ამ ღარში ჩაწერილია ღეროზე ამოზრდილი შვიდფურცელა ვარდული. ცერადკვეთილმა ფონმა მოხსნა გეომეტრიულობა და სიხისტე, კვეთაც ოსტატურია (ნახ. 15$_{4}$; ტაბ. 19$_{4}$). მეოთხე მკლავზე გამოსახულია თავისი შინაარსით უნიკალური რელიეფი – ორმაგი ლილვით



შემოსაზღვრულ ბრტყელ ფონზე, წარმოდგენილია ღეროზე ამოზრდილი ადამიანის სახის სქემატური გამოსახულება (ინვ. №60). შვეული ხაზებით შექმნილი თმები მას ქუდივით ხურავს (ნახ. 15₃; ტაბ. 19₃).

სახის ოვალი ზევითკენ არის გაფართოებული. ოდნავ ამობურცულია შუბლი, სქემატურია თვალ-წარბი, ცხვირი, პირი და ყვრიმალი. თუმცა, სქემატიზაციის მიუხედავად, სახე გააზრებულად არის გადმოცემული. დახვეწილია ჩარჩო.

ამგვარი გამოსახულება ჯვრის მკლავზე ცნობილი არ არის. ჯვრის დანარჩენი მკლავების მოძიების გარეშე სახის პერსონიფიცირება რთულია. მამაკაცის სახე ანალოგიური ვარცხნილობით აღბეჭდილია ხანდისის **[ჯავახიშვილი გ., 1998, ტაბ. LXXXIII-1]** (კვირიკე ?) და გორას **[ჯავახიშვილი გ., 1998, ტაბ. XLV -1]** (ყრმა ქრისტე) ქვაჯვარებზე.

ოთხივე მკლავი VI საუკუნეზე გვიანი არ უნდა იყოს.

მსგავსი, რვაფურცელა ვარდულიანი მკლავის ფრაგმენტი აღმოჩნდა შემთხვევით კომპლექსის აღმოსავლეთით, მინდორში, ორიოდე კმ-ში, და ინახებოდა სოფ. განთიადის ეკლესიაში (მონაცრისფრო ტუფი – 8X13X15სმ). ვარდული წიწვოვან ღეროზეა ამოზრდილი, მკლავის ბრტყელი ფონი კი შემოსაზღვრულია ორმაგი კანტით (ნახ. 15₅; ტაბ. 19₅).

ჯვრის მკლავი წიწვოვანი და სამკუთხედებიანი ორნამენტით

მკლავების მომდევნო ჯგუფი მხოლოდ გეომეტრიული ორნამენტაციით არის მორთული. აღმოჩენილია შვიდი ამგვარი მკლავი. ეს ფრაგმენტებიც მოძიებულია კომპლექსის სხვადასხვა ადგილას და ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან მასალით, ფორმით და შესრულების ხარისხით.

მონაცრისფრო ტუფისგან გამოთლილი პირველი სამი მკლავი ერთმანეთს მოერგო და ნაკლული ჯვარი (ინვ. №80) შეადგინა (ნახ. 16$_1$; ტაბ. 19$_7$).

ცერადკვეთით გულამოღებულ მკლავებს სიგრძეზე დაუყვება კანტებს შორის მოქცეული, წიწვოვანი ფრიზი. ჯვრის გაგანიერებულ ბოლოებში კი ღარებში ჩასმულია კონცენტრირებულწრიანი ღილაკები. ამ მხრივ აქ თითქმის განმეორებულია „ლამაზი გორას“ №591 ჯვრის ღილაკებიანი მოტივი [**ჩუბინაშვილი ნ., 1972, ტაბ. 6**].

მომდევნო ორი მკლავი ფრაგმენტულია (ინვ. №№39, 91). მათი მხოლოდ შუა ნაწილებია შემორჩენილი, შუაში ვიწრო ღარით და გვერდებზე წიწვოვანი ფრიზით (ნახ. 16$_{2,3}$; ტაბ. 19$_{6,8}$).

შემდეგი მკლავი ჯვრის ქვედა მკლავის გრძელი ფრაგმენტია ჩასადგამი მორჩით (ინვ. № 87). წიწვოვანი ნახატი სქელია და ცერადკვეთილი (ნახ. 16$_5$; ტაბ. 19$_{10}$).

ბოლო მკლავიც ასევე ჯვრის ქვედა მკლავის გრძელი ფრაგმენტია ჩასადგამი მორჩით (ინვ. №141). მკლავის გლუვი ზედაპირი შემოფარგლულია ცერადკვეთილი სამკუთხედებით (ნახ. 16$_4$; ტაბ. 19$_9$).



ჯვრის მკლავი ცერადკვეთილი ღარით

ამ ბოლო ჯგუფის თერთმეტი მკლავიც სხვადასხვა ფერის ტუფისგან არის გამოთლილი, თუმცა ერთმანეთის მსგავსია მათი დეკორის ზოგადი ხასიათი. ეს არის სამი-ოთხი კანტით შემოფარგლული, ცერადკვეთილად გულამოღებული ბოლოგაფართოებული მკლავები. სამი მათგანის გაგანიერებულ ნაწილში ნახევარსფეროა გამოყვანილი. პირველი ორი (ინვ. №№**17,** 106) ერთი ჯვრის ნაწილი უნდა იყოს (ნახ. 17$_{1,2}$; ტაბ. 20$_{1,2}$). ეს მარტივი, გეომეტრიული ნახაზი ოსტატურად არის შესრულებული. ანალოგიები მრავლად მოიპოვება „ლამაზი გორა“ [**ჩუბინაშვილი ნ., 1972, ტაბ. 6**],



„ბუჩურაშენი“'' **[ჯაფარიძე ვ., 1982, ტაბ. LXX 2].** ამგვარი სქემის ქრონოლოგიური ჩარჩო V-VII საუკუნეებია, ჩვენ შემთხვევაში კი V-VI სს. შეიძლება ვიგულისხმოთ.

ერთი ჯვრის ნაწილი უნდა იყოს სამი მომდევნო ფრაგმენტიც (ინვ. №№ 90, 83, 11). მკლავი ნახევარსფეროთი, ასეთივე მასალისგან გამოთლილი მკლავის შუა ნაწილი და მკლავის ჩასადგამი მორჩი (ნახ. 17$_{3-5}$; ტაბ. 20$_{3-5}$).

ჯვრის მომდევნო მკლავებისგან შედგა ერთი სრული ჯვარი (ინვ. №118). ჯვარს მომტვრეული აქვს ძირი და აყვავებული რტოების დასაწყისი. მკლავებს გვერდებზე დაუყვება ზოლები. შუაში, მთელ სიგრძეზე გლუვი სიბრტყეა, სიგრძეზე ჩაჭრილი თხელი ღარით. ჯვრის ცენტრში წრეა ტოლმკლავა ჯვრით. აყვავებული რტოები ძირიდან იყო ამოზრდილი და ებჯინებოდა გვერდით მკლავებს. ანალოგიური რტოები აქვს „ლამაზი გორას“ ჯვარს **[ჩუბინაშვილი ნ., 1972, ტაბ. 5].** (ნახ. 17$_{6}$; ტაბ. 20$_{6}$).

ასეთივე ტიპის ჯვრის ნაწილი უნდა იყოს მომდევნო ორი ფრაგმენტი (ინვ. №№33, 95) თხელღარიანი გლუვი სიბრტყით და ზოლებით გვერდებზე. აქ ლილვებს შორის სამი, ოდნავ ამობურცული, იალქნისებრი სამკუთხედია შექმნილი. ეს ხაზობრივი მოცემულობა ზემოხსენებულთა ქრონოლოგიურ არეალში თავსდება, თუმცა ერთგვარი სტანდარტის სახე აქვს – როდესაც ჯვრებმა უკვე საყოველთაო ხასიათი შეიძინეს (ნახ. 17$_{7,8}$; ტაბ. 20$_{7,8}$).

ოდნავ განსხვავებულია ბოლო ჯვრის მკლავი (ინვ. №53). გული აქ უფრო ღრმად არის ამოღებული. თითქმის ზუსტი ასლია „კვრინჩხიანში“ ნაპოვნი ჯვრის მკლავისა **[ჯაფარიძე ვ. 1982, ტაბ. XXVI - 1,2].** (ნახ. 17$_{9}$; ტაბ. 20$_{9}$).

ამგვარად, ყველა ამ მკლავის ქრონოლოგიური არე მათი სტილისტური ნიშნებით და ანალოგიების მოშველიებით, შეგვიძლია V-VII სს-ით შემოვფარგლოთ.

კერამიკული ჯვარი

ტუფისგან გამოთლილი ჯვრის მკლავების გარდა გამოვლინდა ოთხი კერამიკული ფრაგმენტი, რომლებიც ასევე ჯვრის ნაწილები უნდა იყოს (ნახ. 18$_{2,3}$; ტაბ. 21$_{1,2}$). აღმოჩნდა წრის ორი რკალი,



5სმ. სიგანისა და 4.5 სმ. სისქის. პირველ მათგანს (ინვ. №86) ჯვრის გარეთა მკლავის წანაზარდი აქვს (ნახ. 18$_2$; ტაბ. 21$_1$). მესამე ფრაგმენტი სამკუთხა ფორმის ბოლოებგაშლილი ჯვრის 10 სმ. სიგრძე-სიგანისა და 4.5 სმ. სისქის სეგმენტია (ინვ. №84), რომელიც ამ წრეში უნდა ყოფილიყო ჩაწერილი (ნახ. 18$_1$; ტაბ. 21$_3$), ხოლო მეოთხე ოდნავ უფრო ვიწრო მრუდე რკალია (ინვ. №135), რომელიც შესაძლოა ჯვრის ქვედა მკლავის აყვავებული რტო იყოს (ნახ. 18$_4$; ტაბ. 21$_4$). ამგვარად ამ ფრაგმენტებისგან შეიძლება მივიღოთ დაახლოებით 60 სმ-დე სიგანის აყვავებული ჯვარი, რომლის ბოლოებგაშლილი მკლავები ამოზრდილია თავად ჯვარჩასმული ჭვირული წრიდან. ამ წრიდან ამოზრდილი ჯვრის მკლავის გვერდებს თხელი ლილვები შემოსდევს, თვით წრესა და წრის შიდა ჯვრის მკლავებს კი კონტურული ნაჭდევი შემოუყვება

ამგვარი კერამიკული ჯვრების არსებობა სხვაგან საქართველოში ჩვენთვის სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილი არ არის. სავარაუდოა, რომ ეს ჯვრებიც ქვასვეტებზე უნდა ყოფილიყო აღმართული. ამ ფორმის ჯვრები ევროპაში ცნობილია კელტური ჯვრის სახელწოდებით და ასეთი ჯვრებით დასრულებული ქვასვეტები VIII ს-დან ფართოდ იყო გავრცელებული ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთში [**Wilson David M.** 1984.]. თუმცა ჩვენს მიერ გამოვლენილი ჯვრები მათზე გაცილებით ადრეული უნდა იყოს. ეს არტეფაქტები ქვის რელიეფების სხვა ფრაგმენტებთან ერთად არის გამოვლენილი და მათი დათარიღებისას ასევე უნდა შემოვიფარგლოთ – VI-VII სს-ით.

სვეტისთავი

საკმაო რაოდენობით გამოვლინდა ასევე ქვაჯვარას სვეტისთავების ფრაგმენტები უფლის საფლავის თაღედიანი მოდელით. ამ ფრგმენტებით შეიძლება აეწყოს შვიდი ან რვა ასეთი მოდელი. უფლის საფლავის მოდელის ზოგად სახეს წარმოადგენს ცოკოლზე მდგომი თაღედებიანი ფანჩატურისებური ნაგებობა. ეს ნაგებობები დასრულებულია სხვადასხვა მოდიფიკაციის ლავგარდანით და ტიმპანით შეკრული ნახევარცილინდრული კამარით ან სფეროსებური მოცულობით, რასაც აგვირგვინებდა ქვის ჯვარი. ამ მოცულობათა სვეტები, ლავგარდანი, თაღედები და ტიმპანი ძირითადად მორთული იყო გეომეტრიული ორნამენტაციით, იშვიათად კი – ფიგურული გამოსახულებებით (ნახ. 19, 20; ტაბ. 21$_{5-10}$, 22).

სულ ოცამდე ასეთი ფრაგმენტია მოძიებული კომპლექსის სხვადასხვა ადგილას, რომლებიც ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან მასალის ფერით, ფორმით და შესრულების ხარისხით.

პირველი სვეტისთავი

წითელი ტუფისგან გამოთლილი პირველი სვეტისთავი არასრული სახით აეწყო სხვადასხვა ადგილას მოძიებულ ფრაგმენტებისგან (ინვ. №20). საინტერესოა, რომ რამდენიმე მათგანი პირველ ეკლესიასთან აღმოჩნდა, ერთი კი მეოთხე ეკლესიის ინტერიერში. ერთმანეთს მოერგო თაღედის ძირი და სამი მართკუთხა სვეტი ფიგურული გამოსახულებებით და გეომეტრიული ორნამენტებით (წითელი ტუფი – 22X24X21 სმ). (ნახ. 19$_{1,2}$; ტაბ. 21$_{5,6}$).

სვეტები შეკრული უნდა ყოფილიყო ნალისებური თაღებით. შემორჩენილია თაღედის ქვედა რკალები. ორ სვეტზე ადამიანის ფრონტალური ფიგურებია გამოსახული. სამწუხაროდ, მომტვრეულია სვეტების ზედა ნაწილები და ფიგურები მხოლოდ ორი მესამედით არის შემორჩენილი. ამიტომ მათი იდენტიფიცირება რთულია.

ფრონტალურად მდგომ მარჯვენა ფიგურას მარჯვენა ხელი მკლავში აქვს მოხრილი და ზეაწეული სახისკენ. მარჯვენა ხელის მტევანი სახესთან ერთად და მარცხენა ხელი მთლიანად მომტვრეულია. ფიგურა შემოსილია ტერფამდე დაშვებული ტუნიკითა და ქლამიდით, რომელიც წინ ეფინება ნახევარწრიულად. მოსასხამი-ქლამიდა მარჯვენა მხარზეა გადაშვებული და შემდეგ ნაოჭებად ეშ-

Obr. 19

1 (20, 48, 92)





2 (20, 48, 92) 0 1 2 3 4 5

3 (65)

4 (138)





5 (75)





6 (89)



7 (116)



8 (117)

0 2 4 6



ვება თეძომდე. კაბა-ტუნიკა შეწყვილებული ხაზებით არის გრძივად დალიანდაგებული.

დაბალი რელიეფის მიუხედავად ფიგურა საკმაოდ მოცულობითია. მოსასხამის ნაკეცები რბილ, დენად ხაზებს ქმნიან. ხელი ბუნებრივად არის მოხრილი, მისი ფორმაც ცოცხალია. ფართო სახელოდან მოცულობითად არის გამოსული მაჯა და მოძრაობა დამაჯერებელია. ჩანს მრავალპლანიანობის გადმოცემის მცდელობაც. ფიგურა პროპორციულია მთლიანად და დეტალებშიც. უდავოა ოსტატის ნიჭიერება — იგი მცირე შტრიხებითაც ახერხებს ადამიანის სხეულის და სამოსის გადმოცემას.

მეორე ფიგურა თითქმის პირველის იდენტურია. განსხვავება მხოლოდ დეტალებშია. სამოსის მოდელირება ნაკლებად ხაზობრივია და კაბის კალთები ოვალურ ნაოჭებად ეშვება ქვემოთ, თუმცა ოდნავ სტილიზებულია.

ფიგურების იდენტიფიცირება, მათი ნაკლულობის გამო, რთულია. სამოსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მსგავსი ტანსაცმლით სხვა ქვაჯვარებზე შემოსილი არიან მოციქულები და მახარებლებიც. ასეთივე ჩაცმულობა აქვთ ადამიანთა ფიგურებს აქვე აღმოჩენილი მთლიანი ქვასვეტის მთავარ წახნაგზე, რომელთაც კ. მაჩაბელი კოზმან და დამიანედ მიიჩნევს **[მაჩაბელი კ., 2007, 36]**. მარჯვენა ფიგურის მარცხენა ხელის ადგილას შემორჩენილი სწორკუთხა ნაწიბური შესაძლოა სახარების ან ყუთის ფრაგმენტი იყოს, ხოლო მარჯვენა ფიგურის ანალოგიურ ადგილას შემორჩენილი სწორკუთხა ნაწიბური კი ხელსაწყო, რაც არ გამორიცხავს ამ ფიგურების ზემოთ აღნიშნულ პიროვნებებთან იდენტიფიცირებას. თუმცა უფლის საფლავის მოდელზე კოზმან და დამიანეს გამოსახვა უჩვეულოა. ამ რელიეფის ადრექრისტიანული ხანისადმი მიკუთვნებას განაპირობებს ნახატის ხასიათი. აქ კარგად ჩანს მიდრეკილება ელინისტური ფორმებისაკენ და ჯერ კიდევ შორსაა სწრაფვა სქემატიზაციისაკენ, რასაც ჩვენ უკვე ვხვდებით VII ს-ის შემდეგ.

სვეტების გვერდით წახნაგებზე გეომეტრიული რელიეფია. მართკუთხა ჩარჩო შეკრულია დიაგონალური ხაზებით. ამ ხაზებით წარმოქმნილ ცერადკვეთილ სამკუთხედებში კი ჩასმულია ბრტყელი ღილაკები.

ასეთივე სვეტისთავის ნაწილი უნდა იყოს წითელი ტუფის მომდევნო ორი ფრაგმენტი (ინვ. №№ 65, 138), რომლებზეც ასევე გამოსახულია დიაგონალური ხაზებით წარმოქმნილ ცერადკვეთილ სამკუთხედებში ჩასმული ბრტყელი ღილაკები (ნახ. 19$_{3-4}$; ტაბ. 21$_{7-8}$). ერთ-ერთი ფრაგმენტის გვერდით წახნაგზე შეღუნული სიბრტყეა შემკული მინიატურული კესონისებური მართკუთხედებით, რაც უეჭველია თაღის ოვალი უნდა იყოს (ნახ. 19$_{3}$; ტაბ. 21$_{7}$).

მეორე სვეტისთავი უფლის საფლავის თაღედიანი მოდელით (მოვარდისფრო-ნაღებისფერი ტუფი – 24X26X12სმ.) ნაკლულია (ინვ. №75). შემორჩენილია მხოლოდ დაბალი, კუბური მოცულობა ქვედა ნაწილის გარეშე, რომელსაც სვეტებიანი, თაღოვანი ფანჩატურის ფორმა უნდა ჰქონოდა. თაღები თხელი ლილვებით იყო მონიშნული. მართკუთხა მოცულობა ზევით შეკრულია ქონგურებიანი ფრიზით. მომტვრეულია ზედა (ალბათ ნახევარცილინდრული) ნაწილიც, რომელშიც უნდა ყოფილიყო ჯვრის ჩასადგამი ფოსო (ნახ. 19$_{5}$; ტაბ. 22$_{1}$).

იგივე ფერის მასალისგან დამზადებული შემდეგი ფრაგმენტი (ინვ. №116) შესაძლოა ამ სვეტისთავის ქვედა ნაწილი იყოს (22X28X11-17სმ.). შემორჩენილია ოთხიდან მხოლოდ ერთი მართკუთხა სვეტი და სვეტების საყრდენი ძირი კაპიტელთან დამაკავშირებელი მრგვალი ხვრელით (ნახ. 19$_{7}$; ტაბ. 22$_{5}$).

რამდენიმე ფრაგმენტისგან მეტ-ნაკლებად სრული სახით აეწყო თეთრი ტუფის მომდევნო სვეტისთავი (17X17X17სმ). ამ კუბური ფორმის სვეტისთავის (ინვ. №89) ქვედა წახნაგებზე წვრილი, სამმაგი ხაზებით მონიშნულია ნალისებური ორთაღედები (ნახ. 19$_{6}$; ტაბ. 21$_{9}$).

შუა წელზე დაუყვება თაღედებიანი ლავგარდანი. ლავგარდანის ზემოთ ნახევარცილინდრულ კამარაში ამოკვეთილია ჯვრის ჩასადგმელი კვადრატული ღრმული. კამარის ტიმპანის პირზე კი უხეშადმოხაზულ ლენტოვან წრეში გამოსახულია ტოლმკლავა ჯვარი.

სვეტისთავები მსგავსი მოტივებით მრავლად გვხვდება სხვა ქვასვეტებზე. ამ მოტივის კლასიკური სახეა „ლამაზი გორის“ და „ხანდისის“ თაღედებიანი სვეტისთავები VI ს. II ნახ. **[ამირანაშვილი ჯ., 1968, სურ. 18; მაჩაბელი კ. 2008, ილ. 4,5]**. უფრო ადრეული უნდა იყოს ნალისებური ფორმის თაღედიანი სვეტისთავი ზემო სკრადან V-VI სს. **[ჯავახიშვილი გ., 1998, ტაბ. XC]**.

შემდეგი სვეტისთავი სფეროთი სრულდება (ინვ. №105). სფერო დგას კვადრატულ (20X20სმ.) 3,5 სმ-ის სიმაღლის ორსაფეხურიან ბაზაზე, რომელიც თავის მხრივ აგვირგვინებდა ოთხივე მხრივ გახსნილ თაღედს. სფეროში ზემოდან ამოკვეთილია მართკუთხა ღრმული (7X6X8სმ.) ჯვრის ქვედა მკლავის ჩასადგმელად. ნივთი პროპორციული და დახვეწილია. სფერო კარგად არის გამოყვანილი (ნახ. 20$_{1}$; ტაბ. 21$_{10}$).

№4 ეკლესიის ინტერიერსა და ფასადებთან აღმოჩნდა ყავისფერ წინწკლებიანი ნაღებისფერი ტუფის სვეტისთავის რამდენიმე ფრაგმენტი. ერთ-ერთი მათგანია (ინვ. №85) თაღებიანი მოცულობის კუთხის ფრაგმენტი, რომელსაც თარო-ლავგარდანი გასდევს (ნახ. 20$_5$; ტაბ. 22$_3$).

ამ მოცულობის თაღები ლილვებიან სვეტებზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული, რადგან გამოვლინდა იგივე მასალისგან გამოკვეთილი ლილვებიანი სვეტების სამი სხვადასხვა ზომის ფრაგმენტი (ინვ. №82, 115, 115a) და ერთ-ერთ მათგანზე შემორჩენილია ქვემოთ – სადგარის ნაწიბური, ზემოთ კი – თაღის ნაშთი (ნახ. 20$_{6,7}$; ტაბ.22$_2$).

ასევე შესაძლოა, რომ იგივე მასალისგან გამოთლილი ორი მომდევნო ოვალური ფრაგმენტიც (ინვ. №97) ამ სვეტისთავის სფეროს ნაწილები იყოს, რომელშიც ჯვარი იდგმებოდა (ნახ. 20$_8$; ტაბ.22$_4$).

დანარჩენი სამი ფრაგმენტი სხვადასხვა ფერის მასალისგან არის დამზადებული. ყოველი მათგანი უფლის საფლავის თაღედიანი მოდელის კუთხე უნდა იყოს (ინვ. №№30, 47, 111).

ფრაგმენტი №30 (თეთრი ტუფი – 4X6X7სმ.). ნახატი აქ ფრაგმენტის ორ წახნაგზეა. წინა პირზე, წიწვოვანი შვეული მონაკვეთი და თაღედის საწყისია შემორჩენილი. იგივე ნახაზია მარცხენა წახნაგზეც. ამგვარი მოტივის პირდაპირი ანალოგიაა „ლამაზი გორას“ ჯვრის თაღედიანი სადგარი **[ჯავახიშვილი გ., 1998, ტაბ. XII. 1-3].** ქრონოლოგიურად შეგვიძლია VI-VII სს. მივაკუთვნოთ (ნახ. 20$_2$; ტაბ. 22) ფრაგმენტი №47-იც ასეთივე მოდელის ნაწილი უნდა იყოს. ამ რბილად დასამუშავებელ წითელ ტუფის ქვის ნამტვრევზე (5X8X13სმ) გამოსახულია ფართოდ გავრცელებული მოტივი აყვავებული რტოებისა. ნახატი სტილიზებული და საკმაოდ განვითარებულია. ფონი ღრმად არის ამოღებული. რტო წააგავს მაზდეიზმის სიმბოლურ სპარსულ ბაბთებს. სამწუხაროდ, ძალზე ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. ალბათ VI ს. უნდა იყოს. მსგავსი ბაბთებია „კვრინჩხიანის“ ეკლესიის ქვაჯვარის ბაზაზე **[ჯაფარიძე ვ., 1982, ტაბ. XI-1]**. (ნახ. 20$_4$; ტაბ. 22$_7$).

სვეტისთავის მომდევნო №111 ფრაგმენტსაც თაღედის ნაწიბური აქვს (ღია ვარდისფერი ტუფი – 5X9X6სმ.). (ნახ. 20$_3$; ტაბ. 22$_8$).

სვეტისთავი კომპლექსის გარეთ

მთლიან ქვაში გამოთლილი უფლის საფლავის თაღედიანი მოდელი გამოვლინდა კომპლექსის აღმოსავლეთით, ორიოდე კმ-ში, მინდორში (წითელი ტუფი – 19.5X20X43სმ). ეს არის კომპლექსში აღმოჩენილ, ზემოთ აღწერილი ნიმუშების მსგავსი მოცულობა – ცოკოლზე მდგომი თაღედებიანი ნაგებობა ტიმპანით შეკრული ნახევარცილინდრული კამარით. კამარაში ამოკვეთილია ჯვრის ჩასადგმელი კვადრატული ღრმული. ამ მოდელს ღრმული აქვს ქვედა მხრიდანაც, რომელშიც ძელაკი იდგმებოდა ქვასვეტის კაპიტელში ჩასამაგრებლად. ძელაკის გაჭედვა ალბათ სოლით ხერხდებოდა უკანა წახნაგში დატოვებული მოზრდილი ხვრელიდან. მართკუთხა ცოკოლზე შემომდგარ ოთხწახნაგა მოცულობას თაროს ფორმის ლავგარდანი აქვს, რომელსაც ძირზე ქონგურებიანი ფრიზი გაუყვება, კამარის ტიმპანი კი ცერადკვეთილ სამკუთხედებით შემოფარგლულ ნახევარწრიულ რკალში ჩასმული ზამბახის სტილიზებული გამოსახულებით არის დამშვენებული. სტილიზებული მოდელის წახნაგებზე შემაღლებული პროპორციის მქონე ნალისებური თაღებია გადაყვანილი (მთავარ წახნაგზე ორთაღედი) წიწვოვან-მცენარეული არშიებით. უკანა წახნაგზე მხოლოდ მოურთველი თაღია ამოკვეთილი. (ნახ. 20$_{9-12}$; ტაბ. 22$_{9-11}$). **[მაჩაბელი კ., 2008, 131, ილ. 65].**

ეს სვეტისთავი მსგავსია კომპლექსში აღმოჩენილი ნიმუშებისა, როგორც ფორმითა და თემატიკით, ასევე მოდელირების ხასიათით და ხარისხითაც. ეს შემთხვევაც კიდევ ერთი დასაბუთებაა ქვის რელიეფების ამ ნიმუშების მკეთებელი შემოქმედებითი სახელოსნოს აქ არსებობისა. ანალოგიური მოდელებით არის დასრულებული დიდი გომარეთის ქვასვეტები **[ჯავახიშვილი გ., 1998, 33,**

ტაბ. LXXI. 1]; მსგავსი მოდელები გვხვდება ასევე ბოლნისის რ-ში **[ჯავახიშვილი გ., 1998, 11, ტაბ. IX. 1-2]** და ისტორიული ბოლნისის „ლამაზ გორაზე“ **[ამირანაშვილი ჯ., 1968, სურ. 18]**.

ყველა ამ მოდელის ქრონოლოგიური არე მათი სტილისტური ნიშნებითა და ანალოგიების მოშველიებით, ისევე როგორც ზემოთ აღწერილი ჯვრის მკლავები, შეგვიძლია V-VII სს-ით შემოვფარგლოთ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ მოწითალო ტუფის ქვისგან გამოთლილი ქვასვეტის მოზრდილი ფრაგმენტი (25X22X45სმ), რომელიც დაცულია ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და რომელიც მუზეუმის საინვენტარო წიგნში გატარებულია, როგორც სტელის სვეტის ნაწილი №414 დმანისის რ-ნის სოფ. ტნუსის ქვედა ეკლესიიდან. ამ ქვასვეტის ორ გვერდზე ფიგურული გამოსახულებებია. მესამე გვერდზე მცენარეული რელიეფია, მეოთხე გვერდი კი გლუვია. ფიგურული და მცენარეული რელიეფები ლილვებით არის მოჩარჩოებული. წინა პირზე შემორჩენილია ლილვებიან მოჩარჩოებაში ჩასმული ადამიანის სრული ფიგურა და მის ქვემოთ მეორე ჩარჩოს ზედა ნაწილი ადამიანის თავისა და მხრების გამოსახულებით. ჩარჩოს ქვედა ნაწილი მომტვრეულია. ამომტვრეულია ასევე ზედა ფიგურის სახე. მოსასხამი მხრებზეა შემოტმასნილი და გრძლად არის გადაშვებული მარჯვენა ხელზე. კაბას ოვალური ფორმის სამ-სამი ნაკეცი აქვს ფიგურის ფეხებზე. მარცხენა ხელში წიგნი უპყრია, ხოლო მარჯვენაში – საცეცხლური. ტერფები სიმეტრიულად არის პროფილში გამოსახული (ტაბ. 161-3).

ამ ქვასვეტს ნაგზაურის ღმრთისმშობლის ქვასვეტის ზომები აქვს (25X22სმ) და კვეთის ტექნიკაც მსგავსია.

ბრტყელი ფილა

ბრტყელი ფილები 6-7 სმ. სისქისაა და რელიეფები მათზე მხოლოდ წინა მხრიდან არის ამოკვეთილი. მსგავსი ფორმის ბრტყელი ფილები აღმოჩნდა გათხრებისას ბოლნისის სიონის ირგვლივ და „ლამაზ გორაზე“ **[Чубинашвили Г., 1940, 101, სურ. 75-76; მუსხელიშვილი ლ., 1938, 338, სურ. 18; ამირანაშვილი ჯ., 1968, 27, სურ. 9-11, 17]**. გამონაკლისია „ლამაზ გორაზე“ აღმოჩენილი ერთ-ერთი ასეთი ბრტყელი ფილა (25X26X9სმ.), რომელიც ორივე მხრიდან არის ორნამენტირებული **[ამირანაშვილი ჯ., 1968, სურ. 4]**. ეს ფილები, თავისი ფორმით, არ ეწერება ქვაჯვარათა ცნობილ კონსტრუქციებში და მათი ადგილი ასევე ჯერ კიდევ დაუდგენელია ეკლესიათა ფასადებისა თუ ინტერიერის კედლებში უკანა ბრტყელი მხრის გამო. ზოგი მეცნიერი ამ ტიპის ფილებს საფლავის ქვებად მიიჩნევს **[მუსხელიშვილი ლ., 1941, 15; ამირანაშვილი ჯ., 1968, 36]**, ზოგს კი ამ მოსაზრების საფუძვლიანობაში ეჭვი ეპარება **[ჯაფარიძე ვ., 1982, 57]**. თუმცა უეჭველია, რომ ქვის რელიეფების ამ ძეგლებს გარკვეული ვოტივური დანიშნულება უნდა ჰქონოდათ და გამოყენებული უნდა ყოფილიყო საეკლესიო შემკულობისთვის **[ბოლქვაძე გ., 2007, 112-134]**.

№1 ეკლესიასთან გამოვლინდა წითელი ტუფისგან გამოთლილი ბრტყელი, 6სმ. სისქის რამდენიმე ნამტვრევი, რომელთაგანაც ორი ნაკლული ფილა აეწყო. ორთავე მათგანზე გამოსახული იყო წრეში ჩახაზული ტოლმკლავებიანი ჯვარი.

პირველი ნაკლული ფილა (ინვ. №23) ორი ნამტვრევისგან აეწყო (6X16X23სმ) (ნახ. 21$_1$; ტაბ. 23$_1$). ფილაზე შემორჩენილია ჯვრის მხოლოდ ერთი მკლავი და მისი მიმდებარე ცერადკვეთილ სამკუთხედებიანი წრის ფრაგმენტი. გამოსახულება გამოირჩევა ღრმა კვეთითა და არქაულობით. ჯვარი გაშლილი ოვალით ებჯინება წრეს. წრის ზევით ნახევარვარდულებიანი ფრიზის ნაწიბურია შემორჩენილი. ნახატი ჩრდილნათელიანია. ამგვარი ნიმუშები მრავლად გვხვდება. მსგავსია დმანისის რ-ნის სოფ. კაკლიანის ქვასვეტის კაპიტელის ბოლნურჯვრიანი გამოსახულება **[ჯავახიშვილი გ., 1998, ტაბ. XL-1]** და სათხის ჩრდ. ეკვდერის ჩრდ. ფასადში ჩაშენებული ქვაჯვარას კაპიტელის



წინა პირის მორთულობა **[ჯაფარიძე ვ., 1982, ტაბ. LVIII-2].** მსგავსი კომპოზიცია ცნობილია ბოლნისის სიონიდანაც V-VI სს. **[ჯავახიშვილი გ., 1998, ტაბ. XXXV-2],** გვხვდება უკანგორის „კვრინჩხიანშიც“, ოღონდ სხვა ვარიაციით **[ჯაფარიძე ვ., 1982, ტაბ. XIX-1].** ჩვენი რელიეფი შეგვიძლია V–VI სს. მიჯნით დავათარიღოთ. იგი ჯერ კიდევ ამ მოტივის საწყისი ეტაპის მაჩვენებელია და არა მისი გვიანი ვარიანტებისა, რომლებიც VII ს-ზე ადრეული არ უნდა იყოს – მაგ., წრეში ჩახაზული ჯვარი „კვრინჩხიანის“ ერთ-ერთ სხვა ქვასვეტზე **[ჯაფარიძე ვ., 1982, ტაბ. XXV-2].**

წითელი ტუფისგან გამოთლილი მეორე ბრტყელი ფილაც (ინვ. №15) ნაკლულია, თუმცა უფრო სრულად არის შემორჩენილი (6X16X23 სმ.). ტოლმკლავა ჯვარი ჩაწერილია წრიულ ჩარჩოში, რომელიც შედგება რვა-რვა, შროშანის ყვავილისა და ფოთლოვანი ორნამენტისგან. ჯვრის ბოლოებგაფართოებული მკლავები ოსტატურად არის განაწილებული წრიულ ჩარჩოში. თვით ჩარჩოს ელემენტები კი სიმეტრიულად არ არის განლაგებული ჯვრის მკლავების მიმართ და ზომებითაც განსხვავებულია. ელემენტების კვეთა წვრილია და მათი გამოსახულება უფრო გრაფიკულია, ვიდრე სკულპტურული. ოსტატს კარგი ხელი აქვს, თუმცა ჩანს, რომ იგი მიმბაძველია. ალბათ უნდა გამოვრიცხოთ Vს. და VI-VIIსს-ით შემოვიფარგლოთ (ნახ. 21₂; ტაბ. 23₂).

ანალოგიური მოტივი ბევრია. თითქმის იდენტურია მედალიონი სათხის ჩრდ. ეკვდერიდან **[ჯაფარიძე ვ., 1982, ტაბ. LXXVIII-3],** მაგრამ უფრო დახვეწილი ჩანს. მოტივის ერთ-ერთი პირველწყარო უნდა იყოს მედალიონი „კვრინჩხიანიდან“ ირანული სამეფო ბაფთით, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში V ს-ით არის დათარიღებული **[ჯაფარიძე ვ., 1982, 75-76, ტაბ. LXXVIII-2].**

შემდეგი ორი ფრაგმენტი ქვასვეტის ნაკლული კაპიტელებია. პირველი მათგანი (ინვ. №99) მონაცრისფრო ტუფისგან არის გამოთლილი (21X25X8 სმ.). ზედა გლუვ წახნაგში მართკუთხა ღრმულია დატანილი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეს წახნაგი კაპიტელის ზედა მხარეა. კაპიტელის ზედა წიბო შეკრულია გრეხილი წარბისებური არშიით. მის ქვეშ კი შემორჩენილია ანგელოზის ნიმბის და ზეაღმართული ფრთების მონაკვეთი. ეს მფრინავი ანგელოზის ნაკლული ფიგურაა და შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ ამ კაპიტელის წახნაგებზე ქრისტეს ან ჯვრის ამაღლების ან/და ღმრთისმშობლის განდიდების კომპოზიცია უნდა ყოფილიყო გამოსახული (ნახ. 21$_5$; ტაბ. 23$_5$).

ამ კომპოზიციის (ღმრთისმშობლის განდიდების) ერთ-ერთი ადრეული ნიმუშია რელიეფი წალკის (ეძანის) ეკლესიის დასავლეთ ფასადიდან (VIს) **[ალადაშვილი ნ., 1972, 17]**. ხოლო ქვემო ბოლნისის სამეკლესიიანი ბაზილიკის სამხრეთ შესასვლელთა არქიტრავებზე გამოსახულია ქრისტეს ამაღლების და ღმრთისმშობლის განდიდების რელიეფები **[Чубинашвили Г. Н., 1970, 106, ილ. 26,27]**. მსგავსი მფრინავი ანგელოზია გამოსახული დიდ გომარეთში ღია ცის ქვეშ აღმართული ერთ-ერთი ქვასვეტის კაპიტელზე **[მაჩაბელი კ., 2008, ილ. 55}**.

მეორე ფრაგმენტი (ინვ. №141) სიმაღლეზე მომტვრეული კაპიტელის ნახევარს წარმოადგენს (წითელი ტუფი – 25X12X34 სმ.). შემორჩენილი გვერდითი წახნაგი გლუვი და ოდნავ შეზნექილია. საპირესა და უკანა მხარეზე კი გამოსახულია წრეში ჩახაზული ტოლმკლავებიანი ჯვარი შემოფარგლული ცერადკვეთილ სამკუთხედებიანი არშიით. ზევით გასდევს ცერადკვეთილი სამკუთხედების მოზრდილი ფრიზი (ნახ. 21$_{3,4}$; ტაბ. 23$_{3,4}$).

ამგვარი გამოსახულება ბევრგან გვხვდება ქვაჯვარათა ბაზებისა და კაპიტელების წახნაგებზე. ამ კაპიტელის შემთხვევაში კვეთა არ არის ღრმა და რელიეფური ნახატი მშრალია. იგრძნობა, რომ ეს ნახატი ოსტატის საავტორო ქმნილება კი არ არის, არამედ მის მიერ კარგად ნაცნობი კომპოზიციის ერთგვარი სერიული ნაწარმია.

კომპლექსის ტერიტორიაზე აღმოჩნდა სხვადასხვა გამის მოწითალო ტუფისგან გამოთლილი გვერდმომტვრეული კვადრების ფორმის ხუთი ქვა (ინვ. №№6,9,10,132,134). ეს ნაკლული კვადრე-

ნახ. 22



ბი დაახლოებით ერთი ზომისაა, სიგრძე სიგანით 20-30, ხოლო სიმაღლით 16-18სმ. მათ მხოლოდ ორ-ორი წახნაგი და ერთი მახვილი კუთხე აქვთ გამოყვანილი, უკანა მხარე კი ყველა მათგანზე მომტვრეულია. წახნაგებს თავდაპირველად სამ-სამი გლუვი ლილვი აუყვებოდა – თითო-თითო გვერდებზე და ერთი ცენტრში. წახნაგები სხვადასხვა ზომით არის მომტვრეული და ამიტომ ზოგ წახნაგს სამივე ლილვი შემორჩა, ზოგსაც კი – ორი ან სულაც ერთი. თავისი ფორმით, ეს კვადრებიც არ ეწერება ქვაჯვარათა ცნობილ კონსტრუქციებში და მათი ადგილიც გაურკვეველია ეკლესიათა ფასადებისა თუ ინტერიერის კედლებში. (ნახ. 22$_{1-5}$; ტაბ. 24$_{1-5a}$).

თუმცა კი უეჭველია, რომ ლილვებით აქცენტირებული ეს კვადრებიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო საეკლესიო შემკულობისთვის. შესაძლოა მათი მომტვრეული უკანა მხარე და მათი ზედა და ქვედა მოსწორებული პირი იმაზე მიუთითებდეს, რომ ისინი კონსტრუქციულ ელემენტებს წარმოადგენდნენ – ღიობების წირთხლებს, აბსიდის ან პილასტრების მხრებს. უფრო კი შესაძლოა ჟალეთის ეკლესიის საკურთხევლისწინა ჯვრის აღსამართავ ექვსწახნაგა კვარცხლბეკის მსგავსი კონსტრუქციის ნაწილები იყოს **[ქადეიშვილი ნ., 1964, 20]**. საგულისხმოა, რომ ორი მათგანი პირველი ეკლესიის დასავლეთ შესასვლელის წინ აღმოჩნდა და ასეთივე გლუვლილვიანი ქვა – ეკლესიის სამხრეთ აღმოსავლეთით. (ნახ. 22$_{1-3}$; ტაბ. 24$_{1-3}$). ამ ტიპის კვადრები ჩვენთვის უცნობია სხვა ძეგლებზე და არც სპეციალურ ლიტერატურაში არ შეგვხვედრია. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი კვადრის წახნაგზე ექვსბოლოიანი ქრისტოგრამაა ამოკვეთილი (ნახ. 22$_{4}$; ტაბ. 24$_{5,5a}$).

ნაგებობის ან რაიმე სტრუქტურის კონსტრუქციული დეტალები უნდა იყოს წითელი ტუფის ორი მომდევნო კვადრი. პირველი (ინვ. №133) უეჭველად კონსტრუქციული დეტალია, რადგან ზედა მხარეს მართკუთხა ხვრელი და ღარი აქვს ე.წ. „უწყვეტი“ მერცხლისკუდა სამაგრისთვის, ხოლო გვერდი და ქვედა მხარე – ირიბად ჩათლილი (31X31X24სმ) (ნახ. 22$_{6}$; ტაბ. 24$_{6}$). დაახლოებით იგივე ზომის მეორე კვადრი (ინვ. №78) კი შესაძლოა ქვასვეტის ნაწილიც იყოს, რომელიც მთლიანად გლუვი და გვერდებმოსწორებულია და მეორადი გამოყენებით არის ჩართული №3 ეკლესიის კანკელში (ნახ. 22$_{7}$; ტაბ. 3, 24$_{7}$).

ანატკეცი

კომპლექსში გამოვლენილი დანარჩენი ნატეხები ძალზე წვრილია, თუმცა მათ შორის გამოირჩევა ორ ათეულამდე ანატკეცი, რომლებზეც ფრაგმენტულად არის შემორჩენილი ზემოთ აღწერილი რელიეფების მსგავსი დეკორაციული მოტივები და ნათლად ჩანს, რომ ქვაჯვარების ანატკეცებს წარმოადგენენ. ორ მათგანზე ადამიანის გამოსახულებაცაა ამოკვეთილი.

სავარაუდოა, რომ ამ ფრაგმენტთა უმეტესობა ბრტყელი ფილების ანატკეცებია. წითელი ტუფისგან გამოთლილ სამ მათგაზე (ინვ. №№8,19,36) გამოსახულია წრიული გრეხილი ლილვისა და ჯვრის მკლავების ნაწიბურები, რაც წრეში ჩასმული ტოლმკლავებიანი ჯვრის კომპოზიციის შემადგენელი ფრაგმენტები უნდა იყოს. (ნახ. 23$_{1,2,5}$; ტაბ. 25$_{1,2,5}$).

ცერადკვეთილი სამკუთხედების, წრიული ლილვების, მრავალფურცელა ვარდულების და სტილიზებული ფოთლების ნაწიბურებია შემორჩენილი წითელი ტუფის მომდევნო ცხრა ფრაგმენტზე (ინვ. №№2,4,22,34,35,54,55,69,98). ეს რელიეფებიც იგივე დეკორაციული რეპერტუარის მქონე კომპოზიციების შემადგენელი ნაწილია. მსგავსია შესრულების ტექნიკა და ქრონოლოგიურადაც არ გამოირჩევიან აღწერილ ნიმუშთაგან (ნახ. 23$_{3,4,6-12}$; ტაბ. 25$_{3,4,6-12}$).

გამოვლინდა ასევე ბრტყელი ლილვებით მოჩარჩოებული წითელი ტუფისგან გამოთლილი ფილების ფრაგმენტები (ინვ. №№3,7,32,67,68,76,96,100,127,136). ლილვების მიმდებარე სიბრტყეები გლუვია (ნახ. 24$_{1-8,11,12}$; ტაბ. 25$_{13-17}$, 26$_{1-3,6,7}$). ერთ მათგანზე ადამიანის ხელაპყრობილი ფიგურის ფრაგმენტია შემორჩენილი (№127). ფიგურის იდაყვში მოხრილი მკლავი სრულდება ხელის მტე-



ვნით. იდაყვიდან ეშვება დრაპირებული ტანსაცმელი (ნახ. 24$_{11}$; ტაბ. 26$_{6}$).

ასეთივე ფილის ანატკეცი უნდა იყოს მცირე ფრაგმენტი ადამიანის თავის ფრონტალური გამოსახულებით (№100). სახე საკმაოდ მაღალი რელიეფითაა შესრულებული. სტილიზებულია თმები, თვალების და პირის მოხაზულობაც, თუმცა სახეს მთლიანად რეალისტური ელფერი აქვს. გამოყვანილია შუბლი, ცხვირი, წარბის რკალები, ყვრიმალები, ლოყები და ნიკაპი. ამ ადამიანის თმების, სახის ნაკვთების გადმოცემის ხერხი და გამომეტყველებაც კი მსგავსია აქვე აღმოჩენილი მთლიანი ქვასვეტის კაპიტელის წახნაგზე ამოკვეთილი მამაკაცების გამოსახულებებისა. (ნახ. 24$_{12}$; ტაბ. 26$_{7}$).

გამოვლინდა ასევე წითელი ტუფისგან გამოთლილი ნახევარწრიული ლილვების ორი ფრაგმენტი (ინვ. №№101, 114). ლილვები საკმაოდ განიერია (12 სმ.) და რელიეფურ ქვასვეტებს არ უნდა ეკუთვნოდნენ. გაურკვეველია მათი მიმართება ეკლესიებთანაც (ნახ. 24$_{9,10}$; ტაბ. 26$_{4,5}$).

Abb. 24



კომპლექსის სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდა მოწითალო ტუფისგან გამოკვეთილი, ცხოველის სამი თავის სტილიზებული ჰორელიეფების (ფაქტობრივად მრგვალი ქანდაკების) ფრაგმენტები. ამ ფრაგმენტებისგან შედგა ლომის მასიური ყვრიმალებიანი სახის და თავის წინა ნაწილის სტილიზებული გამოსახულება – ფაფრით და ყურებით, მოზრდილი დინგისებრი ცხვირით და კბილებიანი ყბებით. პირველი ორი თავი ზედა ყბით გამოვლინდა №1 ეკლესიის სამხრეთ კედელთან (ნახ. 251,2; ტაბ. 271-3). პირველი ლომის ქვედა ყბა აღმოჩნდა №3 ეკლესიის დასავლეთ ფასადთან. მეორე ლომის ქვედა ყბა კი ვერ მოვიძიეთ. მესამე ჰორელიეფის ფრაგმენტი – უფრო მცირე ზომის ლომის თავის ქვედა ყბის ნაწილი აღმოჩნდა №1 ეკლესიის დასავლეთ კედელთან (ნახ. 25₃; ტაბ. 27₄).

საგულისხმოა, რომ პირველ ორ მათგანს თავზე ღარი აქვს ამოკვეთილი. სახეები სტილიზებულია, ფორმა მოცულობითი. უეჭველად ჩანს წარმართული ტრადიციის კვალი მათ ფორმასა და შინაარსში. მათ თავებზე ამოკვეთილი ღარები გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ეს ჰორელიეფები ეკლესიის მორთულობას განეკუთვნებოდა და შესაძლოა სახურავის დეტალს – წყალსაწრეტ სიმას ფუნქციას ასრულებდნენ. თუმცა ამის დასაბუთება ძნელია.

ქრისტიანული ეპოქის საქართველოში ლომის რელიეფური გამოსახულებები ხშირია და მრავლად გვხვდება, როგორც ადრექრისტიანულ, ასევე მომდევნო ხანის ეკლესიათა ფასადებსა და ინტერიერში [**ალადაშვილი ნ., 1974, 96; Аладашвили Н. А., 1977, 12, 13, 14**]. თუმცა ამგვარი ჰორელიეფები, რომლებიც ფაქტობრივად მრგვალ ქანდაკებას წარმოადგენენ, იშვიათია. ცნობილია მხოლოდ აფხაზეთის სოფ. ლიხნში აღმოჩენილი ლომის თავის მარმარილოს მრგვალი ქანდაკება. ლ. ხრუშკოვა მას VI-ით ათარიღებს და მიიჩნევს, რომ ეს ქანდაკება საერო ნაგებობის მორთულობა უნდა ყოფილიყო [**Хрушкова Л. Г., 1980, 40**]. სხვა ამგვარი ჰორელიეფი ცნობილი არ არის ქრისტიანული ეპოქის საქართველოში და ამ მხრივ უნიკალურია. სხვადასხვა მოდიფიკაციის მს-



გავსი ელემენტები მრავლად გვხვდება გვიანანტიკურ და სასანიდურ ხუროთმოძღვრებაში. ლომის გამოსახულებიანი ქანდაკებები ცნობილია ვანიდან **[ხოშტარია ნ., და სხვ. 1972, 181, სურ. 144-149].** ამდენად, მათი დათარიღება ადრექრისტიანული ხანის საწყისი ეტაპით შესაძლებლად მიგვაჩნია (ნახ. 25₁-₃; ტაბ. 27).

ქვის ჭურჭელი

მეოთხე ეკლესიის ინტერიერში აღმოჩნდა წითელი ტუფისგან გამოთლილი ქვის ჭურჭლის რამდენიმე ნამტვრევი. ამ ნამტვრევებისგან აეწყო 41X27სმ. სიგრძე-სიგანისა და 17.5სმ. სიმაღლის მართკუთხა ჭურჭელი (ინვ. №93). მას ძირში მრგვალი, კონუსური გამჭოლი ხვრელი აქვს (ნახ. 26; ტაბ. 27₅,₆).

ქვის რელიეფების ნიმუშთა ასეთი სიმრავლე და მრავალფეროვნება გვაფიქრებინებს, რომ ამ რეგიონში ადრე შუა საუკუნეებში უნდა ყოფილიყო ქვითხურო მოქანდაკეთა სახელოსნოები, მრავალრიცხოვანი ოსტატ-შეგირდებით, სადაც ქვის რელიეფების ნიმუშთა სერიული წარმოება მიმდინარეობდა და ამავე დროს შედევრებიც იქმნებოდა.

ნახ. 26



1 (93)

ქვაჯვარა აღსაყდრებული ჩვილედი ღმრთისმშობლის გამოსახულებით[4]

მეოთხე ეკლესიის ინტერიერში აღმოჩენილი წითელი ტუფის მონოლითური ოთხწახნაგა სვეტის (სიმაღლე 113 სმ.) კვეთა კვადრატთანაა მიახლოებული (25X22 სმ.). იგი ამავე ბლოკში გამოკვეთილი კაპიტელითაა დაგვირგვინებული (კაპიტელის სიმაღლე 27 სმ.). კაპიტელის ზედა სიბრტყეში ქვის სკულპტურული ჯვრის ჩასამაგრებლად ღრმა ფოსოა ჩაკვეთილი (კვეთაში 3X3სმ.), რაც იმის დასტურია, რომ ქვასვეტის ფრაგმენტი ქვაჯვარას კონსტრუქციის ზედა ნაწილს წარმოადგენს (ნახ. 11,12$_{1,2}$; ტაბ. 9-15).

ქვასვეტის კაპიტელის ფორმა კუბთან მიახლოებული გეომეტრიული მოცულობაა, ოდნავ შეზნექილი წიბოებით (სიმაღლისა და სიგანის შეფარდება 27X25 სმ.). კაპიტელის ამგვარი ფორმა დამახასიათებელია VI-VII საუკუნეთა ქართული ქვაჯვარებისათვის (ბრდაძორი, ნაღვარევი, უკანგორი, დმანისი, ბოლნისი) **[მაჩაბელი კ., 1998, ილ. 3,5,11,14,16]**. სვეტის წახნაგები ერთმანეთისგან ქვის სისქეში გამოკვეთილი კუთხის სვეტებითაა გამოყოფილი. კაპიტელი, რომლის წახნაგები რელიეფური სახეებითაა შემკული, მხოლოდ ორ მხარეს (დას. და ჩრდ.) ზედა ნაწილში ორნამენტული ჩარჩოთია შემოსაზღვრული (საფასადო მხარეს კონცენტრული რკალების მოტივია, ჩრდილოეთის მხარეს სამკუთხედების წყება). რელიეფური სახეებითა და არქიტექტურული ორნამენტით შემკული კაპიტელის ამგვარივე ფორმა გვხვდება საქართველოს მეზობელი ქვეყნის – ირანის ხელოვნებაში, რომელთანაც საქართველოს, აქამენიანთა ეპოქიდან მოყოლებული, მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა. სასანური ირანის კულტურასთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობები კარგადაა ცნობილი. გავიხსენებ, რომ გვიანრომაული ხანის იბერიის ტორევტიკაში თავისებურად აისახა საქართველო-ირანის ურთიერთობის რთული სურათი **[Мачабели К., 1976, 105–130]** ეს კულტურული კავშირები არ შეწყვეტილა შუა საუკუნეების განმავლობაში. არ შევეხები ირანულ ხუროთმოძღვრებასთან ქართულის მიმართებას, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ დმანური კაპიტელი სიახლოვეს ამჟღავნებს ირანული არქიტექტურის ზოგიერთ კონსტრუქციულ ელემენტთან, მაგალითად, ტაკ-ი ბოსტანის კაპიტელთან, რომელზეც სასანიანი მბრძანებლის რელიეფური სახეა წარმოდგენილი **[Ghirshmann R., 1962, სურ. 375]**. ანალოგიურია კაპიტელის ფორმა, ტრაპეციისებური ზედაპირის შევსება ფიგურული რელიეფით, და რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია, კაპიტელის შემოსაზღვრა ზედა ნაწილში ორნამენტის ზოლით. მნიშვნელოვანია, რომ ტაკ-ი ბოსტანის აღნიშნული კაპიტელის ზედა ჩარჩოს ორნამენტი – მინიატურული თაღნარი, რომელსაც მკვლევარნი სპარსულ ორნამენტაციაში ინოვაციად მიიჩნევენ, გარკვეულად სახეშეცვლილი გვხვდება მთელ რიგ ქართულ ქვასვეტებზე (ძველი მუსხი, ხანდისი, დმანისი, VIს. IIნახ.). რ. გირშმანის აზრით, სასანური ხუროთმოძღვრების ძეგლებსა (მაგ. ქტეზიფონის სასახლის თაღების შემამკობელი პატარა თაღედები) და IV–VI სს. სირიულ და ბიზანტიურ არქიტექტურაში გავრცელებული თაღების მწკრივი ელინისტური ელემენტების გარკვეული მეტამორფოზების შედეგს წარმოადგენს. მკვლევრის ვარაუდით, ეს არქიტექტურული მოტივი აღმოსავლური წარმოშობისაა **[Ghirshmann R., 1962, 292]**.

დმანისის ქვასვეტის წახნაგების რელიეფური დეკორი კარგად გააზრებულ იკონოგრაფიულ პროგრამას ეფუძნება. ქვასვეტის რელიეფურ კომპოზიციაში ორგანულადაა ჩართული ფიგურული და ორნამენტული მოტივები, რომელთაგან თითოეულს, მისი იდეური და მხატვრული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ზუსტად განსაზღვრული ადგილი აქვს მიჩენილი. დაბალ რელიეფში შესრულებული გამოსახულებები ხალიჩისებურად ფარავს სვეტისა და კაპიტელის ზედაპირებს. ქვასვეტის ოთხი წახნაგიდან ერთი (მთავარი) ფიგურული კომპოზიციებითაა დაფარული, მის მომიჯნავე წახნაგებს კი მცენარეული ორნამენტი ამკობს, უორნამენტოდაა დატოვებული მეოთხე წახნაგი (ზურგის მხარე).

4 აღნიშნული თავი ეკუთვნის – ქ-ნ კიტი მაჩაბელს

სვეტისგან განსხვავებით, კაპიტელის ოთხივე მხარე ფიგურული რელიეფებითაა შემკული. პირით მხარეზე (დას.) აღსაყდრებული ყრმიანი ღმრთისმშობლის რელიეფური სახეა გამოსახული. მის მომიჯნავე წახნაგზე (სამხ.) გამოსახულია მამაკაცის ორი ფრონტალური ფიგურა. კაპიტელის მეორე გვერდითი წახნაგის (ჩრდ.) მთელ არეს ლომის სტილიზებული გამოსახულება ავსებს. კაპიტელის ზურგის მხარეზე ოსტატურად შესრულებული ფარშევანგის რელიეფური გამოსახულებაა.

სვეტის მთავარი წახნაგის ზედაპირი რამდენიმე სწორკუთხა არედაა დაყოფილი, რომლებზეც ორფიგურიანი კომპოზიციებია განთავსებული. რელიეფური სცენები ორნამენტული ჩარჩოებითაა შემოსაზღვრული. სვეტის ზედა ნაწილში, ღმრთისმშობლის რელიეფური ხატის ქვეშ, ნათლისღების სცენაა, მის ქვემოთ – ორ არეზე ფრონტალურად მდგომი ორ-ორი ფიგურაა. გვერდით წახნაგებს ქართული ქვაჯვარებისათვის დამახასიათებელი მცენარეული მოტივები ამკობს: სამხრეთის წახნაგზე ურთიერთთან შეპირისპირებული პალმეტების ზოლია ვერტიკალურად გაშლილი. მეორე წახნაგის (ჩრდ.) ორნამენტიც არ არის უცხო ქართული ქვასვეტებისათვის – სამმაგი ლილვების გადახლართვით შედგენილი წრეები, რომლებშიც რვაფურცლა ვარდულებია ჩასმული.

დმანისის ქვაჯვარას რელიეფური დეკორის იკონოგრაფიული პროგრამა საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. რელიეფური დეკორის საკმაოდ კარგი დაცულობა საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ არა მხოლოდ რელიეფური პროგრამის იდეოლოგიურ პრინციპებზე, არამედ დეკორის მხატვრულ-სტილურ თავისებურებებზე.

დმანისის სვეტის იდეური პროგრამის არსის წვდომისათვის საჭიროა თითოეული კომპოზიციის საგანგებოდ განხილვა და მათი გააზრება ქვასვეტის ერთიანი იკონოგრაფიული სქემის კონტექსტში. ქვაჯვარათა რელიეფური პროგრამები, როგორც წესი, ღრმად გააზრებულ თეოლოგიურ იდეას ეფუძნება. იმის გათვალისწინებით, რომ ქვაჯვარების რელიეფურ კომპოზიციებში გამოყენებულია ვერტიკალური იერარქიის პრინციპი და აზრობრივად ყველაზე მნიშვნელოვანი თემები ზედა რეგისტრშია განლაგებული, დავიწყებ კაპიტელის საფასადო მხარეზე წარმოდგენილი მთავარი თემით – ღმრთისმშობლის რელიეფური ხატით.

ღმრთისმშობელი ყრმით (ნახ. 11₁; ტაბ. 9₁, 11). ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვასვეტების რელიეფებმა დედაღვთისას არა ერთი რელიეფური სახე შემოგვინახა. აღსაყდრებული ღმრთისმშობლის თემა სვეტების დეკორატიულ პროგრამებშია ჩართული, სადაც მას განსაკუთრებული მხატვრულ-აზრობრივი დატვირთვა ენიჭება. ტახტზე დაბრძანებული ყრმიანი ღმრთისმშობელი ქართლის არა ერთ ქვასვეტზეა გამოსახული (ხანდისი, ბოლნისი, ბრდაძორი, მამულა) **[მაჩაბელი კ., 2001, ტაბ. 56, 60]**. დმანისის რელიეფი ღმრთისმშობლის იკონოგრაფიული ტიპის თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს.

ქვასვეტის კაპიტელის მთავარ წაგნაგზე ღმრთისმშობელი საზეიმო იერატული სახითაა წარმოდგენილი. აღსაყდრებული ყრმიანი ღმრთისმშობლის ფიგურა მთლიანად ავსებს კაპიტელის არეს. მისი თავი კაპიტელის ზედა ჩარჩოს ებჯინება, რაც ოპტიკურად ზრდის მის ზომას. ღმრთისმშობელი მკაცრად ფრონტალურია. იგი უზურგო ტახტზე, ზუსტად სიმეტრიის ღერძზეა დაბრძანებული. ზედაპირის დამუშავების სიბრტყობრივ-დეკორატიული ხასიათი ამ რელიეფური სახის მხატვრულ თავისებურებას განაპირობებს. ფორმები შექმნილია პარელელურ რელიეფურ ხაზთა ნახატის თავისებური სისტემით. ეს მთავარი პრინციპი, რომელიც პლასტიკური ფორმების დემატერიალიზაციას და სიბრტყობრივ სქემაზე მათ დაყვანას გულისხმობს, უცნაურ მიმართებაშია მსუბუქად გამოვლენილ სივრცობრივ მომენტებთან.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით ღმრთისმშობლის რელიეფურ სახეს, ერთგვარ კანონზომიერებას შევნიშნავთ: ქვემოდან ზემოთ მსუბუქად მატულობს პლასტიკური ფორმების მოცულობის გამოვლენის ცდა. მაფორიუმით მობურული ღმრთისმშობლის სახე მთელი კომპოზიციის აზრო-

ბრივი და კომპოზიციური ცენტრია. მრგვალი ფართო სახე, დიდი, ფართოდ გახელილი თვალები, რომლებიც პირდაპირ მაყურებელს უმზერენ, კომპოზიციის ყველაზე რელიეფური, მოცულობითი ნაწილია. იმ დროს, როდესაც რელიეფის მთელი ზედაპირი რელიეფურ ხაზთა ორნამენტული «ბადითაა» დაფარული, ღმრთისმშობლის სახე, თავისი გლუვი, დაუნაწევრებელი «მოცულობით», კომპოზიციის მნიშვნელოვან პლასტიკურ აქცენტს ქმნის. თავი ფონიდან ოდნავ ამოწეული ბრტყელი ფორმაა, თავისებურად აღნიშნული სახის ნაკვთებით. თავის „მოცულობის" გამოვლენას ემსახურება თავზე მოსხმული მაფორიუმის კალთა, რომლის წახნაგოვანი კონტური მიუყვება თავის ფორმას და ერთგვარ «სივრცეს» ქმნის მის გარშემო. ფონიდან ოდნავ ამოზიდული მაფორიუმის რელიეფური სილუეტით წარმოქმნილ დაჩრდილულ ფონზე მკაფიოდ გამოიკვეთება ღმრთისმშობლის სახის დაუნაწევრებული ფორმები. ნიშანდობლივია, რომ ამ რელიეფზე ქრისტე და ღმრთისმშობელი უშარავანდოდ არიან გამოსახულნი და მაფორიუმის წრიული ფორმა, რომელიც თავის მოხაზულობას მიუყვება, თავისი რელიეფური წახნაგოვანი ნახატით თითქოს შარავანდის ფუნქციასაც ასრულებს. მაფორიუმის ქვეშ მკაფიოდაა აღნიშნული ღმრთისმშობლის თავსაკრავი, რომელსაც შუბლს ზემოთ ქვის სისქეში ამოკვეთილი პატარა ტოლმკლავა ჯვარი ამკობს.

ქართული ქვაჯვარების რელიეფურ პროგრამებში ჩართული ღმრთისმშობლის ცნობილი სახეებისგან განსხვავებით, დმანურ რელიეფზე ყრმა ქრისტე ღმრთისმშობელს მუხლებზე კი არ უზის, არამედ კალთაში უწევს მას. უცნაურია ქრისტეს პოზა – წელს ზემოთ მისი სხეული ზუსტად ღმრთისმშობლის მკერდის წინ, ცენტრშია მოთავსებული, ფეხები კი დედის მუხლებზე მარცხნივაა გაშლილი. მარცხენა ხელი საკმაოდ გაურკვევლად წელთან აქვს გამოსახული (მისი მოხაზულობა იკარგება მოსასხამის ნაკეცებში), მარჯვენა კი – მკერდთანაა მიტანილი. უჩვეულოა ქრისტეს თავის პროფილში გამოსახვა. მისი თავი მარცხნივ, სხეულის მიმართულებითაა მიბრუნებული. ღმრთისმშობლის მარჯვენა ხელი იესოს მხარს ეხება, გარკვევითაა გამოსახული ხელის მტევანი, თითების მოხაზულობა თითქოს ყრმის ქიტონის ნაკეცთა ნახატშია ჩართული, მარცხენა ხელი კი მას ყრმის მუხლზე უდევს. ღმრთისმშობლის ეს ბუნებრივი, დედობრივი ჟესტი პირობითადაა გადმოცემული, აღნიშნულია მხოლოდ ხელის მტევნები, საკუთრივ ხელების ფორმა სრულიად იგნორირებულია. მაფორიუმის პარალელური ნაკეცების სქემატური, სხეულის ფორმებთან დაუკავშირებელი ნახატი ფიგურის მხოლოდ ზოგად მოხაზულობას მიანიშნებს.

რელიეფის სიბრტყობრივ-პირობითი ხასიათი არ გამორიცხავს მოქანდაკის კარგად გააზრებულ კონცეფციას. ამგვარი სტილური მიდგომის ფარგლებში კომპიზიციას ზუსტად გათვლილი სტრუქტურული სქემა უდევს საფუძვლად. იგი სიმეტრიის პრინციპითაა აგებული – ღმრთისმშობლის ფიგურა ცენტრალურ ღერძზეა განთავსებული. უცნაურად ჩანს სიმეტრიის წარმოსახვითი ღერძზე მოთავსებული იესოს ფასში წარმოდგენილი თვალი სახის პროფილში გამოსახვასთან მიმართებაში. პროფილისა და ფასის ამგვარი შეთავსება, სრულიად უცხო ქართული რელიეფებისათვის, ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ეფექტს ახდენს: ოსტატი ერთი მხრივ, თითქოს ცდილობს დედის კალთაში ჩვილის ბუნებრივი პოზის გადმოცემას, მეორე მხრივ კი ვერ უგულებელყოფს იესოს მაყურებელთან კონტაქტის აუცილებლობას, მასთან მზერით შეხვედრას. ამას ემატება სახის პროფილური მდგომარეობის დროს არა მხოლოდ თვალის, არამედ პირის პირდაპირ ჩვენება (შეად. პირის მოხაზულობა ქვასვეტის სხვა პერსონაჟებთან). ამასთანავე, იესოს თვალის დამუშავება ზუსტად ანალოგიურია სვეტის სხვა პერსონაჟების თვალების გადმოცემისა. ეს არის დიდი ნუშისებრი მოცულობა შუაში ამოკვეთილი წრეხაზით, რომლის ცენტრი ჩაჩხვლეტილი წერტილითაა აღნიშნული. წარბის ხაზი ნაჩვენებია ოდნავ ამოწეული ფორმით და ზუსტად მინიშნებული წახნგოვანი მოხაზულობით. იესოს ამგვარ უჩვეულო გამოსახვას ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით.

კომპოზიციის მკაცრი სიმეტრიულობის პირობებში ოსტატი ცდილობს გარკვეული დეტალების

ბუნებრივად ჩვენებას, მაგრამ ეს სურვილი თითქოს კონფლიქტში შედის რელიეფის საერთო უკიდურესად პირობით მეტყველებასთან. ასეთი დეტალია ღმრთისმშობლის მაფორიუმის ასიმეტრიული ფორმა – მისი კალთა მარჯვნიდან შემოუყვება სახის ოვალს და მარცხენა მხარზეა გადაფენილი (შეად. ამ დეტალის მკაცრად სიმეტრიული გადმოცემა ხანდისის, ბოლნისის, ბრდაძორის ქვასვეტებზე).

მთელ რიგ თავისებურებებთან ერთად, ღმრთისმშობლის ფიგურის გადმოცემაში თავს იჩენს მხატვრული ხერხები, რომლებიც ავლენს ამ რელიეფის სიახლოვეს VI საუკუნის დასასრულის ქვასვეტების ანალოგიურ რელიეფურ სახეებთან. მხედველობაში მაქვს მკაცრად გაწონასწორებული ფრონტალური კომპოზიცია, ფიგურის აგების ზუსტად გათვლილი სქემა: იგი თითქოს სამი, დაახლოვებით ერთი ზომის ნაწილისგან შედგება: ქვედა ნაწილი – მუხლებს ქვემოთ, შემდეგ – საკუთრივ სხეული, მხრების ჩათვლით, და ყველაზე მნიშვნელოვანი და მეტყველი – დედაღვთისას თავი (ღმრთისმშობლის ფიგურის აგების ამგვარი პროპორციული პრინციპი გვხვდება ხანდისის და ბოლნისის ქვასვეტებზე). ანალოგიურია ღმრთისმშობლის კაბის კალთისა და ფეხების გადმოცემის ხერხი. სამმაგი წვრილი ლილვით შემოხაზული დამახასიათებელი ფორმის აბრისი და მის შიგნით მაფორიუმის კალთის ნაკეცთა გადმოცემა ურთიერთგადამკვეთი პარალელური დიაგონალური ხაზების ნახატით, რომლებიც ერთმანეთზე გადასული კალთების სრულიად პირობით სქემას ქმნის. ზუსტად ამგვარია ღმრთისმშობლის ფიგურის დამუშავება ზემოხსენებულ ქვასვეტებზე, რომელთაგან დმანური რელიეფი მხოლოდ შიდა ნახატით განსხვავდება. ღმრთისმშობლის მაფორიუმის ქობა რელიეფური წრეების ზოლითაა შემკული.

დმანისის ქვასვეტზე ღმრთისმშობელი უშარავანდოდაა გამოსახული. დედაღვთისას ამგვარი გამოსახვა არ არის იშვიათი ადრეული შუა საუკუნეების ხელოვნების ნაწარმოებებში და გვხვდება როგორც საქართველოში, ასევე ბიზანტიური და სირიულ-პალესტინური ხელოვნების ქმნილებებში. საკმარისია დავასახელოთ ღმრთისმშობლის რელიეფური სახეები დავათის ქვასვეტზე **[მაჩაბელი კ., 1989, 34-47]**, ბიზანტიურ (კონსტანტინოპოლურ) და სირია-პალესტინურ სპილოს ძვლის რელიეფებზე (იხ. დიპტიქები ბერლინისა და ბრიტანეთის მუზეუმებში **[Weitzmann K., 1979, 529, n.474, 532, n.476]**. ყველა ზემოაღნიშნული რელიეფი ზუსტად VI საუკუნით თარიღდება, რაც გამორიცხავს ზოგიერთი მკვლევრის მიერ დმანისის ქვასვეტის უფრო ადრეული ეპოქით დათარიღების ცდას მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ დედაღვთისა უშარავანდოდაა გამოსახული, რაც თითქოს ნაწარმოების სიძველეზე უნდა მიუთითებდეს. უშარავენდოდაა გამოსახული ღმრთისმშობელი VI-VII სს. კოპტურ ქვის რელიეფებზეც **[Effenberger A., 1974, ტაბ. 44,45]**. კოპტურ ხელოვნებასთან ქართული რელიეფების მიმართება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ეს საკითხი სწორედ დმანისის სვეტთან დაკავშირებით განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

ღმრთისმშობლის მაფორიუმის ნაკეცებით ორივე მხრიდან შემოსაზღვრული იესოს სხეული, როგორც წიაღში, ისეა ჩაწერილი მისთვის განკუთვნილ არეში. ასეთი განლაგებით იგი თითქოს დამატებით მოცულობას იძენს. დამახასიათებელია ყრმა იესოს თავის გადმოცემა: სახის პროფილში გამოსახვას თან ერთვის თმის დამუშავების თავისებური ხერხი. შუბლს ზემოთ რელიეფური ხაზით შემოსაზღვრული თმის მასა პარალელური რელიეფური ხაზების რიგითაა შექმნილი. ზუსტად ასეა დამუშავებული თმა ამ ქვასვეტის სხვა პერსონაჟებთან, ოღონდაც ისინი ფრონტალურად არიან გამოსახულნი. იესოს სახის გადმოცემაში კი საკმაოდ უცნაურადაა შეთავსებული სახის პროფილში, თმის კი ფასში გამოსახვა. ამ სვეტის რელიეფების დამახასიათებელი ნიშანია აგრეთვე ყურის გამოსახვის თავისებური ხერხი – საფეთქლის დონეზე, თმის მასის ზღვარზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ყრმა იესოს პოზა. ქვასვეტის რელიეფური გამოსახულებების ოსტატური კომპოზიციური განთავსება, საერთო პროგრამის გააზრებული მხატვრული და იდეური გადაწყვეტა გამორიცხავს ქვასვეტზე რაიმე დეტალის შემთხვევითობას, მითუმეტესად,

როდესაც საქმე ეხება რელიეფების თეოლოგიური პროგრამის მთავარ წმინდა სახეებს. ამის გამო აუცილებელი გახდა ღმრთისმშობლის კალთაში იესოს ერთგვარად გაუგებარი პოზისთვის ახსნის მონახვა. ბიზანტიურ ნაწარმოებებში ანალოგიური სქემის არარსებობის გამო მივმართე კოპტურ რელიეფებს, რომელთა სიახლოვე ქართულ პლასტიკასთან არაერთხელ აღმინიშნავს ჩვენი რელიეფების ზოგიერთ მხატვრულ და კომპოზიციურ თავისებურებებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ჩემი ყურადღება მიიპყრო კოპტურ რელიეფებზე ღმრთისმშობლის გავრცელებულმა ტიპმა – გალაქტოტროფუსამ, რომელიც უცხოა ბიზანტიური ხელოვნებისათვის და მხოლოდ ეგვიპტელ ქრისტიანებთან გვხვდება. დედაღვთისას ეს იკონოგრაფიული ტიპი, რომელსაც მკვლევრები ისიდას უძველეს ადგილობრივ კულტს უკავშირებენ, წარმოადგენს აღსაყდრებულ ღმრთისმშობელს, რომელიც ძუძუს აწოვებს მის მუხლებზე მოკალათებულ ჩვილ იესოს **[Bolman E.S., 2005, 13-23].** გალაქტოტროფუსას სახელით ცნობილი ღმრთისმშობლის ეს იკონოგრაფიული ტიპი VI-VII საუკუნეების კოპტურ რელიეფებსა და ფრესკებზე გვხვდება (იხ. კირქვის რელიეფი ფაიუმიდან. კაიროს მუზეუმი, VIIს.; წმ. იერემიას მონასტრის კაპელის ნიშის მხატვრობა, VIIს. საქარა; ე.წ. «სირიულ მონასტრის» მოხატულობა) **[Effenberger A., 1974, ტაბ. 44,45; Vassilaki M., 2005, ილ. 2.1, 2.2].** გამოთქმულია მოსაზრება, რომ კოპტურ ხელოვნებაში ღმრთისმშობლის იკონოგრაფია ეგვიპტური ძირებით იკვებება და შეესაბამება თეოტოკოსის კოპტურ აღქმას, რაც ქრისტეს ორმაგი ბუნების აღიარებას გულისხმობს **[Effenberger A., 1974, 214].** ადრეულ კოპტურ კონტექსტში გალაქტოტროფუსა ერთმნიშვნელოვნად ევქარისტიის მეტაფორად იკითხება, ქრისტე დედის რძეს შეიწოვს, როგორც ღმრთის Logos-ს **[Bolman E.S., 2005, 19]**. თუ გავითვალისწინებთ V-VI საუკუნეების საქართველოს ინტენსიურ საგარეო კულტურულ ურთიერთობებს მის გარემომცველ ქრისტიანულ სამყაროსთან, ქართული კულტურის ცენტრების არსებობას წმინდა მიწაზე, ეგვიპტეში, კვიპროსზე, სინაზე და სხვ., არ შეიძლება გამოირიცხოს ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა კონტაქტები კოპტურ სამყაროსთან. ეს საკითხი უთუოდ დამატებით კვლევას საჭიროებს, რადგანაც მოსაზრება კოპტებთან ქართველების კავშირების შესახებ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში იყო გამოთქმული ოსკარ ფონ ლემის მიერ **[Lemm von O., 1906]** და შემდეგში განმეორებული ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისადმი მიძღვნილ კორნელი კეკელიძის ნაშრომში **[კეკელიძე კ., 1980, 49-50].** მკვლევარი მიიჩნევს, რომ ქართველებისა და კოპტების ზოგადი კულტურული ურთიერთობები დასტურდება იერუსალიმში, სადაც ქართველებს საკუთარი მონასტრები ჰქონდათ და სადაც კოპტების მოღვაწეობაცაა დადასტურებული. ამას გარდა, ეს ურთიერთობები შესაძლოა საკუთრივ ეგვიპტეშიც, „კოპტურ კულტურულ სამყაროში" არსებულიყო. თუ კი ამგვარი კავშირები ლიტერატურული მონაცემებით დასტურდება, ამას შეიძლება დაემატოს ადრეული შუა საუკუნეების ქართული რელიეფების ის მხატვრული და იკონოგრაფიული ნიშნებიც, რომლებიც გასაგები ხდება სწორედ კოპტური პლასტიკის ძეგლების გათვალისწინებით.

დმანისის რელიეფზე ჩანს ოსტატის ცდა ერთმანეთთან შეათანხმოს ქვასვეტების ანალოგიური კომპოზიციებისათვის დამახასიათებელი მკაცრი ფრონტალობა და სიმეტრია (ღმრთისმშობლისა და ქრისტეს თავების განლაგება სიმეტრიის ღერძზე, ქრისტეს თავის მდებარეობა კომპოზიციის დიაგონალების გადაკვეთაზე და სხვ.) მისთვის უცხო გალაქტოტროფუსას ტიპის ღმრთისმშობლის კომპოზიციურ დეტალებთან (იესოს პოზა დედის კალთაში, პროფილისა და ფასის შეთავსება). ამგვარი მიდგომა სავსებით ბუნებრივია იმ ეპოქისათვის, როდესაც ყალიბდებოდა ქრისტიანული იკონოგრაფია, როდესაც ქართლი – აღმოსავლურქრისტიანული სამყაროს განუყოფელი ნაწილი – აქტიურად იყო ჩართული ქრისტიანული კულტურის განვითარების გლობალურ პროცესში და სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებთან ერთად მონაწილეობდა ქრისტიანული იკონოგრაფიის ჩამოყალიბებაში. არ არის გამორიცხული, რომ ღმრთისმშობლის ამ რელიეფური ხატის იკონოგრაფიული თავისებურე-

ბები გარკვეული იდეური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. რელიეფური კომპოზიციების ამ კუთხით განხილვისათვის კი დამატებითი მასალის მოხმობაა აუცილებელი..

ღმრთისმშობლის რელიეფური ხატის მთავარი მხატვრული საშუალებაა ხაზი, მთელი ზედაპირი კარგად გათვლილ პარალელურ ხაზთა ორნამენტულ ნახატს ეფუძნება და ამ თავისებურ დეკორატიულ ქარგაში ოსტატი ახერხებს მაყურებლის თვალის შეჩერებას ღმრთისმშობლისა და იესოს ხელის მტევნებზე, რომელთა განლაგება ამ შემთხვევაში სიმბოლურ ჟღერადობას იძენს.

რელიეფურ კომპოზიციაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უზურგო ტახტი, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება ქართული ქვასვეტების რელიეფურ კომპოზიციებში. ერთი შეხედვით, ტახტის ფორმა თითქოს ხალხურ ყოფაში გავრცელებული ხის დაბალი სკამის ვარიაციაა – ოთხი პარალელური ლილვით გადმოცემული ჰორიზონტალური ნაწილი და მრგვალ დეტალზე დაყრდნობილი ორმაგი წვრილი სვეტების ფორმით გამოსახული ფეხები.

ღმრთისმშობელი, ჩვეულებისამებრ, მუთაქაზეა დაბრძანებული. მუთაქა ამგვარ კომპოზიციებში, როგორც წესი, სიმეტრიულად ჩანს ფიგურის ორივე მხარეს. დმანურ რელიეფზე ზედხედში გამოსახული, პალმის რტოს ორნამენტით შემკული მუთაქა მკაფიოდ მოჩანს მხოლოდ ღმრთისმშობლის მარჯვენა მხარეს. მარცხენა მხარეს კი მხოლოდ მუთაქის მოხაზულობაა (უორნამენტოდ), რომელზეც იესოს ფეხებია განლაგებული. მუთაქის ანალოგიურ გადმოცემას (ზედხედში), ამავე ფორმითა და პალმის რტოს სქემატური ორნამენტით ვხედავთ კოპტურ ფრესკაზე საქარის მონასტრიდან (VII საუკუნის I ნახ.) **[Кондаков Н. П., 1914, 256, ნახ. 159].** ამ შემთხვევაშიც ტახტის მუთაქის ორნამენტული მოტივი კონკრეტული სიმბოლური დატვირთვის მატარებელია.

მარადმწვანე პალმა მართალთა ემბლემად მოიაზრებოდა. „მართალი ვითარცა ფინიკი აღყუავნეს და ვითარცა ნაძვი ლიბანისაი განმრავლდეს“ – ვკითხულობთ ფსალმუნში (ფსალ. 91,12). ქრისტიანებთან პალმა „სიცოცხლის ხესთან“, მარადიული ცხოვრების წყაროსთან ასოცირდებოდა. პალმა სამოთხის სინონიმადაც აღიქმებოდა, რაც დასტურდება ქრისტეს დიდების აბსიდურ კომპოზიციებში პალმის ხეების გამოსახვის პრაქტიკით (მაგ. კვიპროსზე პანაგია კანაკარიას მოზაიკა, VI ს.) **[Grabar A., 1955, 310].** პალმის ხის რელიეფები ამკობს სინაზე წმ. ეკატერინეს მონასტრის ტაძრის ფასადსაც **[Sinai, 1999, ილ.10]**. პალმის ხის მოტივი საპატიო ადგილს იკავებს ქართული ქვაჯვარების სვეტების მცანარეულ ორნამენტებში (იხ. ქვაჯვარები ბოლნისიდან, ბრდაძორიდან, სადაც პალმის რტოს მოტივი მთლიანად ფარავს სვეტის წახნაგს) **[ჯავახიშვილი გ., 1998, ტაბ. I, II, XIX, XXIV].**

ტახტის ორივე მხარეს სიმეტრიულად ფრინველის ორი პროტომია ამოზიდული. ამაყად მოღერებული კისრისა და ძლიერი ნისკარტის მიხედვით ეს უთუოდ არწივის გამოსახულება, ან სასანური ფასკუნჯის მოტივის გადამღერება უნდა იყოს (ქართული ხალხური ხის ავეჯისთვის ამგვარი ნაწილები უჩვეულოა). ფრინველის კისრის ფორმა მშვენივრადაა გამოკვეთილი აქეთ-იქით სიმეტრიულად მიმართული, კისრის ფორმის შესაბამისი პარალელური რელიეფური რკალების რიგით, რომლებიც ზუსტად გადმოსცემს ფრინველის მკერდსა და კისერს.

ტახტის უცნაური, ქართული რელიეფებისათვის უჩვეულო ფორმა მრავალ კითხვას ბადებს. ღმრთისმშობლის ანალოგიური კომპოზიციები ქვაჯვარათა რელიეფებზე ზურგიანი ტახტის გარკვეულ ტიპს წარმოგვიდგენს, რომლის ნიმუშებს ვხვდებით პალესტინური ამპულების ანალოგიურ სცენებში **[Grabar A., 1958, ტაბ. I,VIII].** ტახტის ამგვარი კონსტრუქცია რელიეფის შექმნის მხატვრული იმპულსების გარკვევაში გვეხმარება.

უზურგო ტახტის ჰორიზონტალურად გაშლილი მარტივი ფორმა, ორნამენტული მუთაქა და ზოომორფული მოტივის თვალსაჩინო როლი ტახტის საერთო სტრუქტურაში – ყველა ეს ნიშანი ირანულ კულტურულ წრეზე მიგვანიშნებს. დმანური რელიეფის ტახტის ფორმა გარკვეულად ეხ-

მიანება სასანური ირანის ხელოვნების სხვადასხვა დარგის ძეგლებზე (კლდის რელიეფები, ტორევტიკა, ქსოვილები) საზეიმო სცენებში გამოსახულ ირანის მბრძანებელთა ტახტის ფორმებს. საქმე ეხება არა ფორმების ზუსტ გადმოღებას, არა მიბაძვას, არამედ გარკვეულ „ვარიაციებს“ ირანული სამეფო ტახტის „თემაზე“. საკმარისია მივმართოთ ნებისმიერ სასანურ „ოფიციალურ“ რელიეფს, რომ ცხადი გახდეს, რომ ღმრთისმშობლის ტახტის შექმნისას დმანისის რელიეფის ავტორის შთაგონების წყარო სწორედ ირანული ოფიციალური ხელოვნების ნიმუშები იყო. ამის საილუსტრაციოდ სულ რამდენიმე მაგალითის დასახელებაც კმარა: კლდის რელიეფი ტანგ-ი სარვაკში (“ირანის უფლისწული სარეცელზე ვასალებთან ერთად“, III ს.), რომელზეც ჰორიზონტალურად გაშლილი მარტივი უზურგო სარეცელია წარმოდგენილი პროფილში თავმიბრუნებული არწივების ფრონტალური სკულპტურული გამოსახულებებით; ვერცხლის თასი სასანიანი მეფის გამოსახულებით უზურგო ტახტზე, რომლის ფეხები ასევე პროფილში თავმიბრუნებული არწივის სკულპტურებია (VI-VII სს. ბალტიმორის მუზეუმი); სასანური ოქროს თასი ცენტრში მთის ბროლის კომპოზიციით – შაჰინშაჰი ხოსრო I ტახტზე, რომლის ფეხები „ფრთოსანი ოთხფეხა არსებებია“ (VI ს.). **[Ghirshmann R., 1962, 54, 203, 304, სურ. 67, 242, 401].** ღმრთისმშობლის ტახტის ფორმასთან დაკავშირებით უთუოდ საინტერესო იქნება ირანული ხელოვნების კიდევ ერთი ძეგლის გათვალისწინება, რომელიც დმანურის ანალოგიურად გადმოსცემს სასანური სამეფო ტახტის ტრადიციულ ფორმას. მხედველობაში მაქვს ბაქტრიანას სასანიანი მმართველის, ირანელი პრინცის კლდეში ნაკვეთი გამოსახულება დოხტარ-ი ნოშირვანის კლდოვან მასივში (VI–VII სს.). ტახტზე დაბრძანებული სასანიანი უფლისწულის მონუმენტური გამოსახულება ზუსტად იმეორებს მთის ბროლზე გამოკვეთილ ხოსრო I-ის სახეს ოქროს თასზე პარიზის Cabinet de Medailles–ში **[Ghirshmann R., 1962, 318, სურ. 427].** სასანიანი უფლისწულის სამეფო ტახტი რეალურად არ არის გამოსახული, მაგრამ მის არსებობაზე მიუთითებს ცხოველის ორი პროტომი, სიმეტრიულად გაშლილი ფიგურის ორივე მხარეს. ამ შემთხვევაში ცხოველთა აპოტროპული სკულპტურული გამოსახულებები ტახტის ჩვეულებრივი ნაწილები კი არ არის, არამედ პირობითი მინიშნებაა საზეიმო ტახტზე, რომელზეც პრინცია დაბრძანებული. ამგვარი მიდგომა ზუსტად შეესაბამება დმანური რელიეფის ოსტატის პოზიციას. დამაფიქრებელია ირანის გავლენების აღმოსავლურ საზღვართან არსებული ბაქტრიანას მხატვრული ნაწარმოებისა და ირანის გავლენის სფეროში მყოფი ქართველი მოქანდაკის ქმნილებას შორის გარკვეული შეხების წერტილები, რადგან ეს მაგალითები გვიჩვენებს სასანური ირანის კულტურის ძლიერი გავლენის კვალს ადრეული შუა საუკუნეების სხვადასხვა ხალხის ხელოვნებაში, ირანული ელემენტების ორიგინალურ ინტერპრეტაციას სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში.

ქვასვეტის კაპიტელის ღმრთისმშობლის გამოსახულებიანი საფასადო მხარე სხვა წახნაგებისაგან გამოირჩევა არა მხოლოდ თემატურად, არამედ თავისი მხატვრული მეტყველებით, რელიეფის ზედაპირის ოსტატური ხაზოვან-დეკორატიული გააზრებით. გარკვეული წესით განლაგებული ხაზოვანი რელიეფური სისტემა კომპოზიციის ჰარმონიულ ერთიანობას ემსახურება. სცენის სიმეტრიულობა მსუბუქი შინაგანი დინამიკითაა გაცოცხლებული (მაფორიუმის შემობურვა, მუთაქის მარჯვენა და მარცხენა ნაწილების ასიმეტრიულობა, იესოს სახის პროფილში გამოსახვა). ამ ხაზოვან რიტმში ორგანულადაა ჩართული კაპიტელის „კარნიზის“ ხაზოვანი რკალური ორნამენტი. კაპიტელის ოთხი წახნაგის განსხვავებული მხატვრული ხასიათი, მათ თემატურ ნაირგვარობასთან ერთად, ოსტატის უტყუარ მხატვრულ ალღოსა და თეოლოგიურ განსწავლულობას ეფუძნება.

წყვილადი კომპოზიცია (ნახ. 11₂; ტაბ. 9₂, 13). ღმრთისმშობლის გამოსახულებიანი კაპიტელის წახნაგის მომიჯნავე არე მთლიანად საერო სამოსელში გამოწყობილი ორი მამაკაცის გამოსახულებას უკავია. ერთნაირია მამაკაცთა გამოსახვის სქემა, ისინი წარმოდგენილნი არიან ფრონტალურად, ერთნაირი ჟესტებით. ორივეს იდაყვში მოხრილი მარცხენა ხელი გაშლილი მტევნები მკერ-

დთან აქვს მიტანილი, იდაყვში მოხრილ და ზეაღმართულ მარჯვენაში ერთს ჯვარი უკავია, მეორეს კი იმავე ჟესტით – შროშანისებრი ყვავილი. ფიგურები დაახლოვებით ერთი სიმაღლისაა, მაგრამ ოსტატურადაა შექმნილი მარჯვენა ფიგურის მასშტაბის უპირატესობის შთაბეჭდილება: მისი თავი ჩარჩოს ზედა ლილვს ებჯინება და კიდეც კვეთს მას, მეორე ფიგურის თავი კი ვერ აღწევს ზედა ჩარჩოს; მარჯვენა ფიგურის განზე გადგმული ფეხის წვერები ქვედა ჩარჩოზეა განთავსებული, მაშინ, როდესაც მეორე ფიგურის ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი ფეხები ქვედა ჩარჩომდე არ აღწევს. კაპიტელის საფასადო კომპოზიციასთან შედარებით, რომლის მხატვრული გამომსახველობა პარალელურ ხაზთა დეკორატიულ ნახატს ეფუძნება, გვერდითი წახნაგის ორფიგურიანი რელიეფი სრულიად გლუვი ზედაპირებით, დიდი სიბრტყეებით მეტყველებს. ამასთანავე, ამ ორი რელიეფური კომპოზიციის დიამეტრალურად განსხვავებული დეკორატიული მიდგომის მიუხედავად, მათი პლასტიკური პრინციპი სავსებით იდენტურია. ორივე შემთხვევაში ფორმები დაბალი რელიეფითაა გადმოცემული, მთავარი პრინციპია სხეულის ერთიანი, დაუნაწევრებელი მთლიანი მოცულობის წარმოჩენა.

ერთნაირია ფიგურათა სახეების გადმოცემა: მრგვალი, ფართო სახე, დიდი, ფართოდ გახელილი თვალები, რელიეფურად აღნიშნული წარბის მოხაზულობა, მრგვალი ქუდის მსგავსი მოცულობით შუბლზე დაბლა ჩამოსული თმის მასა (მარჯვენა მამაკაცთან სრულიად გლუვი, შესაძლოა, რაღაც თავსაბურავის ჩვენებით, მარცხენასთან – ჩაკვეთილი ხაზებით დამუშავებული). პლასტიკურად მსუბუქად გამოძერწილი ლოყები და პატარა ბაგეები ჩამოშვებული კუთხეებით ამ ქვასვეტის სახეთა დამუშავების ტიპური ნიმუშია.

ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ორივე მამაკაცს განსხვავებული სახის საერო კოსტიუმი მოსავს. ცხადია, რომ სამოსელში მათი სოციალური სტატუსია ასახული. შუა საუკუნეების ქართული კოსტიუმის ისტორია ზოგად ხაზებში საკმაოდ გარკვეულია, გამონაკლისს ადრეული შუა საუკუნეების სამოსელი წარმოადგენს, თუმცა ბოლო დროს ამ ეპოქის რელიეფების ახალი ნიმუშების აღმოჩენამ საერო კოსტიუმის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მასალა შეგვძინა. მარჯვენა მამაკაცის სამოსელი ორნაწილიანია, შიგნით მას მოსავს „უჭრელო“ ქსოვილის გრძელი, კოჭებამდე, სახელოებიანი „ქვეითი“ კაბა, რომელიც მთლიანად ფარავს სხეულს (მის ქვეშ მხოლოდ ტერფები მოჩანს). რელიეფზე კარგად განირჩევა წელზე მსუბუქად მომდგარი კაბის თარგი. კაბის ზემოდან მამაკაცს მოსხმული აქვს მოსასხამი, რომელიც მარცხენა მხარზე უნდა ყოფილიყო დამაგრებული. რელიეფზე მკაფიოდ ჩანს ლილვით შემოწერილი მოსასხამის ფორმა. ფიგურის ზურგს უკან მოსასხამის კალთა დამატებით სიბრტყეს ქმნის, რომლის მოხაზულობაც ასევე თხელი ლილვითაა აღნიშნული. ორივე ხელზე გრძელი სახელოების მაჯები მოჩანს. სამოსის გადმოცემის ამგვარი ხერხის წყალობით სიბრტყობრივ კომპოზიციაში ერთგვარი „სივრცობრივი“ მომენტია შეტანილი (შეად. მარცხენა ხელის გადმოცემა მოსასხამის კალთებს შორის). განზოგადებულ და ძალზე პირობით რელიეფში ბევრი საგულისხმო დეტალი შეინიშნება, რაც ამ ადრეული ეპოქის ქართული ტანსაცმლის რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა. მამაკაცს ზეაღმართულ მარჯვენა ხელში სადა ჯვარი უპყრია, ოდნავ დაგრძელებული ვერტიკალური მკლავით.

ამ კოსტიუმთან დაკავშირებით უთუოდ უნდა გავიხსენოთ სამწვრისის რელიეფურ ფილაზე ჯვრის თაყვანისცემის სცენაში გამოსახული საერო პერსონაჟის ჩაცმულობა (Vს. ბოლო—VIს. Iნახ.), რომლის არსის გასარკვევად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ადრეული ხანის ბიზანტიური სამეფო კარის ჩაცმულობის თავისებურებათა გათვალისწინება **[მაჩაბელი კ., 2002, 159-164].**
ბიზანტიური ხელოვნების ძეგლებმა მრავლად შემოგვინახა იმპერატორთა და დიდებულთა გამოსახულებები, რომლებშიც ზუსტად არის გადმოცემული ბიზანტიური სამეფო შესამოსლის მთელი ბრწყინვალება და მრავალფეროვნება. ამ კოსტიუმის წარმოსადგენად მხოლოდ რავენის სან-ვიტა-

ლეს ტაძრის მოზაიკაზე იუსტინიანესა და თეოდორას ჯგუფური პორტრეტია საკმარისი. ბიზანტიურ კოსტიუმს იმის გამო მივმართავ, რომ შუა საუკუნეების სხვადასხვა ეტაპზე მას გარკვეული ზეგავლენა ჰქონდა ქართულ ჩაცმულობაზე. ბიზანტიური ტანსაცმლის სხვადასხვა სახეობათა შორის უნდა დავასახელო ძალზე გავრცელებული – გრძელსახელოებიანი ტუნიკა – tunica laticlavia და მოსასხამი – palium. ბიზანტიის სამეფო კარი სხვადასხვა ქვეყნის მმართველებისადმი თავისი კეთილგანწყობის ნიშნად, სხვადასხვა მდიდარ საჩუქრებთან ერთად საზეიმო ტანსაცმელსაც უგზავნიდა. საქართველოში ბიზანტიური მოდის შემოჭრა უკვე V–VI საუკუნეებში აღინიშნება. ეს იყო ბიზანტიური მოდის გავრცელების პირველი ტალღა, რომლის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ბიზანტიელი მწერლების ცნობების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათიას თხზულება, რომელშიც კონსტანტინოპოლიდან ლაზიკის მეფისათვის სამეფო ნიშნების გაგზავნის ამბავია მოთხრობილი **[ყაუხჩიშვილი ს., 1963, 84].**

საქართველოში ბიზანტიური სამოხელეო და „საპატივო“ სამოსელი ბიზანტიურ ოფიციალურ ტიტულებთან ერთად (მაგისტროსი, ვიპატოსი, პატრიკიოსი, კურაპალატი) შემოდიოდა. ივ. ჯავახიშვილი ქართული კოსტიუმისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში აღნიშნავს, რომ „ყოველთვის, როდესაც ბიზანტიის მეფე საქართველოს მთავარს ან თვით საქართველოს მეფესაც ამა თუ იმ „პატივს“ მიანიჭებდა, იგი თვითეულ მათგანს ამასთანავე „საპატივო“ სამოსელსაც და სამკაულსაც უგზავნიდა ხოლმე“ **[ჯავახიშვილი ივ., 1962, 28].** საქართველოსა და ბიზანტიას შორის ამგვარი კავშირები საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა და ადრეულ ქართულ ქვასვეტებზე წარმოდგენილი საერო ჩაცმულობის თავისებურებები გვიჩვენებს, რომ ამ პროცესს დასაბამი უკვე ადრეულ შუა საუკუნეებში მიეცა. დმანისის ქვასვეტის ერთ-ერთი მამაკაცის ჩაცმულობა სწორედ ბიზანტიურ ისტორიულ კოსტიუმთან მიმართებაში უნდა განიხილებოდეს.

მეორე მამაკაცის ჩაცმულობა განსხვავებული ხასიათისაა. ეს არის ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებული მხედრის ჩვეულებრივი სამოსელი, ქულაჯის მსგავსი, მუხლებს ქვემოთ ჩამოსული, გვერდებზე ჩაჭრილი, წელთან ქამრით გადაჭერილი (მინიშნებულია ქამრის ბალთა) კაბა მორკალული ქობით. წელიდან ქვემოთ ეშვება პარალელური სიმეტრიული ხაზები – ნაკერები. ქულაჯის ჭრილში მოჩანს მუხლები და ფეხებზე შემოტმასნილი ვიწრო შარვალი, რომლის ქვედა ნაწილი ქუსლებს ფარავს. სამოსლის ზედა ნაწილი არ არის დაზუსტებული, იგი გადმოცემულია ზოგადი ბრტყელი ზედაპირით, განირჩევა მხოლოდ ყელზე მომდგარი მრგვალი წვრილი ლილვი და გრძელი სახელოების მაჯები. მამაკაცს ზეაღმართულ ხელში შროშანისებრი ყვავილი უკავია, ზუსტად ისეთივე ფორმის, როგორიც გვხვდება ადრეულ ქართულ რელიეფურ „პორტრეტებზე“ (შეად. ქართველ დიდებულთა პორტრეტული რელიეფური სახეები ქვაჯვარათა სვეტების წახნაგებზე სამწევრისის, დმანისის, ბრდაძორის, ბოლნისის, ბალიჭის სვეტებზე) **[Чубинашвили Н. Г., 1982, ტაბ. 26, 70, 37].**

ყვავილი – ინსიგნია, სასანური ირანიდან წარმომავალი მოტივი, რომლის მნიშვნელობა კარგად იყო ცნობილი საქართველოში ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში, ფართოდ გავრცელდა საქართველოს ფეოდალურ საზოგადოებაში **[Мачабели К. Г., 1976, 112-114].** ყვავილი საერო პერსონაჟის ხელში მის გამორჩეულ სოციალურ სტატუსს აღნიშნავდა. ეს ორნამენტულ-სიმბოლური მოტივი, რომელიც სხვა აღმოსავლურ ელემენტებთან ერთად ირანული სამყაროდან შემოვიდა, ადგილობრივ ტრადიციებთან ასიმილირდა და შუა საუკუნეების საწყის ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ამის დასტურია ადრეულ ქრისტიანულ რელიეფებზე ქართული ფეოდალური წოდების არა ერთი წარმომადგენლის გამოსახულება ყვავილით ზეაწეულ მარჯვენა ხელში. ამგვარად, დმანური რელიეფის ეს მჭევრმეტყველი დეტალი იმაზე მეტყვალებს, რომ სვეტის კაპიტელზე წარმოდგენილი ერთ-ერთი პიროვნება ქართლის ფეოდალური საზოგადოების მაღალი წრის წარმომადგენელია.

ფეოდალთა – აზნაურთა წოდებისადმი მის მიკუთვნებას ისიც ადასტურებს, რომ მისი სამოსელი წარჩინებულთა შორის მიღებული თარგისაა.

ამგვარად, მარცხენა მამაკაცის ჩაცმულობის თარგი გვხვდება ადრეული ქართული რელიეფების საერო პერსონაჟებზე. ამ სახის ქართული კოსტიუმის ხასიათის გასარკვევად კვლავ უნდა მივმართოთ სასანურ ირანს, რომლის ვერცხლის ლანგრებზე სპარსეთის მეფეთა გამოსახულებები მხედრული ჩაცმულობის საინტერესო ნიმუშებს შეიცავს. ასეთია მუხლებამდე ჩამოსული, წელთან შევიწროებული „ქულაჯა“ ჩაჭრილი გვერდებით, მხრებიდან გულმკერდზე ჩამოსული „პორტუპეის“ მსგავსი სარტყლებით. ქამრიდან ჩამოდის ხმლისა თუ ხანჯლის დასაკიდებელი ტყავის ზოლები (ვერცხლის ლანგარი ბალტიმორის მუზეუმიდან ტახტზე დაბრძანებული მეფისა და მოცეკვავეთა გამოსახულებით, VI–VII სს.; ხოსრო I-ის – 531-578 წწ. ვერცხლის თასი ერმიტაჟში, სამეფო ტახტის გვერდებზე მდგომი დიდებულებით, ხოსრო I-ის ოქროს თასი მთის ბროლის რელიეფით, ლუვრში; ხოსრო II-ის – 590-628 წწ. ვერცხლის თასი ნადირობის სცენით) **[Ghirshmann R., 1962, სურ. 241, 244, 245]**. ამგვარი ქულაჯის ქსოვილი ელასტიურია, იგი თხელ ნაკეცებად ეკვრის სხეულს. ხანდახან „ქულაჯა“ სარჩულიანი იყო და ასეთ შემთხვევაში ნაკეცები მძიმე და ფართოა. ასეთი თარგის სამოსელი კარგად იყო მორგებული ახლო აღმოსავლეთის ხალხთა მხედრულ ცხოვრებას, იგი არ ზღუდავდა მოძრაობას, არ უშლიდა მეომარს ცხენზე ამხედრებას. სრულიად ბუნებრივია, რომ საქართველოში ფეხი მოიკიდა ამგვარმა მხედრულმა კოსტიუმმა, რომელსაც ბევრი აქვს საერთო ირანულ მხედრულ და სამეფო კარის ჩაცმულობასთან.

ირანიდან წარმომავალი ეს მხედრული კოსტიუმი დასავლურ ხელოვნებაშიც გავრცელდა. სწორედ ასეთი კოსტიუმით არიან შემოსილნი ადრებიზანტიურ და ადრექრისტიანულ ხელოვნებაში აღმოსავლეთის მოგვები, რომლებიც ბეთლემში მივიდნენ ყრმა იესოს თაყვანსაცემად. ამ სცენებში კარგად ჩანს ირანული წარმოშობის „ქულაჯის“ დამახასიათებელი თარგი, გვერდითი ვერტიკალური ჭრილებით.

კოსტიუმის ამგვარი სახეობა გვხვდება VI–VII საუკუნეების ქართული ქვასვეტების რელიეფურ კომპოზიციებში (ბოლნისი, დმანისი, ბრდაძორი, ბალიჭი). ეს კოსტიუმები ერთი ტიპისაა, ოღონდაც ერთმანეთისგან განსხვავდება ცალკეული დეტალებით, ორნამენტული სამკაულით, ქსოვილის ხარისხით. ყველა შემთხვევაში ეს არის წელთან შევიწროებული (ან წელთან გადაჭრილი), გვერდებზე ჩახსნილი „კაბა“, მომშვილდულად მოხაზული ქობით.

ირანული (პართული, სასანური) კოსტიუმის გარკვეული გავლენები ქართულ ჩაცმულობაზე დღეისათვის სავსებით ნათელია. ადრექრისტიანულ ქართულ რელიეფებზე გამოსახული საერო პერსონაჟების ჩაცმულობა, დეტალებსა და სამკაულებში გარკვეული სხვაობის მიუხედავად, ერთგვაროვნებას ავლენს. მცხეთის ჯვრის აღმშენებელთა კოსტიუმების განხილვისას გ. ჩუბინაშვილმა მათი დახასიათებისათვის გამოიყენა ტერმინი „ზოგადკავკასიური“, რაც ზუსტად ასახავს ამ კოსტიუმის გავრცელების გეოგრაფიულ არეალს. ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვასვეტების რელიეფურ პორტრეტებზე ჩვენ ვხედავთ ამ „ზოგადკავკასიური“ ან „ახლოაღმოსავლური“ კოსტიუმის სხვადასხვა ვარიაციებს, რაც უთუოდ გამოსახულ პიროვნებათა განსხვავებულ სოციალურ სტატუსზე მეტყველებს. კოსტიუმების ნიუანსები (სამოსლის თარგი, მისი სილუეტი, ქსოვილის ხასიათი, ტანსაცმლის სამკაული და სხვა) რელიეფებზე გამოსახული ქართველი წარჩინებულების წოდებრივ მდგომარეობის ანარეკლია, რადგან ფეოდალურ საზოგადოებაში მკაცრად იყო რეგლამენტირებული სხვადასხვა სოციალური ფენის ჩაცმა-დახურვის წესი.

დმანურ ქვასვეტზე ამ საერო პირის კოსტიუმი ზუსტად შეესაბამება VI–VII საუკუნეების ქართულ რელიეფებზე ასახულ ჩაცმულობას. მისი თარგი და საერთო ხასიათი ახლოა ქართველ ფეოდალთა ჩაცმულობასთან ბოლნისისა და დმანისის რაიონებიდან წარმომავალი ქვასვეტების რელიე-

ფებზე. ამასთანავე, დმანისის ქვასვეტის მამაკაცის ჩაცმულობა ზემოჩამოთვლილი კოსტიუმების იმ ნიმუშებს მიეკუთვნება, რომლებიც სისადავითა და სამკაულების არარსებობით გამოირჩევა. ასეთებია ბოლნისის რაიონში აღმოჩენილი სამი ქვასვეტის ფრაგმენტებზე, დმანისის რაიონის სოფლებიდან (დემირბულახი, ბაშკიჩეთი) წარმომავალ რელიფებზე გამოსახული მამაკაცებისა და ბრდაძორის ქვასვეტის საერო პირთა ჩაცმულობა.

დმანური ქვასვეტის კაპიტელზე გამოსახული მარცხენა მამაკაცის კოსტიუმი ზუსტ ანალოგიებს ჰპოვებს სწორედ დმანისის რაიონიდან წარმომავალი ქვასვეტების საერო პირების ჩაცმულობასთან. ეს უთუოდ დამაფიქრებელია, რადგან ადრეფეოდალური ქართლის ამ რეგიონის ფეოდალური სამოსლის გარკვეულ ტრადიციაზე მიგვანიშნებს. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ ბოლნისის ზემოხსენებულ რელიეფებზე გამოსახულ კოსტიუმებთან სიახლოვესთან ერთად, დმანური კოსტიუმი მათგან თარგის დეტალებითა და სამკაულის ხასიათით განსხვავდება.

ქვაჯვარათა რელიეფური პროგრამების არა ერთი ნიმუშის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ქვასვეტის ზედაპირზე ყოველ ფიგურულ გამოსახულებასა თუ ორნამენტს ზუსტად განსაზღვრული ადგილი ჰქონდა მიჩენილი. წახნაგების მნიშვნელოვანებისა და რეგისტრების არსიდან გამომდინარე, მუდამ დაცული იყო „ვერტიკალური იერარქიის“ კანონი. წმინდა ისტორიის მოვლენების ქრონოლოგიური რიგით განთავსების გარდა, ოსტატი ითვალისწინებდა რეგისტრების მიხედვით გამოსახულებების განაწილების პრინციპებს. ქვაჯვარას დამაგვირგვინებელი სკულპტურული ჯვრის შემდეგ საერთო კომპოზიციაში ყველაზე მნიშვნელოვანი სვეტის კაპიტელი იყო, რომელზეც ყველაზე მნიშვნელოვანი, ზეციურ სამყაროსთან დაკავშირებული წმინდა სახეები და მოვლენები გამოისახებოდა (იხ. ქრისტეს ამაღლების კომპოზიციები ხანდისის, ბრდაძორის, ნაღვარევის და სხვა ქვაჯვარების კაპიტელებზე, დედაღვთისას სულის ამაღლების თემა ბრდაძორის კაპიტელზე). სამწუხაროდ, ქვაჯვარათა უმეტესობა ჩვენამდე საკმაოდ ფრაგმენტულადაა მოღწეული და ამიტომ ძნელია ფართო განზოგადებების გაკეთება. დმანისის ქვასვეტი ამ მხრივაც იმსახურებს ყურადღებას, რადგან იგი წარმოგვიდგენს მთლიან კომპოზიციას, სადაც უმაღლეს, ზეციურ ზონაში, კაპიტელზე, ყრმიანი ღმრთისმშობლის რელიეფური ხატია.

კაპიტელზე გამოსახული პერსონაჟები უთუოდ ერთი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლებია (ამის მაგალითები ქართულ ქვაჯვარათა სვეტებზე უკვე ცნობილია, იხ. კატაულას ქვასვეტის „ჯგუფური“ პორტრეტი). ისინი დიფერენცირებულნი არიან როგორც ზომით, ასევე ჩაცმულობითა და ატრიბუტებით. ღმრთისმშობლის ხატის მიმდებარე წახნაგზე მათ განლაგებაში გარკვეული გრადაცია ჩანს. საფასადო მხარეს უშუალოდ ზომით გამორჩეული ჯვრიანი მამაკაცი ემიჯნება. ბიზანტიურ ოფიციალურ კოსტიუმთან დაახლოებული სამოსით მოსილი, იგი სოციალურად უფრო გამორჩეული უნდა იყოს. ჯვარი მის ხელში სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული: ერთი მხრივ, თუ გავითვალისწინებთ VI-VII საუკუნეების კოპტურ სამარხის სტელებზე მიცვალებულთა გამოსახულებებს ჯვრებით ხელში **[Effenberger A., 1974, ტაბ. 36],** შესაძლოა, ჯვარი ამ პიროვნების გარდაცვალებაზე მიუთითებდეს. მეორე მხრივ, შეიძლება დავუშვათ, რომ ჯვრით ხელში გამოსახვა საგვარეულოს უფროსის ქრისტიანული რწმენისადმი ერთგულებაზე მიუთითებს. არსებობს კიდევ ერთი დაშვების შესაძლებლობა – ხომ არ არის ეს ქვაჯვარას აღმმართველი დიდებულის თანამოსახელე წმინდანის გამოსახულება. ჩვენი ცოდნის და ინფორმირებულების დღევანდელი დონე უფრო ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას არ გვაძლევს. ყვავილი-ინსიგნია „კავკასიური“ კოსტიუმით შემოსილი მამაკაცის ხელში კი უთუოდ მის გარკვეულ სამოხელეო ღირსებას უნდა აღნიშნავდეს (გავიხსენოთ, რომ ადრებიზანტიურ ხანაში, მაგალითად, იუსტინიანეს დროს, სამეფო კარის თანამდებობის პირებს მათი სამოსლის თარგითა და ფერით

გამოარჩევდნენ). შესაძლოა, რომ ეს ორი მამაკაცი ერთი საგვარეულოს ორი თაობის წარმომადგენელია და ოსტატმა ამგვარად გამოხატა მათი ადგილი სოციალურ იერარქიაში, ან ოჯახში.

კაპიტელის წახნაგზე ღმრთისმშობლის ხატის გვერდით საერო პირთა გამოსახვა უთუოდ გარკვეულ კითხვებს ბადებს. როგორ მოხვდა ქართლის დიდებულთა „პორტრეტები" ქვასვეტის ამ განსაკუთრებულ, „ზეციურ" ზონაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად შეგვიძლია მოვიხმოთ ბრდაძორის ქვასვეტი, რომლის უმაღლეს რეგისტრში, ყრმიანი ღმრთისმშობლის გვერდით გამოსახულია დონატორი, ქართლის დიდებული, რომელიც ხელით ღმრთისმშობლის თავს ეხება. ადრექრისტიანულ კომპოზიციათა შორის, რომლებიც თაყვანსაცემ სალოცავ წმიდა სახესა და დონატორთა გამოსახულებებს შეიცავს, უნდა გავიხსენოთ პარენცოს (პორეჩის) ბაზილიკის ცენტრალური აბსიდის მოზაიკა (VI ს.) სადაც ღმრთისმშობლის გვერდით კტიტორებია გამოსახული **[Прелог М., 1959]**; დიმიტრი სოლუნელის ეკლესიის მოზაიკა თესალონიკში, სადაც ღმრთისმშობელთან ერთად შემკვეთის ოჯახია წარმოდგენილი და სხვ. თანადროულ ქართულ ძეგლებს შორის საკმარისია, გავიხსენოთ მცხეთის ჯვრის ტაძრის აღმ. ფასადის რელიეფური კომპოზიცია, სადაც კტიტორები ქრისტესა და წმინდანებთან ერთად არიან გამოსახულნი. როგორც ჩანს, ბრდაძორის ქვასვეტი დონატორისა და ღმრთისმშობლის უნიკალური სცენით და დმანისის ქვასვეტის კაპიტელის წახნაგზე კტიტორთა პორტრეტები უნდა განვიხილოთ, როგორც ეროვნული მხატვრული შემოქმედების ნაყოფი, რომელიც ადრეული ქრისტიანული ხელოვნების მოწინავე ნაკადთან თანხვედრილად ვითარდებოდა და ეპოქის ხელოვნების ავანგარდში არსებულ ტენდენციებსა და მოვლენებს ითვალისწინებდა.

გავბედავ წყვილადი პორტრეტის ფონზე ამოკვეთილ ასომთავრულ წარწერასთან („დღეა") დაკავშირებით მოკრძალებული მოსაზრების გამოთქმას. სახარებასა და აგიოგრაფიულ თხზულებებში „დღეი" გამოიყენება დროის, ჟამის, ხანის მნიშვნელობით ("დღეთა ჰეროდე მეფისათა", მათე, 2,1; „ესე იყო დღეთა ანასტასი კათალიკოზისა", წამებაი წმიდისა დავითისა, IX-X სს.). თუ გავითვალისწინებთ ქვაჯვარათა სალოცავ-მემორიულ, შესაწირავ მნიშვნელობას, მათ აღმართვას ქართლის დიდებულთა ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან ზიარების, ქრისტიანობის განმტკიცების აღსანიშნავად, შესაძლოა, ეს წარწერა მივიჩნიოთ დღეგრძელობისა და მარადიული ცხოვრების იმედის თავისებურ ფორმულად. ამას უნდა დაემატოს მეზობელ წახნაგზე ფარშევანგის გამოსახულების სიმბოლური კონტექსტიც (იხ. ქვემოთ), რომელიც ამაგრებს აღნიშნულ მოსაზრებას.

ფარშევანგი (ნახ. 12₂; ტაბ. 10₂, 15). წყვილადი „პორტრეტის" მომიჯნავე კაპიტელის წახნაგზე (ზურგის მხარეს) ფარშევანგის რელიეფური გამოსახულება მთლიანად ავსებს კვადრატთან მიახლოებულ კაპიტელის არეს. პროფილში გამოსახული ფარშევანგი დიაგონალურადაა მიმართული – თავი მარცხენა ზედა კუთხესთანაა მისული, ლამაზად დაკეცილი კუდი კი ქვედა მარჯვენა კუთხეს ებჯინება. ფარშევანგის გამოსახულება ბუნებრივი ფორმების ზუსტი და მეტყველი გადმოცემით გამოირჩევა. რელიეფის ზედაპირი დეკორატიულ-ორნამენტულადაა გადაწყვეტილი. ფარშევანგის სილუეტი მეტყველი და პლასტიკურია, მოძრაობა თავისუფალი, ფეხების განლაგება – სივრცობრივი. რელიეფური ზედაპირი კაპიტელის სიბრტყის დონეზეა, გამოსახულება შექმნილია ფონის დადაბლებით ფრინველის სილუეტის გარშემო. სრული სიბრტყობრიობის მიუხედავად, სილუეტის სიზუსტე და გამომსახველობა, ფორმების საგანგებო ორნამენტული დამუშავება ფარშევანგის ამ სახეს ქვასვეტის სხვა ძალზე პირობითი და სტილიზებული ფიგურული გამოსახულებებისაგან გამოარჩევს. ფრინველის მკერდის დამახასიათებელი ფორმა ნატიფ პარალელურ ხაზთა თავისებური სისტემითაა შექმნილი: ლილვითაა შემოწერილი ფრთის ორი ნაწილისაგან შედგენილი სტილიზებული ნუშისებრი მოხაზულობა. ფრთის ორი ნაწილი განსხვავებული ორნამენტული ნახატითაა შევსებული: ზედა ნაწილი – კოვზისებური ელემენტების სამი მწკრივით, ბუმბულები კი წვრილი

ლილვების ნახატით. კუდის მძიმე, ფართო მასა, რომელშიც დამახასიათებელი „თვალებია“ ჩართული, ასეთივე მსუბუქი ხაზების რიტმითაა გაცოცხლებული.

ვიდრე ფარშევანგის ამ სახის მხატვრულ თავისებურებებს შევეხებოდე, უნდა აღვნიშნო გამოსახულების სიმბოლური მნიშვნელობა. ამ ფრინველის ფერადოვნებამ და უჩვეულო გარეგნობამ ადრევე მიიპყრო ყურადღება. წარმართული ეპოქიდან მოყოლებული, იგი უკვდავების სიმბოლოდ მოიაზრებოდა. ანტიკურ სამყაროში ფარშევანგის კუდის თავისებურ ნახატს ვარსკვლავთა ნათებას ადარებდნენ და ამის გამო იგი იუნონას (ცისა და ვარსკვლავების ქალღმერთის) ფრინველად იყო აღიარებული. ფარშევანგი თან ახლდა რომის იმპერატორების მეუღლეებს მათი სულების ასამაღლებლად იუნონას სამეფოში. მისი გაშლილი კუდის მრგვალი ფორმა უკვდავებასა და მარადიულობაზე წარმოდგენასთან იყო დაკავშირებული. ფარშევანგი ამიტომაც ასე ხშირად გამოისახებოდა სარკოფაგებსა და რიტუალურ ჭურჭელზე. ეს ფრინველი დაწვრილებით არის აღწერილი პლინიუსის „ბუნების ისტორიაში“, სადაც ავტორი საგანგებოდ ჩერდება მისი გარეგნობის ესთეტიკურ ღირსებებზე და თვალისმომჭრელი ფერადოვნების გაშლილ კუდს მზის ნათელს ადარებს **[Уваров А.С.,1908, 199-202].** წინაქრისტიანულ საქართველოში ფარშევანგის გამოსახულება გვხვდება სარიტუალო ჭურჭელზე, ვერცხლის პატერაზე არმაზისხევიდან **[მცხეთა, I, 1955, 75-77; Мачабели К. Г., 1976, 112-114].**

ქრისტიანულ ხელოვნებაში ფარშევანგი აღდგომის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. იგი ხშირად გამოისახებოდა იმ სიმბოლოებთან ერთად, რომლებიც სამოთხესთან იყო დაკავშირებული. ფარშევანგი გვხვდება სამარხეულ ძეგლებზე და ამ შემთხვავაში მისი სიმბოლური მნიშვნელობა სავსებით შეესატყვისება აღდგომის ფორმულას.

სამთავროში 1938 წელს გახსნილ სამარხში აღმოჩნდა მინის ფიალა, რომლის ფსკერი ფარშევანგის ამოკაწრული გამოსახულებითაა შემკული. ჭურჭელი ახ. წ. IV საუკუნითაა დათარიღებული. ფარშევანგია გამოსახული აგრეთვე სამთავროს ერთ-ერთ ქვაყუთში აღმოჩენილ ქვაზე, რომელიც ახ. წ. IV-VI საუკუნეებს მიეკუთვნება **[უგრელიძე ნ., 1951, 301-314, სურ.1].**

საქართველოს ადრექრისტიანულ რელიეფებზე ფარშევანგის გამოსახულება გვხვდება ბოლნისის სიონის სანათლავში სამხრეთის პილასტრის კაპიტელზე. ორი ფარშევანგი სიმეტრიულადაა განლაგებული ცენტრში გამოსახული ჯვრის გვერდებზე, რელიეფურად გამოკვეთილი ფრონტონის ქვეშ. გ. ჩუბინაშვილი ბოლნისის სიონისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში ყურადღებას უთმობს ამ რელიეფურ კომპოზიციას და აღნიშნავს, რომ იგი, უთუოდ, აღებულია რაღაც მზა ნიმუშიდან და გამოყენებულია კაპიტელის შემკულობაში მის სტრუქტურულ პრინციპთან და კაპიტელის ფორმასთან შეუთავსებლად. ამავე დროს, მკვლევარი მიიჩნევს, რომ ფარშევანგის, როგორც აღდგომისა და მარადიული სიცოცხლის სიმბოლოს მნიშვნელობა სავსებით შეესაბამება მის გამოყენებას სანათლავის შესამკობად **[Чубинашвили Г. Н., 1940, 160].** ბოლნისის სიონის ამ რელიეფურ სახეებთან დაკავშირებით მკვლევარი აღნიშნავს: „ფარშევანგები — ეს საყოველთაო გასაგები უკვდავებისა და აღდგომის სიმბოლოა პირვანდელ ქრისტიანობაში“ **[ჩუბინაშვილი გ., 1936, 42].**

დმანისის ქვასვეტის კაპიტელის წახნაგზე გამოსახული ფარშევანგის რელიეფური სახე რამდენიმე თავისებურებით გამოირჩევა: სამსხივიანი ქოჩორი ფარშევანგის თავზე, კისერთან გამოსახული ბაფთა, რომელიც მისი რეალური ფორმის გაუთვალისწინებლადაა გამოსახული (ბაფთა ფრინველს კისერზე უნდა ჰქონდეს შემოხვეული, როგორც ეს სასანური ხელოვნების ძეგლებზე გვხვდება. ეს დეტალი, როგორც ჩანს, ქართველი ოსტატისთვის გაუგებარი დარჩა).

შეიძლება ითქვას, რომ დმანური ქვასვეტის რელიეფურ გამოსახულებათა შორის ფარშევანგის რელიეფური სახე ყველაზე ოსტატურად და მხატვრულად გააზრებულადაა გამოსახული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ოსტატი მორჩილად კი არ იმეორებდა მის ხელთ არსებულ რაღაც ნიმუშს,

არამედ თავისუფლად ქმნიდა მისთვის კარგად ცნობილი ფრინველის რელიეფურ გამოსახულებას. იგი თითქოს უთავსებდა ქვასვეტის რელიეფების საერთო პირობით-სიბრტყობრივ მიდგომას ამ გასაოცარი ფრინველის მომხიბლავი გარეგნობის გადმოცემის სურვილს. ბოლნისის სიონის კაპიტელის რელიეფთან შედარებით, დმანისის ქვასვეტის ფარშევანგის სახე გაცილებით უფრო დახვეწილ ოსტატობას ავლენს. ეს შეიძლება იმდენად საკუთრივ მხატვრულ დონეს კი არ გულისხმობდეს, არამედ თვისობრივად ახალ მიდგომას, როდესაც ამ სვეტის რელიეფთა საერთო პირობით-სიბრტყობრივ ხასიათთან ერთად, მოქანდაკე რელიეფთა გარკვეულ ნაწილში (ამ შემთხვევაში ფარშევანგის გამოსახულებაში) ცდილობს შეიტანოს პლასტიკური მეტყველების უფრო დაწინაურებული ხერხები. იმ დროს, როდესაც ბოლნისის ფარშევანგები რომელიღაც პლასტიკური ნიმუშის პირობით, სქემატურ ტრანსკრიფციას გვთავაზობს (ეს ფრინველები მხოლოდ მათი ატრიბუტებით – დამახასიათებელი ქოჩორი, „თვალებიანი“ კუდი – შეიძლება ვიცნოთ), დმანისის ოსტატი ამ ეგზოტიკური ფრინველის პლასტიკურად ძალზე გამომსახველ სახეს ქმნის. ასეთი განსხვავება უთუოდ დმანური რელიეფის შესრულების შედარებით მოგვიანო ხანაზე მიუთითებს.

ფარშევანგების რელიეფური გამოსახულებები გვხვდება დმანისის რაიონის ეკლესიების კედლებში ჩატანებული ძველი ქვაჯვარების ფრაგმენტებზე. ბოლნური კაპიტელის ანალოგიური წყვილადი ფარშევანგების გამოსახულება საფეხურიან ბაზაზე აღმართულ, მედალიონში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრის გვერდებზე შემონახულია დმანისის რაიონში ე.წ. „წითელი საყდრის“ (კიზილ-კილისა) აღმ. კედელში, სარკმლის თავზე ჩაშენებულ წითელი ტუფის ქვაზე, რომელიც ქვაჯვარას ბაზას უნდა წარმოადგენდეს **[ჯაფარიძე ვ., 1982, ტაბ. XXXI, VIII,1]**. რელიეფი ძალზე დაზიანებულია, მაგრამ შესაძლებელია რელიეფური გამოსახულების ზოგიერთი დეტალის გარჩევა, რომლებიც ახლოა ჩვენი სვეტის ფარშევანგის რელიეფთან. პირველ რიგში აღსანიშნავია ერთნაირი ქვის მასალა – წითელი ტუფი, საერთოა რელიეფის სტილური ნიშნები, ფრინველის ხასიათის გადმოცემის ოსტატობა, ფრინველის სხეულის რელიეფური ფორმების თავისებურებანი. დმანისის რაიონშივე, სათხის ეკლესიის ეკვტერის აღმ. კედლის ფასადში ჩაშენებულია წითელი ტუფის ჯვრის ბაზა, რომლის რელიეფურ კომპოზიციაში ოსტატურად არის ჩართული ორი ფარშევანგის სიმეტრიული დეკორატიული გამოსახულება, ორგანულად შერწყმული სასანური სამყაროდან მომდინარე ფრთების სიმეტრიულ მოტივთან. ქართველმა ოსტატმა ამ შემთხვევაში სიმბოლურ-ორნამენტული მეტყველების იშვიათი უნარი გამოამჟღავნა და ორიგინალური რელიეფური კომპოზიტური სახე შექმნა.

დმანური ქვასვეტის გარდა, ანალოგიურ საკულტო ძეგლზე ფარშევანგის გამოსახვის კიდევ ერთი მაგალითია მოყვითალო კირქვის ტრადიციული ქვასვეტი ბოლნისის სიონიდან (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, n. 207) **[ჯავახიშვილი გ., 1998, ტაბ.I]**. რომლის სამი მხარე მცენარეული ორნამენტითაა დაფარული (აღმ. მხარეს პალმის რტოს ვერტიკალური მოტივი, სამხ. და ჩრდ. წახნაგებზე ტრადიციული აკანთის ფოთლის პლასტიკური ორნამენტი), საფასადო მხარეს კი ორნამენტულ კომპოზიციაში ფარშევანგის რელიეფური სახეა ჩართული. ქვასვეტი საგანგებოდ შესწავლილი არ არის, მაგრამ ორნამენტული მოტივების რეპერტუარისა და პლასტიკური დამუშავების თავისებურებების გათვალისწინებით, იგი სავარაუდოდ, VI-VII საუკუნეებით უნდა განისაზღვროს. ბოლნურ ქვასვეტზე ფარშევანგს სვეტის წახნაგის ზედაპირის დიდი ნაწილი უკავია, რაც ორნამენტულ პროგრამაში მის მნიშვნელობაზე მეტყველებს. რელიეფის ზედაპირი საკმაოდ დაზიანებულია, მაგრამ ფარშევანგის გამოსახულების დარჩენილი ნაწილები მოქანდაკის გაწაფულობაზე მეტყველებს. ფრინველი ოსტატურადაა ჩაწერილი ვერტიკალურ სწორკუთხა არეში. მისი სხეული აქაც დიაგონალურადაა მიმართული – ფრინველი დგას კომპოზიციის მარჯვენა ქვედა კუთხეში გამოსახულ საკმაოდ დიდ ვარდულზე. მისი მოცულობითი რელიეფური სხეული

ცენტრშია განთავსებული, დაკეცილი მძიმე კუდი ქვედა ჩარჩომდე ეშვება და მისი „თვალებიანი“ ზედაპირი შეესატყვისება ვარდულის ორნამენტულ დამუშავებას. სამნაწილიანი ქოჩრით დამშვენებული ფარშევანგის თავი ზედა მარჯვენა კუთხეშია განლაგებული იგი თითქმის ჩარჩოს ებჯინება, მისი ნისკარტი ვერტიკალურ ჩარჩოს ეხება. ყელზე შებმული „სამეფო“ ბაფთა ჰორიზონტალურად იშლება და სამფურცლა ყვავილის ფორმას იღებს. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს გავრცელებული ირანული ატრიბუტის განმეორებასთან, როდესაც მხატვრისთვის ნაცნობია ამ დეტალის სიმბოლური მნიშვნელობა, როგორც ღვთაებრივი უფლებისა და ღირსების ნიშნისა, მაგრამ გაუგებარია ამ ატრიბუტის რეალური ფორმა და მისი გამოყენების ხერხი. ქართველი ოსტატისთვის ამ შემთხვევაში ერთმანეთს შეერწყა სასანურ სამყაროში გავრცელებული ძალაუფლების აღმნიშვნელი ორი სიმბოლო – წმინდა ბაფთა და ფეოდალური პატივის აღმნიშვნელი, აღმოსავლური წარსულიდან მომდინარე ყვავილის მოტივი. ფარშევანგის გამოსახულება ბოლნურ ქვასვეტზე სვეტის საერთო დეკორატიული პროგრამის კონტექსტში უნდა მოიაზრებოდეს (პალმის მოტივი – სამოთხისა და სიწმინდის ნიშანი და პლასტიკურად კარგად ნაძერწი ფოთლოვანი ორნამენტი – სიცოცხლის ხის განსახიერება). ბოლნისისა და დმანისის ქვასვეტების ფარშევანგების გამოსახულებები, სხვა სიმბოლურ მოტივებთან ერთად, იმის ნათელი ილუსტრაციაა, თუ როგორ ითვისებდა ქართული ქრისტიანული ხელოვნება თემებსა და სახეებს გარემომცველი სამყაროდან, როგორ „ირგებდა“ შორეული წარსულიდნ მომდინარე სიმბოლურ მოტივებს, როგორ იყენებდა ხალხის ცნობიერებაში შემორჩენილ ხატოვან მეტყველებას.

ფარშევანგის დმანურ გამოსახულებასთან დაკავშირებით ქართულ მასალასთან ერთად უთუოდ მნიშვნელოვანია სასანურ ძეგლებზე შემონახული რელიეფური სახეები, რომლებიც საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის არა მარტო ამ რელიეფური თემის მხატვრული გადაწყვეტის, არამედ მისი სიმბოლური მნიშვნელობის შესახებაც. უნდა ითქვას, რომ ირანული მასალა გარკვეულ გასაღებს გვაძლევს ადრეული შუა საუკუნეების ქართული პლასტიკის უკეთ გასაგებად, იმ მხატვრული წრის მოსანიშნად, რომელშიც ვითარდებოდა ქართული რელიეფის ხელოვნება.

ფარშევანგის თემა ხშირია სხვადასხვა ქვეყნის ადრეულ ქრისტიანულ ნაწარმოებებში, მას ვხვდებით ეგვიპტის ქრისტიანულ ძეგლებზე (ეგვიპტური ხელნაწერი Acts of the Apostles, ნიუ-იორკი, Pierpont Morgan-ის კოლექცია, Vს. დასაწყისი **[Weitzmann K., 1979, n.444, 494]**. ფარასის ბაზილიკის აბსიდის ფრიზის რელიეფი, VIIს. **[Mierzejewska B., 2005, 18, ილ. 12]**) და ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ ნაწარმოებებზე (რელიეფი მარმარილოს კაპიტელზე ლივიის ქალაქ ელ-მერჯის ლაპიდარიუმში, V-VI სს.) **[Ward-Perkins J.B., and Goodchild R.G., 2003, 263, ილ. 210]**.

სასანურ ირანში მრავლადაა შემონახული შტუკის რელიეფები, კვადრატული ფილები ცხოველთა და ფრინველთა სახეებით. მათ შორის ვხვდებით ფარშევანგის რელიეფურ გამოსახულებებსაც. ყურადღებას იმსახურებს რელიეფური ფილა ქტეზიფონიდან, რომელზეც პროფილში წარმოდგენილი ფარშევანგი ორნამენტულ მედალიონშია ჩასმული (VIს. ბერლინის მუზეუმი) **[Ghirshmann R., 1962, 201, სურ. 240]**. თუმცა სტილისტურად ეს სასანური რელიეფი განსხვავდება ქართულისაგან, მაგრამ სხვადასხვა მხატვრული მიდგომის პირობებში ორივე მათგანს ახასიათებს ფრინველის ბუნების გადმოცემის თავისუფლება, მისი ხასიათის ჩვენების უნარი. ფარშევანგი, სხვა ზოომორფულ სახეებთან ერთად, სახელგანთქმული სასანური ქსოვილების დეკორის ერთ-ერთი გავრცელებული მოტივია. ამიტომაც არის, რომ იგი ამკობს არა მხოლოდ საკუთრივ ქსოვილებს, არამედ აღბეჭდილია მრავალრიცხოვან სასანურ რელიეფებზე. მათ შორის აღსანიშნავია ტაკ-ი ბოსტანის კლდის რელიეფები სამეფო ნადირობის სცენით (V-VI სს.), სადაც მეფის სამოსელზე კარგად ჩანს სახიანი ქსოვილის ნახატში ჩართული ფარშევანგის გამოსახულებები **[Ghirshmann R., 1962, 227, სურ. 270]**. დმანური რელიეფის ზედაპირის დამუშავება ახლოა სასანურ რელიეფებსა და ქსოვილებზე

ფრინველთა ან ფანტასტიურ არსებათა (ფრთოსანი ლომი – სენმუვრი ან სიმურგი) ფრთების დამუშავების კონკრეტულ მხატვრულ ხერხებთან **[Ghirshmann R., 1962, სურ. 271-276].** განსაკუთრებით თვალსაჩინოა სიახლოვე ფრთოსანი სიმურგის რელიეფებთან, სადაც ფრთა გადმოცემულია ზუსტად იმგვარად, როგორც ჩვენ რელიეფზე: ორნამენტული ლილვით შემოხაზული ფრთის ზედა ნაწილი შევსებულია მარტივი გეომეტრიული ნახატით – ტეხილი ხაზების წყებით, რომბებით და სხვ. ბუმბულები კი გადმოცემულია ფრთის მოხაზულობის შესატყვისი პარალელური ხაზების მწკრივით.

ფარშევანგის გამოსახულება გვხვდება აგრეთვე სასანური ტორევტიკის ნიმუშებზე. ერთ-ერთი მათგანია ვერცხლის ლანგარი მაზენდარანიდან ოთხი მუსიკოსის გამოსახულებით (VIს.) **[Ghirshmann R., 1962, 216, ნახ. 257].** ლანგრის ფსკერზე გამოსახული ფარშევანგის ნახევარმთვარის ფორმის ქოჩორი და ყელზე შებმული გაფრიალებული წმინდა ბაფთა ფრინველის სიმბოლურ გააზრებაზე მიანიშნებს. ერთ-ერთ სასანურ ვერცხლის ჭურჭელზე ფრინველის ანალოგიურ გამოსახულებასთან დაკავშირებით ვ. ლუკონინი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს არის ხოხობი (ასეთივე „სამეფო“ ბაფთითა და ნისკარტში ყელსაბამით), რომელიც კეთილისმყოფელ ღვთაებას განასახიერებდა **[Луконин В. Г., 1977, 197].**

სასანურ ზოომორფულ სიმბოლოთა შორის ფრინველების (ფარშევანგი, ხოხობი, ფანტასტიკური ფრთოსანი არსება – გრიფონი) გამოსახვის ტრადიცია თავისი ძირებით დაკავშირებულია ირანის უძველეს ეპიკურ ლეგენდებთან, რომელთა მიხედვით ეს ფრთოსანი არსებები კეთილისმყოფელი ღვთაებების განსახიერებებია. ტრადიციის მიხედვით, ფანტასტიკური არსება სიმურგი დრაკონისა და ფარშევანგის თავისებური სიმბიოზია **[Ghirshmann R., 1962, 219].** ფარშევანგის თემასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო გარემოებაა გასათვალისწინებელი: არსებობს ცნობა, რომ ირანის შაჰმა ხოსრო I-მა (531-578 წწ.) ანტიოქიის აღების შემდეგ ქტეზიფონის მახლობლად ააგო ქალაქი – „ხოსროს ახალი ანტიოქია“, სირიული ანტიოქიის ზუსტი ასლი. ამასთან დაკავშირებით ირანში ჩამოიყვანეს სირიელი ოსტატები, რისი წყალობითაც კიდევ ერთხელ მოხდა ამ ქვეყნის ხელოვნებაში სხვა ქვეყნის ხელოვნების ელემენტების შემოჭრა **[Ghirshmann R., 1962, 200].**

ფარშევანგის გამოსახულების მოთავსება ქვასვეტის კაპიტელზე, ანუ იერარქიულად ყველაზე მნიშვნელოვან ზონაში, სადაც ღმრთისმშობლის ხატია განთავსებული, უთუოდ ამ სიმბოლური თემის მნიშვნელოვანებით უნდა აიხსნას. ადრექრისტიანულ სიმბოლიკაში ამ თემის ზემოაღნიშნული დატვირთვის გათვალისწინებით, მისი საპატიო ადგილი ქვასვეტის იკონოგრაფიულ პროგრამაში სრულიად ლოგიკურია. ამასთან დაკავშირებით კვლავ უნდა მოვიყვანო ზემოხსენებული ბოლნური ქვასვეტი, სადაც ფარშევანგი იკონოგრაფიული პროგრამის ერთადერთი და მთავარი სახვითი ელემენტია და ამდენად, მას დიდი აზრობრივი დატვირთვა აქვს. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ფრინველს აქვს ისეთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი, როგორიცაა სასანურ სამყაროში გავრცელებული უზენაესობის აღმნიშვნელი სამეფო ბაფთა, რაც ფარშევანგის სიმბოლურ მნიშვნელობას დამატებით ღირსებას სძენს. კაპიტელის საერთო რელიეფური პროგრამის ორგანულ ნაწილად ფარშევანგის გამოსახულების აღქმისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ იგი მიმართულია მის მომიჯნავე წახნაგზე გამოსახულ მამაკაცთა წყვილისკენ, რითაც მათთან გარკვეულ მიმართებაში მოიაზრება. ფარშევანგის ამ რელიეფის ჭეშმარიტი არსი უფრო გასაგებია კაპიტელის ყველა წახნაგის რელიეფური სახეების ერთობლივი გააზრებით, რისთვისაც აუცილებელია მისი მეოთხე წახნაგის რელიეფის – ლომის მხატვრულ-აზრობრივი მნიშვნელობის გათვალისწინება.

ლომი (ნახ. 12₁; ტაბ. 10₁, 14)**.** ქვაჯვარებზე – სულიერი და სოციალური დატვირთვის მქონე საკულტო ძეგლებზე, რელიეფური დეკორის ყოველი დეტალი ზუსტადაა განსაზღვრული. ეს ეხება არა მარტო ბიბლიური ისტორიის თემებსა და წმინდა პერსონაჟებს, არამედ ზოომორფულ სახეე-

ბსა და თვით ორნამენტულ მოტივებსაც კი, რომლებსაც, ქვასვეტის დეკორატიული პროგრამიდან გამომდინარე, ყოველთვის გარკვეული სემანტიკური ქვეტექსტი ახლავს.

კაპიტელის მეოთხე (ჩრდ.) წახნაგზე, რომელიც ღმრთისმშობლის ხატს ემიჯნება, ლომის გამოსახულებაა მოთავსებული. ლომის რელიეფური სახე ქვასვეტის კაპიტელზე მისი მნიშვნელოვანებითაა გაპირობებული. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ თემის უდიდეს პოპულარობას ძველ აღმოსავლეთში, უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების ხელოვნებამ ლომის სიმბოლური თემა იუდეველთა სამყაროდან მიიღო. უკვე ბიბლიაში ვხვდებით ცნობებს ლომების გამოსახვის შესახებ: „ხორშთა მათ წარსავალთასა ლომისსახენი და კურონი და ქერობინნი და ზედა მათ გარემოსავალთა მათ აგრეთვა სახედ და ზედ ლომთა მათ და კუროთა“ (III მეფეთა, 7, 29), „ ... და ხორშთა მისთა ქერობინნი და ლომნი..“ (III მეფეთა, 7, 36). იუდეველები, ისევე, როგორც ძველი აღმოსავლეთის ხალხები, ლომებს ძლიერ და მტკიცე დარაჯებად და მცველებად მიიჩნევდნენ.

ლომი ძველი აღმოსავლეთისა და ეგეოსის კულტურათა რელიგიურ წარმოდგენებსა და მითოლოგიაში მზეს უკავშირდებოდა (ხვადი ლომის ოქროსფერი ფაფარი მზის სხივებთან იყო გაიგივებული). წინა აზიის ღვთაება იშტარი დაკავშირებული იყო მზესთან და, შესაბამისად, ლომი მის ცხოველად მოიაზრებოდა. წინააზიური ღვთაებები კავკასიაში ადგილობრივი მსოფლმხედველობისა და რწმენის შესაბამისად გარდაიქმნებოდნენ. წინა აზიის სამიწათმოქმედო კულტურებში „მზის ცხოველი”– ლომი თან ახლდა მთავარი ღვთაების, „დიდი დედის“ გამოსახულებებს, რაც მზისა და „დიდი დედის“ კულტების შერწყმაზე მიგვანიშნებს **[კიკვიძე ი., 1988, 273]**. უძველესი კულტები უკვალოდ არ ქრებოდა. დროთა განმავლობაში ხდებოდა მათი ტრანსფორმაცია, ახალ რელიგიასთან შეგუება. ახალი კულტი ითვისებდა ძველის ელემენტებს და ამით განამტკიცებდა თავის პოზიციებს, ხდებოდა ტრადიციულისა და ახლის ერთ სისტემაში გადაყვანა. ამ გზით ხდებოდა ქრისტიანობის მიერ უძველეს სიმბოლოთა ახლებური გააზრება და ახალი შინაარსით მათი გამოყენება ახალი კულტის მიზნებისათვის.

ადრექრისტიანულ თეოლოგიაში გავრცელებული იყო ქრისტეს გაიგივება ლომთან. ამის სათავეები უკვე ბიბილიაში მოიძიება (“ლეკვი ლომის იუდა, მცენარისაგან, შვილო ჩემო, აღმოჰხედ. მიწოლით დაიძინო, ვითარცა ლომმან და ვითარცა ლეკუმან ლომისამან, ვინმე აღადგინოს იგი“ — დაბად. 49, 9). ნეტარი თეოდორიტე (Vს.) ქრისტეს ლომს ადარებს, რომელიც მძინარეც კი შიშსა და ძრწოლას იწვევს ყველაში. ქრისტიანი ფიზიოლოგები ცხოველთა მეფის იმ თვისებებზე მიანიშნებდნენ, რომლებიც უფლებს აძლევთ ანალოგიები გაავლონ ქრისტესა და ლომს შორის. სხვათა შორის ასახელებენ ერთდროულად ძილისა და ფხიზლობის უნარს, რამაც სათავე დაუდო „მაცხოვრის – „ფხიზელი თვალის“ თემის შექმნას **[Уваров А. С., 1910, 137]**.

სწორედ ამგვარი გზებით მოხვდა ლომის თემა ქრისტიანულ ხელოვნებაში, რომელმაც იგი მისი რთული სემანტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით გამოიყენა. ლომების გამოსახულებიანი ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ნაწარმია IV საუკუნის მინის ჭურჭელი ოქროთი შემკული ფსკერით (იერუსალიმი. ისრაელის მუზეუმი) **[Barag D., 1972, n.347, 380-381]**. ამგვარი ნივთები რომის კატაკომბებშია აღმოჩენილი. ლომის დაცვითი ფუნქცია, რომელიც ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებიდან მომდინარეობს, გადმოდის ქრისტიანულ ხანაში და თავისებურად განაგრძნობს არსებობას. ლომის გამოსახულებებს ვხვდებით ძველ ქრისტიანულ სამარხებზე, სარკოფაგებზე, სადაც მათ მცველთა ფუნქცია ენიჭებოდათ. პირველი ქრისტიანებიც ლომებს ძლიერ და უშიშარ დარაჯებად მიიჩნევდნენ. არსებობს მოსაზრება, რომ ქრისტიანობამ თითქოს მიივიწყა ლომის უძველესი სიმბოლური მნიშვნელობები და მიიღო მხოლოდ იუდეაში გავრცელებული მათი დაცვითი ფუნქცია **[Уваров А. С., 1908, 204-220]**. ლომის გამოსახულება ზოგ შემთხვევაში ღვთაება მითრას ინკარნაციად იყო მიჩნეული **[Луконин В. Г., 1977, 175]**. შევეცდები დმანისის ქვასვეტის რელიეფუ-

რი პროგრამის საერთო ანალიზის საფუძველზე ავხსნა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლომის გამოსახულების ჩართვა რელიეფურ პროგრამაში ამ უძველესი სიმბოლური თემის სიღრმივი არსის მოშველიებით მოხდა.

ქართული ქრისტიანული ხელოვნების ძეგლებზე ლომების ყველაზე ადრეული გამოსახულებები ბოლნისის სიონშია შემონახული (საკურთხევლის აბსიდის პილასტრის კაპიტელი ცხოველების რელიეფური სახეებით) **[Чубинашвили Г. Н., 1940, 155-158, ტაბ.I].** ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს საინტერესო მოვლენასთან – ქრისტიანული ტაძრის ყველაზე გამოსაჩენ და მნიშვნელოვან ადგილას წინაქრისტიანული ხანის ხალხური რწმენის განსახიერებათა გამოსახვასთან. ცხადია, რომ ეს არ იყო ახლო აღმოსავლეთის ხალხებთან, კონკრეტულად, ირანულ სამყაროში ესოდენ პოპულარული ზოომორფული თემის მხოლოდ გარეგნული, ზედაპირული განმეორება. ბოლნისის სიონის სკულპტურულ დეკორში წინაქრისტიანული მხატვრულ-სიმბოლური თემა გამოყენებულია მისი უძველესი მნიშვნელობის ცოდნაზე დაყრდნობით. ამ შემთხვევაში ერთმანეთს შეერწყა იუდეურ და მაზდეანურ სამყაროში გავრცელებული ლომის – მცველისა და ძლიერი ქომაგის – თემის ერთნაირი ინტერპრეტაცია. ცხადია, რომ ქართველი ოსტატისთვის კარგად იყო ცნობილი ლომის გამოსახულების სიმბოლური არსი და მან ეს თემა სრულიად შეგნებულად და გააზრებულად ჩართო ქრისტიანული ტაძრის რელიეფურ დეკორში.

დმანისის ქვასვეტის კაპიტელზე პროფილში გამოსახული ლომის ფიგურა მთლიანად ავსებს წახნაგის ზედაპირს. მისი დინამიკური მოძრაობა კაპიტელის საფასადო მხარისკენ, ღმრთისმშობლის ხატისკენაა მიმართული. ჰორიზონტალურად გაშლილი ლომის სხეულის ზომასთან შედარებით ხაზგასმულად დიდია მისი ფაფრიანი თავი, რომელიც კომპოზიციის აზრობრივ ცენტრს ქმნის. ლომს თავი მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით მკვეთრად აქვს მობრუნებული. თავდაცვისათვის მზადმყოფ, მბრდღვინავ ცხოველს, დაღებული ხახიდან ენა აქვს გადმოგდებული, კბილები საგანგებოდაა მინიშნებული (ასეა გამოსახული ანტიოქე I კომაგენეს სამარხის მცველი ლომი ნიმრუდ დაღში, ძვ.წ. Iს.) **[Ghirshmann R., 1962, სურ.18].** ლომის თათების პოზიცია (უკანა თათები ნიადაგს უყრდნობა, წინა თათები ჰაერშია გამოსახული) მძაფრ, დინამიკურ მოძრაობას გადმოსცემს.

ლომის კუდი გავის მოხაზულობას შემოწერს და მისი პალმეტისებრი ბოლო, უკანა თათებს შორის გამოტარებული, სხეულზე მოჩანს, რაც ამ სრულიად სიბრტყობრივ გამოსახულებაში თითქოს პლანების არსებობაზე მიუთითებს. ქართველი ოსტატი თავისებურად გამოსახავს ლომის დამახასიათებელ ფორმებს. სხეული ბრტყელი აპლიკაციის მსგავსადაა გადმოცემული. ლომის ფაფარი ორიგინალურადაა გადმოცემული: თავისა და კისრის გამყოფ ხაზზე „საყელოს“ მსგავსად შემოვლებული პარალელური რკალების ზოლით და დეკორატიულად გადმოცემული, მარაოსებრ გაშლილი ექვსი ფრთისმაგვარი ელემენტით. საინტერესოა, რომ ფაფრის ორი ნაწილის ამგვარ განსხვავებულ გადმოცემაში სხვადასხვა ტრადიციის გავლენები იჩენს თავს. ორნამენტული „საყელოს“ შორეულ წინაპრად შეიძლება მივიჩნიოთ ირანულ სამყაროსთან დაკავშირებულ ოქროს პექტორალზე (ზივიე, ძვ.წ. VIIს.) ლომებისა და ე.წ. „სკვითური ავაზას“ რელიეფის ორნამენტი, რომელიც ცხოველის ყელს შემოხაზავს **[Луконин В. Г., 1977, ილ. 48].** ამ პექტორალის რელიეფურ დეკორში იმდენი ხალხის შემოქმედების ნაზავი იჩენს თავს (ასურეთი, ურარტუ, სირია, ფინიკია), რომ უნებურად ისმის კითხვა ძველი სამყაროს ამ რთულსა და უმდიდრეს კულტურაში ქართველთა წინაპრების როლის შესახებ. საკმარისია, გადავხედოთ პექტორალზე გამოსახულ ფანტასტიკურ არსებათა გადმოცემის თავისებურებებს, რომ გასაგები გახდეს ქართული ხელოვნების ძეგლებზე არა ერთი ორნამენტული მოტივის წარმოშობის სათავეები. თუ კი ლომის ორნამენტული „საყელო“ ახლო აღმოსავლეთის მხატვრული ტრადიციების თავისებური გამოძახილია, პარალელური რელიეფური რკალების წყებით დამუშავებული ფაფრის „ფრთისებური“ ნაწილის დეკორატიული

გადაწყვეტის უახლოესი პარალელებია VI-VII სს. ქართულ ქვაჯვარებზე უფლის ამაღლების კომპოზიციებში ანგელოზთა ფრთების ორნამენტული დამუშავება (ხანდისის, დავათის, ბრდაძორის, დიდი გომარეთის ქვასვეტები).

დმანისის ლომის რელიეფური სახის მხატვრულ ეფექტს ქმნის ცხოველის სტილიზებული ფორმების გადმოცემაში გამოყენებული კონტრასტული დაპირისპირება სხეულისა და თავის სიბრტყობრივ ხასიათსა და დეკორატიულად დამუშავებულ ფაფრის ორნამენტულ ზედაპირს შორის. სიბრტყობრივი რელიეფის გლუვი ზედაპირი გაცოცხლებულია ფაფრის ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით „მბრუნავ“ ნაწილებზე შუქ-ჩრდილის ოსტატური თამაშით.

კაპიტელის მომიჯნავე წახნაგებზე გამოსახული ფარშევანგი და ლომი პრინციპულად ერთნაირ კომპოზიციურ მიდგომას ავლენს. პლასტიკური ხერხების გამოყენებაშიც გარკვეული კანონზომიერება შეინიშნება: თუ ფარშევანგის გამოსახულებიანი წახნაგის მთავარი მხატვრული ხერხი ზედაპირის ფაქიზი ხაზობრივ-დეკორატიული დამუშავებაა, ლომის რელიეფი მოქმედებს გლუვი ზედაპირების სიბრტყობრივი გამომსახველობით, რომელსაც ფაფრის ორნამენტული დამუშავება სპეციფიკურ მხატვრულ სახეს ანიჭებს. ორივე შემთხვევაში შესანიშნავადაა გამოყენებული თემის თავისებურება და ამ მომიჯნავე წახნაგების განსხვავებული პლასტიკური მეტყველება ოსტატის დახვეწილ გამოვნებასა და მხატვრული ხერხების მრავალფეროვნებაზე მეტყველებს.

ლომის გამოსახულება დმანურ ქვაჯვარაზე ხალხის ისტორიულ მეხსიერებაში შემონახული უძველესი ტრადიციული სიმბოლოების სიცოცხლისუნარიანობისა და ახალ კონტექსტში მათი გააზრების შესანიშნავი მაგალითია.

ქვასვეტის მთავარი წახნაგი (ნახ. 111; ტაბ. 91).

სვეტის მთავარ წახნაგზე „ასტრაგალის“ თავისებურ ჩარჩოებში ჩასმული სამი ფიგურული კომპოზიციაა განთავსებული. ქვემოდან ზემოთ: ორი ორფიგურიანი კომპოზიცია და ნათლისღების ორფიგურიანი სცენა. დავიწყებ ნათლისღების თემიდან, რომელიც აზრობრივად ყველაზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ წახნაგზე, არამედ საერთოდ სვეტის მთელ რელიეფურ პროგრამაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ერთადერთი სიუჟეტური კომპოზიცია სვეტის მთელს რელიეფურ დეკორში.

ნათლისღება (ნახ. 11$_1$; ტაბ. 9$_1$, 11). ქვაჯვარაზე ამ სცენის ყველაზე მოკლე და ლაკონიური რედაქციითაა წარმოდგენილი. არ არის არავითარი მითითება მოქმედების ადგილზე, მდინარე იორდანეზე ან სანათლავზე. სცენის იდენტიფიცირება პერსონაჟთა იკონოგრაფიული ნიშნებით, მათი ურთიერთმიმართებითა და პოზებით ხერხდება. კომპოზიცია შედგება ორი პერსონაჟისაგან, რომელნიც გლუვ ნეიტრალურ ფონზე არიან წარმოდგენილნი. მარჯვენა, უფრო მოზრდილი ფიგურა – გრძელთმიანი, წვერულვაშიანი მამაკაცი, რომლის რთული შედგენილობის ტანსაცმელი საგანგებო ორნამენტული ხერხებითაა გადმოცემული, იკონოგრაფიული ნიშნებით, პოზითა და ჟესტით იოანე ნათლისმცემელია. პარალელური ტალღოვანი ხაზებით დამუშავებული გრძელი თმა მას მხრებზე ეფინება. მარჯვენა გაწვდილი ხელით იგი მის გვერდით გამოსახულ შედარებით უფრო პატარა ფიგურის თავს ეხება, რაც ნათლისღების სიუჟეტზე მიუთითებს. სქემატურად გადმოცემული ხელის მტევნის ფორმა ქრისტეს თავის მოხაზულობას მიუყვება (შეად. ბრდაძორის სტელის კაპიტელზე გამოსახულ ანალოგიურ სცენაში იოანეს ჟესტი და იმავე ქვასვეტზე, მის ზედა ნაწილში გამოსახული დიდებულის ჟესტი, რომლითაც იგი ღმრთისმშობლის თავს ეხება). იოანეს მარჯვენა ზეაღმართულ ხელზე მოსასხამის მარაოსებრ გაშლილი ნაკეცებია გადმოფენილი, ყოველი ნაკეცი კოვზისებური ორნამენტითაა დამუშავებული. მარცხენა მხარზე მოსასხამის ოვალური ნაწილია დაფენილი, მისი ნაკეცები კონცენტრული რკალებითაა გადმოცემული. იდაყვში მოხრილ მარცხენა ხელზე კი

მოსასხამის გრძელი კალთაა გადმოკიდებული. მოსასხამის ქვეშ მოჩანს დამახასიათებელი ფორმის სამოსელი, რომლის ქვედა ნაწილში მკაფიოდაა ნაჩვენები ქსოვილის რომბული ორნამენტი. მის შიგნით, ყელთან ლილვით დასრულებული სადა, უსახო ქსოვილის კაბა მოჩანს. ნათლად იკითხება ქობის მოხაზულობა, რომელიც შეესაბამება ფეხების მოძრაობასა და მათ ფორმას.

იოანეს ფიგურა მთლიანად ავსებს კადრს, თავით იგი ზედა ჩარჩოს ებჯინება, რაც ოპტიკურად ზრდის მის რეალურ ზომას. ნათლისმცემელი ხედვის ორი წერტილიდანაა გამოსახული: თავი და ფეხები პროფილში, სხეული კი ფასში. თავის პროფილური მდგომარეობის მიუხედავად, თვალი პირდაპირაა გამოსახული (ზუსტად ისევე, როგორც ქრისტეს თვალი კაპიტელის კომპოზიციაში). საგანგებო ხერხით – პარალელური ტალღოვანი რკალების წყებითაა გადმოცემული იოანეს თმა. აქაც ყურის გამოსახვის თავისებური ხერხია გამოყენებული (შდრ. ქრისტეს სახე კაპიტელის რელიეფზე). თმისა და წვერ-ულვაშის დეკორატულად დამუშავებულ ზედაპირზე ფასში გამოსახული დიდი თვალი სახეს უცნაურ გამომეტყველებას ანიჭებს. იოანე ნიადაგს მხოლოდ ფეხის წვერებით ეხება, ქუსლები ჰაერშია განთავსებული, როგორც ქართული ქვასვეტების ნათლისღების კომპოზიციებში (ბრდაძორი, ბარიჯვარი, უსანეთი).

ქრისტეს ფიგურა იოანესთან შედარებით უფრო მცირე ზომისაა. იგი მკაცრად ფრონტალურია. ქრისტე წელსზემოთ შიშველია გამოსახული, მკერდი ორი ოვალური ამოწეული სიბრტყითაა აღნიშნული. წელს ქვემოთ მას მოკლე კვართი მოსავს, რომელიც კოვზისებური ორნამენტის პარალელური წყებითაა შექმნილი. მარჯვენა ხელი ზეაღმართულია, იდაყვში მოხრილი მარცხენა ხელი წელის დონეზე ჰორიზონტალურადაა მიმართული. ერთმანეთთან მიტყუპებული, ჩარჩოზე მყარად მდგარი ფეხების ბლოკური ფორმა ამძაფრებს სტატიკურობის შეგრძნებას, რასაც ხელს უწყობს პროფილში გამოსახული ტერფების სიმეტრიული განლაგება. ქრისტეს ფიგურა დისპროპორციულია, საკმაოდ დიდი თავი თითქმის უკისროდ, პირდაპირ მხრებზეა დადგმული (კისერი წვრილი ლილვითაა აღნიშნული). ამგვარი დეფორმაცია რელიეფს თავისებურ ექსპრესიულობას ანიჭებს.

ყურადღებას იპყრობს ქრისტეს სახის გადმოცემა: შუაზე გაყოფილი გრძელი ტალღოვანი თმა სიმეტრიულად აჩარჩოებს სახეს და მხრებზეა დაფენილი. სახის ბრტყელ ზედაპირზე ნაკვთების ფორმა მსუბუქად ჩაკვეთილი ხაზებითაა აღნიშნული (ლოყები – ოვალური სიბრტყეები, ცხვირის ფორმა წარბის ხაზიდან დაწყებული ვერტიკალური ჩანაჭდევებითაა მინიშნებული). პლასტიკურად გადმოცემული დიდი თვალების (ჩაჩხვლეტილი გუგებით) მზერა უსასრულობისკენაა მიმართული. ოდნავი ჩანაჭდევით აღნიშნული პატარა ბაგე ამ ეპოქის რელიეფური სახეებისთვისაა დამახასიათებელი.

ზედაპირის დამუშავებაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ხერხია გამოყენებული. მოქანდაკე მინიმალური მხატვრული საშუალებებით, უკიდურესი პირობითობით ახერხებს სიუჟეტის არსის გადმოცემას. კომპოზიციის მთავარი მხატვრული მახასიათებელია კონტრასტი ქრისტეს ფიგურის მკაცრ იერატულობას, სქემატურ, სიბრტყობრივ დამუშავებასა და იოანეს ფიგურის ხედვის ორი წერტილიდან ჩვენებასა და მის ორნამენტულ დამუშავებას შორის. მნიშვნელოვანია კონტრასტი ქრისტეს ფიგურის დიდი გლუვი სიბრტყეებით გადმოცემასა და იოანეს ჭარბად დრაპირებული, მრავალფენიანი სამოსლის ცხოველხატულ ზედაპირს შორის. ამას ემატება ქრისტეს ფიგურის ფრონტალურობისა და სიბრტყობრიობის დაპირისპირება იოანეს ფიგურის ერთგვარად „სივრცობრივი“ გადმოცემასთან. სრული გარინდებულობისა და მოძრაობის პირობითი ჩვენების ამგვარი შეთავსება უცხო არ არის ქართული ქვასვეტების „ნათლისღების“ რელიეფური სცენებისათვის (იხ. ჟალეთის სანათლავი) **[ქადეიშვილი ნ., 1964, ტაბ. 4]**.

ნათლისღება სახარების იმ თემებს მიეკუთვნება, რომლებიც ხშირად გამოისახებოდა ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე. ეს კომპოზიცია შესულია ქვაჯვარების სვეტების რელიე-

ფურ პროგრამებში (ბრდაძორი, ბერიჯვარი, უსანეთი), იგი ამკობს ჟალეთის სანათლავს, წებელდის კანკელის ფილას. ნათლისღების თემა დმანისის ქვასვეტზე, ისევე, როგორც სახარების სხვა სიუჟეტები ქართულ ქვაჯვარებზე, მისი უმოკლესი რედაქციითაა მოცემული. ამგვარი მიდგომა საერთოდ დამახასიათებელია ადრეული ქართული რელიეფების ლაკონიური მეტყველებისათვის **[მაჩაბელი კ., 2006, 41-52]**. სახარების ეს სიუჟეტი უმეტესწილად მხოლოდ ორი მთავარი პერსონაჟით შემოიფარგლება, მასში მხოლოდ ქრისტე და იოანე ნათლისმცემელი (იხ. ბრდაძორის, ბერიჯვრის ქვასვეტები) მონაწილეობენ. ზემოხსენებულ სამ ქვასვეტზე ნათლისღება რთული იკონოგრაფიული პროგრამის შემადგენელი ნაწილია. უსანეთის ქვასვეტზე ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას ესწრება ერთი ანგელოზი, ჟალეთის სანათლავზე სცენის მთავარ მონაწილეებს ემატება ორი ანგელოზი. ასევე ორი ანგელოზია გამოსახული წებელდის კანკელის ანალოგიურ სცენაში.

ქვასვეტებზე გამოსახული ნათლისღების სცენებიდან ორ შემთხვევაში (ბერიჯვრის, უსანეთის) ნათლისღება ხდება სანათლავში, ერთ სცენაში (ბრდაძორი) – მდინარე იორდანეში. სამივე სცენაში ქრისტეს თავს ზემოთ დიდი ზომის მტრედი – სული წმიდის სიმბოლოა გამოსახული, რაც ხაზს უსვამს ნათლისღების მოვლენის განსაკუთრებულობას. ყველა სცენაში ქრისტეს თავს უკან გამოსახულია ჯვარი (ჯვრულ შარავანდზე მინიშნება). სამივე შემთხვევაში ქრისტე გამოსახულია ნორჩ ასაკში, რაც არ შეესაბამება ისტორიულ ვითარებას და სიმბოლურად მიუთითებს ნათლისღებაზე, როგორც ახალი სიცოცხლის დაბადებაზე.

ქართულ ქვასვეტებზე გამოსახული ნათლისღების სცენების განხილვა გვიჩვენებს, რომ მოჩვენებითი ერთგვარობის მიუხედავად, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებიცაა: ნათლისღება სანათლავში და ნათლისღება იორდანეში, ორი მოქმედი პირი და ნათლისღება ანგელოზის თანხლებით. უფრო მეტიც, თუ ამ თემას განვიხილავთ უფრო ფართოდ და გავითვალისწინებთ ამავე ეპოქის სხვა რელიეფებსაც ანალოგიური სიუჟეტით, აღმოჩნდება, რომ ქართველ ოსტატებს იკონოგრაფიულ ტიპთა შერჩევის ფართო შესაძლებლობები ჰქონდათ. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მივმართოთ ანალოგიურ სცენას ჟალეთის სანათლავზე და წებელდის ფილაზე. ორივეზე წარმოდგენილია ასაკოვანი, წვეროსანი ქრისტეს ნათლისღება ორი ანგელოზის თანხლებით. მაგრამ ამ ორი რელიეფური სცენის მსგავსება ამით ამოიწურება, რადგან ყოველი მათგანი სრულიად განსხვავებულადაა გადმოცემული. იოანე ნათლისმცემელი ჟალეთის სანათლავზე, ქვაჯვარების გამოსახულებათა მსგავსად, კომპოზიციის მარცხენა ნაწილშია გამოსახული, წებელდის რელიეფზე კი მარჯვნივ. განსხვავებულია ანგელოზთა განლაგებაც: ჟალეთის რელიეფზე ანგელოზები თითქოს აწონასწორებენ იოანეს ფიგურას კომპოზიციაში, წებელდის ფილაზე კი ორი ანგელოზი ზემოდან აჩარჩოებს კომპოზიციას. შეიძლებოდა კიდევ მთელი რიგი იკონოგრაფიული თანხვედრებებისა და განსხვავებების დასახელება, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ადრეული შუა საუკუნეების ქართველ ოსტატებს საშუალება ჰქონდათ შეერჩიათ ნათლისღებისა და საერთოდ, სახარების ნებისმიერი თემის იკონოგრაფიული ვერსია იმის მიხედვით, თუ რა მხატვრულ-თეოლოგიური ამოცანები იდგა მათ წინაშე.

როგორ მიმართებაშია დმანისის ქვასვეტზე წარმოდგენილი ნათლისღების სცენა ამ კომპოზიციის დღეისათვის ცნობილ ქართულ ვერსიებთან? ერთი შეხედვით, დმანისის ნათლისღება თითქოს მიუყვება ქვასვეტებისათვის ჩვეულ ლაკონიურ ორფიგურიან სქემას, მაგრამ დმანელი ოსტატი თავის ლაკონიზმში უფრო შორს მიდის – ერთადერთი მინიშნება კომპოზიციის სიუჟეტზე ორი ფიგურის ურთიერთმიმართებაა (ქრისტე, იოანე). ქართულ ქვაჯვარათა სხვა ანალოგიურ რელიეფურ კომპოზიციებთან შედარებით დმანისის ოსტატი მეტი აბსტრაგირების გზას ირჩევს. მისი ნათლისღება უმარტივესი ფორმულაა, „იეროგლიფებზე“ დაყვანილი სიმბოლური სახე, რომელიც მოვლენის არსს ზუსტად და ადვილად საცნობად გადმოსცემს.

განსხვავებულია დმანისის ნათლისღების ადგილი ქვასვეტის ერთიან იკონოგრაფიულ პროგრამაში. ზემომოყვანილ ქვაჯვარებზე ეს სცენა სვეტის ქვედა რეგისტრშია გამოსახული. სახარების აღნიშნული სიუჟეტის ამგვარ ტოპოგრაფიაში გამომჟღავნდა ამ რიგის საკულტო ძეგლებისათვის დამახასიათებელი ქვასვეტის წახნაგებზე სიუჟეტების ქრონოლიგიური თანმიმდევრობით განთავსების კანონი, რომლის თანახმად, თემების ვერტიკალური განაწილება ქვემოდან ზემოთ სახარების მოვლენების ისტორიულ მიმდევრობას შეესაბამება. მაგრამ აღნიშნული ქვასვეტების პროგრამები სახარების რამდენიმე თემას მოიცავს და მათში ეს სცენა სხვა მოვლენებთან ზუსტად გათვლილ მიმართებაში გამოისახება. დმანისის ქვასვეტზე განსხვავებული მდგომარეობაა. სვეტის წახნაგებზე ნათლისღება ერთადერთი სიუჟეტური კომპოზიციაა. იგი სტელის საფასადო მხარის ყველაზე მაღალ რეგისტრშია განთავსებული, რაც საერთო იკონოგრაფიულ პროგრამაში მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ორფიგურიანი კომპოზიციები (ნახ. 11$_1$; ტაბ. 9$_1$, 12). ნათლისღების სცენის ქვემოთ ორი ორფიგურიანი კომპოზიციაა. ზედა კომპოზიცია დაზიანებულია, მისი რელიეფური ზედაპირი თითქმის მთლიანადაა გადაფხეკილი. თავები ჩამოტეხილია, განირჩევა მხოლოდ ფიგურების ზოგადი სილუეტები და კოსტიუმების საერთო მონახაზი. მარცხენა ფიგურის თავთან შეინიშნება შარავანდის კვალი (?). ორივე ფიგურას ხელები მკერდთან აქვს მიტანილი შემხვედრი მოძრაობით (მარჯვენა ხელი მარცხენაზე ოდნავ ზევითაა განლაგებული). ასეთი პოზა ახასიათებს მოციქულებს, რომელთაც ხელში სახარება სწორედ ასეთი ჟესტით უპყრიათ: მარცხენა ხელი ქვემოდან იჭერს წმიდა წიგნს, მარჯვენა კი ზემოდან ეხება მას.

ორივე ფიგურა ერთნაირად უნდა ყოფილიყო შემოსილი. ორივეზე განირჩევა მოსასხამის მოხაზულობა, რომელიც ორივე მხარეს სხეულის სილუეტს მიუყვება. მარჯვენა მხარეს მოსასხამის კალთა უფრო გრძელი და ვიწროა, მარცხენა მხარეს კი უფრო მოკლე და განსხვავებული ფორმისა. ორივე ფიგურაზე განირჩევა სამოსლის ოვალური, წინსაფრისებრი ფორმა, რომლის შიგნითაც კაბა განსხვავებულადაა გადმოცემული: მარცხენა ფიგურასთან კაბა დამუშავებულია ოვალური მოხაზულობის ორი მოგრძო ფორმის სახით (პირობითი მინიშნება ფეხების ფორმაზე, რაც, შესაძლოა, მოქანდაკის ხელთ არსებულ ნიმუშზე ფეხების პლასტიკური გადმოცემის თავისებურ სიბრტყობრივ ვერსიას წარმოადგენს), მარჯვენა ფიგურის შიდა კაბა „წინსაფრის“ ქვემოთ ორი ვერტიკალური ორმაგი ხაზითაა აღნიშნული, რაც სამოსლის ნაკეცებზე (ან თარგზე) უნდა მიანიშნებდეს. ორივე ფიგურის კაბები ქვემოთ ჰორიზონტალური ორმაგი ხაზით შემოწერილი ქობითაა დასრულებული.

ქვედა ორფიგურიანი კომპოზიცია შედარებით უკეთაა შემონახული. ერთნაირი სიმაღლის ორი ფრონტალური ფიგურა იმეორებს მათ ზემოთ განლაგებულ კომპოზიციას. ფიგურები პირით მაყურებლისკენ დგანან, გრძელი სამოსის ქვეშ მხოლოდ ტერფები მოუჩანთ. ფეხები ერთმანეთთანაა მიდგმული, პროფილში გამოსახული ტერფები სიმეტრიულად განზეა გაწეული (შეად. ქრისტეს ფეხების პოზიცია ნათლისღების სცენაში). ოდნავ აღნიშნულია ფეხსაცმლის ქუსლები. სრულიად განსხვავებულია ამ პერსონაჟთა ჩაცმულობა. მარცხენა ფიგურას მარცხენა მხარზე მოსასხამის კალთა ოვალურ ნაკეცებად ეფინება (შეად. იოანეს მოსასხამი ნათლისღების სცენაში), მარცხენა ხელზე ეშვება მოსასხამის დრაპირებული კალთა. მოსასხამის ნაწილი რკალურ ნაკეცებად იდაყვში მოღუნულ მარჯვენა ხელზეცაა გადმოფენილი. მამაკაცს მარჯვენა ხელი მკერდთან აქვს მიტანილი, ოდნავ ქვემოთ დაშვებული მარცხენა ხელის მტევანზე კი რაღაც გაურკვეველი ფორმის საგანი აქვს ჩამოკიდებული. რელიეფზე კარგად განირჩევა ამ ნივთის დაჭერის თავისებური ხერხი – მოჩანს გაწეული ცერი, რომლითაც მამაკაცი იჭერს ამ საგანს (თუ მის ნაწილს). ამ მამაკაცის ჩაცმულობა ანალოგიურია მის ზემოთ განლაგებული ფიგურის ჩაცმულობისა, განსხვავებაა მხოლოდ დეტალებში – კაბის ოვალური ფორმის ნაკეცები (სამ-სამი ყოველ ფეხზე) იწყება შედარებით

უფრო ქვემოთ, წელს ქვემოთ შემოჭერილი სარტყლის დონიდან. კაბის ქობა ორმაგი ჰორიზონტალური ლილვითაა აღნიშნული.

სრულიად განსხვავებულია მარჯვენა მამაკაცის ჩაცმულობა. მოსასხამი მთლიანად ფარავს მის მხრებსა და მკერდს, მისი დრაპირება პარალელურ ჰორიზონტალურ ნაკეცებადაა დაფენილი. ამ მამაკაცის სამოსელშიც მეორდება მოსასხამის ოვალური „წინსაფარი", რომელიც ზედა რეგისტრის ფიგურის სამოსელში აღინიშნება. მოსასხამი ორივე მხარეს სიმეტრიულად მიუყვება სხეულის სილუეტს. მოსასხამის შიგნით მოჩანს განსხვავებული ფაქტურის კაბა, რომელიც ვერტიკალურ ნაკეცებად ეფინება. აქაც კაბის ქობა ორმაგი წვრილი ლილვითაა ხაზგასმული.

სვეტის მთავარ წახნაგზე ნათლისღების სცენის ქვემოთ წარმოდგენილი ანონიმური პერსონაჟების იდენტიფიცირება საკმაოდ რთულია. ამის მიზეზი ზედაპირის დაზიანება და რელიეფების პირობითი, სქემატური ხასიათია. მათი ვინაობის დადგენა სვეტის იკონოგრაფიული პროგრამის ანალიზისა და რელიეფების ყველა დეტალის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ ქვასვეტზე ფიგურული გამოსახულებები საკმაოდ მცირერიცხოვანია, რაც სხვა ანალოგიური ძეგლებისაგან განსხვავებით, არ იძლევა ხელმოსაჭიდ მასალას მათი ამოცნობისათვის.

წმინდა პერსონაჟების ჩართვა ქვასვეტების რელიეფურ პროგრამებში ამ საკულტო ძეგლებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. მოციქულები, მახარებლები, წმინდანები ქვასვეტების წახნაგებზე ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებთან ერთად გარკვეული წესით გამოისახებოდნენ. ამის არა ერთი მაგალითი გვაქვს VI-VIII საუკუნეთა ქართულ ქვაჯვარებზე. ორნამენტულ ჩარჩოებში განთავსებული ცალკეული ფიგურები (ხანდისის ქვასვეტი), წყვილადი გამოსახულებები (ბრდაძორი, კატაულა) და სამ-სამი ფიგურა (დმანისი, ბრდაძორი, საცხენისი, მამულა) წმინდა ისტორიის მოვლენების აუცილებელი თანმხლებნი არიან. გამოსახულებები უმეტეს შემთხვევაში ანონიმურია და მათი განსაზღვრა ატრიბუტებით და იკონოგრაფიული ნიშნებით ხდება. ეს საკმაოდ რთული საქმეა ქვასვეტების რელიეფების უკიდურესად სქემატური და პირობითი მეტყველების პირობებში. ამ რელიეფურ სახეებს იშვიათად თუ ახლავს წარწერები. ასეთი იშვიათი შემთხვევაა უსანეთის ქვასვეტი, რომელზეც სრულიად სტანდარტულ, სქემატურად გადმოცემულ წმინდა პერსონაჟებს თანმხლები წარწერები აქვთ (წმ. პეტრე, წმ. პავლე, წმ. ანდრია, წმ. კოზმან, წმ. დამიანე) **[მაჩაბელი კ., 1998, 306-309]**. ამას ისიც ემატება, რომ ქართველი ოსტატები, რომლებიც გარკვეული კანონიკური ნიმუშებით სარგებლობდნენ, ხშირად მათ იმეორებდნენ მნიშვნელოვანი დეტალების არსში წვდომის გარეშე, რაც გამოსახულებათა იდენტიფიკაციას დამატებით სირთულეებს უქმნის.
წმინდა ისტორიის მოვლენებს ქვასვეტებზე უმეტესწილად მოციქულთა გამოსახულებები ახლავს (საცხენისი, დმანისი, კატაულა). წმინდა პერსონაჟების შერჩევის ამ ზოგადი პრინციპების გათვალისწინება უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დმანისის ქვასვეტზე ნათლისღების მოვლენის უდიდესი მნიშვნელობა მოციქულთაგან უმთავრესთა გამოსახვით უნდა ყოფილიყო ხაზგასმული.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ წახნაგის ქვედა რეგისტრში წარმოდგენილი წყვილი. ორივე პერსონაჟი უშარავანდოა, რაც საერთოდ დამახასიათებელია ამ ქვასვეტის გამოსახულებებისათვის. მათი ჩაცმულობა, როგორც აღინიშნა, საკმაოდ განსხვავებულია, განსაკუთრებით მარჯვენა პერსონაჟისა. ამას ემატება ის ნივთები, რომელნიც მათ უპყრიათ ხელთ. სწორკუთხა საგანი მარჯვენა მამაკაცის ხელში შეიძლებოდა სახარებად მიგვეჩნია, მაგრამ სახარება, ჩვეულებრივ, ვერტიკალურად უპყრიათ ხელთ. როდესაც გავაანალიზე ქვასვეტზე გამოსახულ წმინდა პერსონაჟთა შერჩევა, შესაძლებლად მივიჩნიე, რომ დმანისის ქვასვეტის ეს ფიგურები განისაზღვროს, როგორც წმიდა მკურნალები, „უვერცხლონი", კოზმან და დამიანე, რომლებსაც ხელთ უპყრიათ თავისი საქმიანობისათვის აუცილებელი საგნები – კოლოფი სამკურნალო საშუალებებით და სამკურნალო ხელსაწყოები. ამგვარი იდენტიფიკაციის რეალურობაში ერთი მხრივ, გვარწმუნებს ამ

ორი წმიდა პერსონაჟის ხელთ არსებული გაუგებარი საგნები, და მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ ამ მკურნალ წმიდანთა გამოსახულება გვაქვს უსანეთის ქვასვეტზე (სათანადო წარწერებით). ადრექრისტიანულ ხელოვნებაში ამ წმინდანთა სახეები საკმაოდ იშვიათია. ამათგან პირველ რიგში უნდა დავასახელო თესალონიკის გალერიუსის როტონდის (წმ. გიორგის როტონდა) მოზაიკები (IVს. ბოლო – Vს. I ნახ.), სადაც წმინდა მკურნალები არიან გამოსახულნი **[Weitzmann K., 1979, n.491 547; Pazaras Th., 1985, ტაბ. 12, 22, 23].** ორივე წმინდანი მოზაიკაზე ფილონებითაა მოსილი, რომელთა კალთები ნახევარწრიულადაა აკრეფილი. აღსანიშნავია, რომ მათ ზემოთ პორტიკების ორნამენტში ფარშევანგების გამოსახულებებია ჩართული. დმანისის სვეტის ამ პერსონაჟის ჩაცმულობა – მხრებსა და მკერდზე დაფენილი პარალელური ჰორიზონტალური ლილვებით დამუშავებული სამოსლის ოვალური ნაწილი სწორედ ფილონის შემოსილობის თავისებური სქემატური ვარიაციაა. ამასვე მიანიშნებს მკერდსქვემოთ ჩამოშვებული ოვალური დრაპირებული ნაწილი, რომლის შიგნიდან სადა, უსახო ქსოვილის ტუნიკა მოჩანს. ქართველმა ოსტატმა თავისებურად გაუსვა ხაზი ამ წმინდანის განსაკუთრებულობას. მარცხენა ფიგურა შემოსილია მოციქულთა და წმინდანთა ტრადიციული სამოსით, ტუნიკითა და ქლამიდით, მაგრამ ამ ჩვეულებრივ სამოსელშიც ოსტატმა დეკორატულობის გარკვეული ელემენტები შეიტანა (სამ-სამი ოვალური ელემენტი ტუნიკის კალთაზე, რომელიც, ჩემი აზრით, ბიზანტიურ რელიეფებზე სამოსლის დრაპირებით ფეხების ფორმის ჩვენების ელინისტური ტრადიციის სქემატური ანარეკლია.

ადრექრისტიანულ ძეგლებზე წმიდა მკურნალების გამოსახვის მაგალითები სხვადასხვა საღვთისმსახურო ნივთებზეც გვხვდება: მაგალითად, პალესტინური წარმოშობის ბრინჯაოს შანდალზე (VI-VII სს.) აღმართული ჯვრის ქვედა ვერტიკალურ მკლავზე გამოსახულნი არიან წმ. კოზმან და წმ. დამიანე თავისი სამკურნალო კოლოფებით (ჯვრის სხვა მკლავებზე გამოსახულნი არიან წმიდა მოციქულები პეტრე და პავლე). წმინდანებს ახლავთ წარწერა: AGIOI KOCMA KAI DAMIANE EVLOGEKATAI (წმიდანნი კოზმან და დამიანე კურთხეულნი) **[Weitzmann K., 1979, n.557, 622].** აქვე უნდა გავიხსენოთ პალესტინური რელიკვარიუმი, ე. წ. ფიესკი-მორგანის სტავროთეკა (ადრეული VIII საუკუნე), რომლის მოჩარჩოებაში სხვა წმინდანებთან ერთად გამოსახულნი არიან წმ. კოზმან და წმ. დამიანე, მოციქულები პეტრე, პავლე, ანდრია **[Weitzmann K., 1979, n.574, 634-635].** ჩარჩოზე ჩამწკრივებული სრულიად სტერეოტიპული, სქემატური მინანქრის ბიუსტები ბერძნული წარწერების თანხლებითაა წარმოდგენილი.

ქართული ქვაჯვარების სვეტებზე წმინდანთა სახეების შეჯერება ადრექრისტიანული ხელოვნების ძეგლებზე წმინდანთა გამოსახულებებთან ერთ საინტერესო კანონზომიერებას ავლენს. იმ შემთხვევაში, როდესაც მათი რაოდენობა შეზღუდულია, უპირატესობა ქრისტეს პირველ მოწაფეებს, მოციქულთა შორის უპირველესებს – პეტრესა და პავლეს ენიჭებათ. მათ ემატება წმ. ანდრია პირველწოდებულის, წმ. იოანე ნათლისმცემლის სახეები. და ბოლოს, აღმოსავლურქრისტიანულ სამყაროში ძალზე პოპულარული წყვილი – წმიდანები კოზმან და დამიანე. თუ სწორია დმანისის ქვასვეტზე გამოსახული წყვილების ზემომოყვანილი იდენტიფიკაცია, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვასვეტების ქართველი ოსტატები კარგად იცნობდნენ მთელ საქრისტიანოში გავრცელებულ იკონოგრაფიულ კანონებსა და სქემებს და მათ აქტიურად იყენებდნენ თავისი ნაწარმოებების შექმნისას. თავის მხრივ კი ქართული ქრისტიანული ხელოვნების უძველესი ძეგლები – რელიეფებით შემკული ქვასვეტები მდიდარ და მნიშვნელოვან მასალას გვთავაზობს ქრისტიანული იკონოგრაფიის ადრეული ეტაპის შესასწავლად.

ორნამენტები (ნახ. 11_2, 12_1; ტაბ. 9_2, 10_1). ქვასვეტის ორი გვერდითი წახნაგი მცენარეული ორნამენტის ვერტიკალური ზოლებითაა შემკული. კუთხის ცრუსვეტებისა და წვრილი ლილვებით შემოსაზღვრული სვეტის სიბრტყეები ხალიჩისებურადაა დაფარული ოსტატურად ამოკვეთილი

დახვეწილი ორნამენტით. ოსტატს აქაც არ ღალატობს მხატვრული ალღო და ის ორივე წახნაგზე განსხვავებულ ორნამენტულ მოტივს იყენებს. ორივე ორნამენტი ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში კარგან ცნობილი და გავრცელებული მოტივებია.

ერთი წახნაგის ორნამენტია ურთიერთგადახლართული სამმაგი ლილვებით შედგენილ მედალიონებში მოთავსებული რვაფურცლა ვარდულების მწკრივი. ორნამენტის რაპორტი წახნაგზე ხუთგზისაა განმეორებული. მედალიონებსა და ჩარჩოს შორის დარჩენილი სამკუთხა არეები პალმის რტოს სტილიზებული ორნამენტითაა შევსებული. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ქრისტიანობის ადრეული პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც ყალიბდებოდა ქრისტიანული სიმბოლოების „ლექსიკონი“, პალმა მარადიულობის (aeternus) სიმბოლოდ მოიაზრებოდა, იგი იმავდროულად ზეციურ სამყაროზე, სამოთხეზე, მარადიულ ნეტარებაზე მინიშნება იყო **[Уваров А. С., 1908, 113, 123, 155].**

სვეტის ვერტიკალური ვიწრო წახნაგის ფორმასთან მორგებული ეს ორნამენტი ფართოდაა გავრცელებული VI-VII საუკუნეების ქართულ ქვაჯვარათა სვეტების რელიეფურ დეკორში. ამ საკულტო მემორიულ ძეგლებზე პალმის მოტივი ყოველთვის დიდი ტაქტითა და მხატვრული გემოვნებითაა გამოყენებული. ქვაჯვარების ამ ორნამენტის გამოყენების უფრო ძველი მაგალითი გვაქვს ბოლნისის სიონის პლასტიკურ დეკორში – სამხრ. პორტიკის აღმოსავლეთის კაპიტელის კუთხე შევსებულია პალმის რტოს სტილიზებული გამოსახულებით, რომელიც კარგადაა მორგებული კაპიტელის ჩამოკვეთილი კუთხის ფორმას **[Чубинашвили Г. Н., 1940, ტაბ. VI].**

მედალიონებში ჩასმული სხვადასხვა ორნამენტული მოტივი (ვარდული, პალმეტი, ჯვარი, სხვადასხვა ცხოველი) გამოყენებულია ქვასვეტების ჯგუფზე ბოლნისისა და დმანისის რაიონებიდან, დავათის ქვასვეტზე. ამ ძეგლებთან შედარებით, დმანისის ქვასვეტის ვარდულებიანი ორნამენტი შესრულების განსაკუთრებული ოსტატობით გამოირჩევა. ნახატის საიუველირო სიზუსტე, კვეთის სიწმინდე, პლასტიკური მოდელირების ხარისხი ამ ორნამენტულ კომპოზიციას განსაკუთრებულ გამომსახველობას ანიჭებს.

მრავალფურცლიანი ვარდულების დეკორი, რომელიც თავისი ხასიათით ორნამენტების აღმოსავლურ ტიპს განეკუთვნება, ქრისტიანულ ხელოვნებაში V საუკუნიდან ვრცელდება (სარკოფაგები, ამბიონები, კიბორიუმები). განსაკუთრებით პოპულარული იყო ეს მოტივი სასანურ რელიეფებსა და ქსოვილებში, საიდანაც ფართოდ გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში **[Dalton O. M., 1961, 698-699, სურ. 379; Brehier L., 1936, ტაბ. XIV].** აღმოსავლური საწყისები აქვს ბიზანტიაში გავრცელებულ სპილოს ძვლის ე.წ. „ვარდულებიან“ კოლოფებს (IX-X სს.) **[Goldschmidt A., Weitzmann K., 1979].**

ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე ვარდულები გვხვდება ქვაჯვარების ჯგუფზე ბოლნისიდან, ჟალეთის სანათლავსა და ქვასვეტზე, დავათის ერთ-ერთი სვეტის ფრაგმენტზე, ატენის სიონის საკტიტორო რელიეფებზე, მცხეთის ჯვრის აღმოსავლეთის ფასადის კტიტორების კოსტიუმებზე. ვარდულების მოდელირების ხასიათი, ფურცლების კვეთის მანერა დიდ სიახლოვეს ავლენს VI-VII საუკუნეებით დათარიღებულ ქართული რელიეფური დეკორის ნიმუშებთან, მათ შორის ზუსტად დათარიღებულ ქვასვეტებთან (მედალიონები ქვასვეტის კაპიტელზე დმანისიდან, საცხენისის ქვასვეტის მოჩარჩოების ვარდულები და სხვ.) **[მაჩაბელი კ., 1998, ილ. 1,7,18].**

ქართულ ქვაჯვარათა რელიეფებზე დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ხშირ შემთხვევაში ვარდულების მოტივი (ოთხფურცლა, რვაფურცლა) გამოიყენებოდა ჯვრის აზრობრივი მნიშვნელობით და მის სანაცვლოდ. ასე მაგალითად, დმანისის კაპიტელზე ჯვრის თაყვანისცემის რელიეფური კომპოზიციით ორ წახნაგზე გამოსახულია სამსაფეხურიან ბაზაზე აღმართული ტოლმკლავა ჯვარი, მესამეზე კი – ანალოგიურ პოსტამენტზე აღმართული მედალიონში ჩასმული რვაფურცლა ვარდული. ამ ორნამენტული მოტივის წარმოდგენა კაპიტელის წახნაგზე დამოუკიდებელ „ხატად“ ჯვრიან კომპოზიციებთან მის იდენტურობას ადასტურებს. ამ შემთხვევაში ვარდული ჯვრის სინონიმადაა

გამოყენებული. ვარდულის ასეთი სემანტიკური გაგების არაერთი მაგალითი გვაქვს ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე.

უძველესი ასტრალური სიმბოლო – ვარდული, რომელიც, მისი მცენარეული საწყისიდან გამომდინარე, ძველ ხელოვნებაში სიცოცხლის ხის ნიშნადაც აღიქმებოდა, მთელ რიგ შემთვევებში ტოლმკლავა ჯვრის ტოლფარდად და მის შემნაცვლებელ ელემენტად გამოიყენებოდა (VI-VIII სს. ძეგლები: მეროვინგული რელიკვარიუმი, Saint Benoit sur Loire; მარმარილოს რელიეფური ფილა სან პიეტრო ინ ვალეს ეკლესიაში ფერენტილოში, რელიეფი პუატიეს წმ. იოანეს ბაპტისტერიუმის სამხრ. ფასადზე და სხვ.) **[Hubert J., Porcher J., Folbach W., 1968, ილ. 48, 278, 311].** ზემოთქმულიც საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ადრეული შუა საუკუნეების ქართველი ოსტატებისათვის საკულტო ძეგლების შექმნის დროს მათი დეკორის უმცირესი ნიუანსის გათვალისწინება, რადგან ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ორნამენტული სამკაული ტაძრის კედელზე, კანკელის ფილაზე ან ქვაჯვარას წახნაგებზე სიმბოლურ მნიშვნელობასა და განსაკუთრებულ აზრობრივ დატვირთვას იძენს. დმანისის ქვასვეტიც არ წარმოადგენს გამონაკლისს. ერთ ორგანულ, დახვეწილ კომპოზიციად გაერთიანებული პალმის სტილიზებული მოტივი და ჯვრის ტოლფასი რვაფურცლა ვარდულების მწკრივი ძველი ქართველი ოსტატისათვის უბრალო სამკაული როდი იყო. გარკვეული წესით გამოსახულ რელიეფურ სახეთა ეს ერთობლიობა მორწმუნეთათვის მისაწვდომი და გასაგები, ადვილად ამოსაცნობი „ტექსტი“ იყო, რომელიც ბევრს ეუბნებოდა მათ სულსა და გონებას. ამაში ჩვენ შორეულ წინაპრებს ხალხის წიაღში დავანებული უძველესი ცოდნის ტრადიცია ეხმარებოდა.

წრეებში ჩასმული ვარდულების მწკრივის ორნამენტი გავრცელებული ჩანს ქართლში შემონახულ ქვაჯვარათა დეკორში. იგი კარგადაა მორგებული ქვასვეტების წახნაგების ვიწრო ვერტიკალურ არეებს და მათ განსაკუთრებულ ცხოველხატულობას ანიჭებს. სვეტების წახნაგების შემკობა მედალიონების მწკრივის სხვადასხვა ვარიაციებით გვხვდება დიდი გომარეთის, ბრდაძორის, დმანისის, დავათისა და ქართლის სხვა ქვასვეტებზე, რაც ამ ორნემენტის გარკვეულ ტერიტორიულ და ქრონოლოგიურ ჩარჩოებზე მეტყველებს.

სვეტის მეორე გვერდითი წახნაგიც მცენარეული ორნამენტით მთლიანადაა დაფარული. ეს ორნამენტიც VI-VII საუკუნეთა ქართულ ქვასვეტებზეა გავრცელებული. უფრო მეტიც, მცირე გამონაკლისის გარდა, ამგვარი ორნამენტი უპირატესად სწორედ დმანისის რაიონში აღმოჩენილ ქვასვეტებზე გვხვდება. ამგვარი ორნამენტით შემკული რამდენიმე ფრაგმენტი ბოლნისის რაიონშიცაა შემონახული.

ორნამენტის კომპოზიცია წვრილი ლილვებით შექმნილ, ერთმანეთთან დაკავშირებულ ნახევარწრიული რკალების ორმაგი მწკრივითაა შედგენილი. რკალების შეერთების ადგილებში დახვეწილი ფორმის პალმეტებია მოთავსებული. ამ უწყვეტი ორნამენტის შემადგენელი ორი ანალოგიური მწკრივი ერთმანეთისკენ პალმეტებითაა მიმართული იმგვარად, რომ ერთმანეთისკენ პირშექცევით გამოსახული პალმეტები მონაცვლეობით თავსდება მოპირდაპირე რკალით შექმნილ ნახევარწრიულ არეზე. პალმეტების ამგვარი ჭადრაკული განლაგება რკალების რიტმულ განმეორებაზე აგებულ ორნამენტს მთლიანობას და დასრულებულობას ანიჭებს. რკალებსა და მომჩარჩოებელ ლილვებს შორის დარჩენილი სამკუთხა არეები, მეორე ორნამენტული წახნაგის მსგავსად, პალმისებური გრაფიკული მოტივითაა შევსებული. არსებითად, ქვასვეტის ეს ორნამენტიც ხალიჩისებურად ფარავს სვეტის მთელ წახნაგს და მსუბუქად მოდელირებულ ცხოველხატულ ზედაპირს ქმნის. დაკვირვება ორნამენტის ზოლის ზედა და ქვედა ნაწილზე ადასტურებს, რომ ორნამენტის რაპორტი ორივე ბოლოში ლოგიკურადაა დასრულებული, ე. ი. სვეტი მთლიანადაა შემონახული.

მცენარეული ორნამენტის ეს ნაირსახეობა (ლ. მუსხელიშვილი მოიხსენიებს მას, როგორც

„პალმეტებიან ორმაგ მშვილდას“, ურთიერთმოპირდაპირე მხარეს მიმართულ „მშვილდა კოზმიდს“) სარწმუნო დამათარიღებელი მომენტია, რადგან მისი გავრცელების ქრონოლოგიური დიაპაზონი ძირითადად VI საუკუნით შემოიფარგლება. ამას გარდა, ეს ორნამენტი ტერიტორიულადაც ქვემო ქართლით შემოისაზღვრება.

გ. ჩუბინაშვილს ბოლნისისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში მოყვანილი აქვს ამგვარი ორნამენტით შემკული ქვასვეტის ფრაგმენტი, რომელზეც ამ მცენარეული მოტივის სხვაგვარი ვარიანტია გამოსახული **[Чубинашвили Г. Н., 1940, 66, ნახ. 3]**. წვრილი ლილვებით შედგენილი რკალების ორი მწკრივი, რომელიც რიტმულად გადაკვეთს ერთმანეთს, პალმეტებით ერთ მხარესაა მიმართული. მკვლევარს სავსებით სამართლიანად მიაჩნია, რომ ჰორიზონტალური სიბრტყისათვის განკუთვნილი ამგვარი „ცალმხრივი“ ორნამენტი შეუფერებელი ჩანს ვერტიკალური კომპოზიციისთვის. უნდა ითქვას, რომ ქვემო ქართლში აღმოჩენილი ქვასვეტების ნაწილზე ამ „მშვილდა“ ორნამენტის სწორედ ამგვარი „ასიმეტრიული“ ვარიანტია წარმოდგენილი (ქვასვეტები დამბლუტისწყლის ხეობის მცირე ეკლესიიდან, ორსაყდრების ქვემო ეკლესიიდან, ბალიჭიდან). სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ერთმხრივ მიმართული ორნამენტული მოტივი, გარკვეული გადააზრების შედეგად იცვლის სახეს და ქვასვეტების ვიწრო ვერტიკალური წახნაგების ფორმის გათვალისწინებით, ერთმანეთისკენ თავშექცევით განლაგებულ ვარიაციად იქცევა, როგორსაც ვხედავთ ქვასვეტების ჯგუფზე (ბალიჭი, დამბლუტისწყლის ხეობის მცირე ეკლესია და სხვ.).

საინტერესოა ამ ორნამენტული მოტივის გენეზისი. საერთოდ, უწყვეტი რაპორტის პრინციპი თავისი წარმოშობით აღმოსავლეთს უკავშირდება. პალმეტებით დასრულებული მშვილდივით მორკალური ლილვებით შექმნილი ანალოგიური ორნამენტითაა შემკული ოქროს პექტორალი ზივიედან (ძვ.წ. VIIს.), მიდიელი მეომრის აკინაკი პერსეპოლისის რელიეფზე (ძვ.წ.Vს.), ვერცხლის რიტონი ერმიტაჟის კოლექციაში (ძვ.წ. V-IVსს.) **[Луконин В. Г., 1977, 3, 21, ილ. 19]**. ჩვენი ორნამენტისგან განსხვავებით, რკალების შეხვედრის ადგილები პალმეტების ნაცვლად ზოგ შემთხვევაში პინიის გირჩებით ბოლოვდება. ამგვარ „შერეული“ სტილის ნაწარმოებებში ურარტული, სირიულ-ფინიკიური, ასურული და ირანული ელემენტებია „შეზავებული“. ხშირად ამ სტილიზებულ მცენარეულ ორნამენტში პალმეტი „სიცოცხლის ხის“ თემასთანაა გაიგივებული.

ორნამენტის ამ ტიპს სპეციალისტები ახლო აღმოსავლეთის უძველეს კულტურებს უკავშირებენ, საიდანაც იგი გავრცელდა ირანულ სამყაროში და შემდეგ ქრისტიანულ ხელოვნებაში.

დმანისის ქვასვეტის მცენარეული ორნამენტი შესრულების დახვეწილობით გამოირჩევა. ამ ქვასვეტთან და დმანისის რეგიონში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან ფრაგმენტებთან დაკავშირებით უთუოდ დგება საკითხი ადგილობრივი სკულპტურული სახელოსნოების არსებობის შესახებ, რადგან აშკარაა მასალის, თემატიკის, მხატვრული ხერხების, ორნამენტული მოტივების მკაფიოდ შემოფარგლული წრე. საქართველოს ამ რეგიონში საერთო მხატვრული ხასიათის მქონე ქვაჯვარათა ფრაგმენტების დიდი რაოდენობით აღმოჩენა გვაფიქრებინებს აქ ქვაზე კვეთის სახელოსნოს (ან სახელოსნოთა) არსებობას.

ამგვარად, დმანური ქვასვეტის რელიეფურ დეკორში ჩართული მცენარეული ორნამენტი უბრალო სამკაული კი არ არის, არამედ გარკვეული მხატვრული კონცეფციის მიხედვით გარდაქმნილი სიმბოლოები, ნიშნები, რომლებიც ხაზს უსვამს და აძლიერებს საკულტო ძეგლის სიწმინდეს, ღვთაებრიობას. ურთიერთგადაჯაჭვული წრეები, რვაფურცლა ვარდულები, პალმეტები, სტილიზებული პალმის რტოები – ერთ მთლიან დეკორატიულ კომპოზიციად გაერთიანებული ეს ელემენტები ქმნის სვეტის ფუნქციის თანხმიან რელიფურ სამკაულს, სათანადო მხატვრულ-იდეურ აკომპანიმენტს სვეტის ხატოვანი პროგრამისათვის, რომელიც წმინდა სიუჟეტებში და წმინდა პერსონაჟების შერჩევაშია გაცხადებული. ქვაჯვარების ორნამენტული რეპერტუარი ის თავისებური „ანბანია“,

რომლის მეშვეობით ძველი ქართველი ოსტატები კონკრეტულ აზრებსა და იდეებს გამოხატავდნენ.

ორნამენტულ მოტივებთან დაკავშირებით უთუოდ უნდა ვახსენოთ კაპიტელის ორ კომპოზიციაში გამოყენებული ზედა მოჩარჩოების დეკორი. კაპიტელის საფასადო მხარეს, ღმრთისმშობლის ხატი ზემოდან ე.წ. „კონცენტრული რკალების“ ჰორიზონტალური ზოლითაა შემოსაზღვრული, კაპიტელის ლომიან წახნაგს კი ზემოდან სამკუთხედების მწკრივი საზღვრავს. ორივე ორნამენტული მოტივი ადრეული შუა საუკუნეების ქართულ ტაძრებსა და ქვაჯვარებზეა გავრცელებული, ორივე ტრადიციულ ადგილობრივ რელიეფურ სამკაულს განეკუთვნება. „კონცენტრული რკალების“ (ან „სეგმენტების“) ადრეული ნიმუშები გვხვდება ბოლნისის სიონში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან ფრაგმენტზე **[Чубинашвили Г. Н., 1940, ნახ. 62, 70].** ეს მოტივი გამოყენებულია ატენის სიონის სამხრეთის შესასვლელის კაპიტელზე **[Чубинашвили Г. Н., 1948**, ტაბ.63], თეთრი წყაროს ეკლესიის კაპიტელზე (VIს. ბოლო–VIIს. დასაწყისი) **[Чубинашвили Н. Г., Шмерлинг Р. О., 1948, 62, ნახ. 28, ტაბ. 34].** ეს ორნამენტი განსაკუთრებით ფართოდაა გამოყენებული ქვაჯვარებზე. იგი გვხვდება არა მხოლოდ სვეტების კუნსტრუქციულ ნაწილებში – კუთხეების ჩამომკვეთი ვიწრო სიბრტყეების შესამკობად (სტელების ფრაგმენტები დმანისიდან, ხანდისიდან, ნათლისმცემლიდან, დავათიდან, კატაულადან), არამედ ფიგურული რელიეფების ზედაპირების დეკორატიულ დამუშავებაში (ჯვრების ბაზები დმანისის კაპიტელზე, ანგელოზთა ფიგურები ამაღლების რელიეფზე ქვაჯვარას ბაზაზე პანტიანიდან). ამ ორნამენტის ადგილობრივ ძირებზე მეტყველებს მისი არსებობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილ შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკული ჭურჭლის დეკორში. დმანურ ქვასვეტზე ეს ორნამენტი კაპიტელის მთავარი ფასადის ზედა ჩარჩოდ არის გამოყენებული.

კაპიტელის ლომიანი წახნაგის ზედა მოჩარჩოების ორნამენტად გამოყენებული სამკუთხედების მწკრივი განსაკუთრებით პოპულარული იყო საქართველოში ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებზე. საკმარისია გავიხსენოთ ამგვარი სამკუთხედებით შექმნილ მედალიონებში ჩაწერილი ე.წ. „ბოლნური“ ჯვრები, ქვასვეტების ერთ ჯგუფზე რელიეფური კომპოზიციების ჩარჩოებად გამოყენებული ანალოგიური სამკუთხედების მწკრივები. ეს სქემატური გეომეტრიული ორნამენტი მჭიდროდაა დაკავშირებული ხეზე კვეთის ძველ ქართულ ხელოვნებასთან, რომლის ბევრი ნიმუშია მოღწეული ჩვენამდე. ეს მოტივი ფართოდაა გამოყენებული ტრადიციული ქართული დედაბოძისა და ხალხური ავეჯის შემკულობაში, რაც ადასტურებს ქვაჯვარების შემქმნელ ოსტატთა კავშირს ხალხურ შემოქმედებასთან, რომლის წიაღშიც ვითარდებოდა ქართული ქრისტიანული ხელოვნების ეს სფერო.

აქვე უნდა ვახსენოთ სვეტის საფასადო წახნაგზე განთავსებული რელიეფური კომპოზიციების შემომსაზღვრელი ჩარჩოების ორნამენტის ნაირსახეობა. ეს არის რელიეფური ლილვი, რომელიც გარკვეული ინტერვალებით, რიტმულად განაწილებული წვრილი „სამაჯურებით“ არის გადაკვეთილი. იქმნება არქიტექტურული ორნამენტის – ასტრაგალის – თავისებური ნაირსახეობა, რომელიც კარგად მიესადაგება რელიეფური კომპოზიციების მოჩარჩოების ფუნქციას. ამგვარი ორნამენტული ჩარჩოები გამოყენებულია VI საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ქვასვეტებზე (იხ. მაგ. საცხენისის ქვასვეტი) **[მაჩაბელი კ., 1992, გვ. 51-68].**

დმანისის ქვასვეტის ორნამენტების განხილვამ დაგვანახვა, რომ მის რელიეფურ დეკორში გამოყენებული ორნამენტული მოტივები, უპირატესად, VI-VII საუკუნეების ნაწარმოებებშია გავრცელებული. მხედველობაში მაქვს როგორც საკუთრივ ქვაჯვარები, ასევე ამ ეპოქის არქიტექტურული ძეგლები, რომელთა დეკორი ხშირად დამათარიღებელ საბუთებად წარმოგვიდგება. ამგვარად, დმანური ქვასვეტის მხოლოდ ორნამენტული სამკაულის მიხედვითაც კი შეიძლება გარკვეულად მოვხაზოთ მისი შექმნის დრო. საყურადღებოა, რომ დმანისის ქვასვეტზე გამოყენებული ორნამენტების მთელი რეპერტუარი (ვარდულებიანი მედალიონების მწკრივი, პალმის მოტივი, პალმეტებიანი რკალები, სამკუთხედების წყება, კონცენტრული სეგმენტების მოტივი) წარმოადგენს

კონკრეტულ ეპოქაში საქართველოს ზუსტად ლოკალიზებულ ტერიტორიაზე (ქართლში) გავრცელებულ რელიეფურ სამკაულს, რომელსაც, როგორც ჩანს, უპირატესობა ენიჭებოდა ადგილობრივ სახელოსნოებში. ეს გარემოება მნიშვნელოვანია რელიეფური ნაწარმოებების განსაზღვრისა და მათი ზუსტი ლოკალიზაციისათვის.

დმანური ქვასვეტის სახით ადრეული შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ნაწარმოებებს კიდევ ერთი მეტად ღირსშესანიშნავი ნიმუში შეემატა. ამ საკულტო ძეგლმა ჩვენამდე საკმაოდ კარგად შენახულმა მოაღწია, რამაც საშუალება მოგვცა სრული წარმოდგენა შეგვექმნა მის რელიეფურ პროგრამაზე, რომელშიც ოსტატურადაა შერწყმული: ფიგურული გამოსახულებები ორნამენტულ მოტივებთან, წმინდა პერსონაჟები საერო „პორტრეტთან", სახარების სიუჟეტი ზოომორფულ სახეებთან. ტრადიციული ქვაჯვარას კაპიტელით დაგვირგვინებული ოთხწახნაგა მონოლითური სვეტი ოსტატმა გამოიყენა იმისათვის, რათა მის წახნაგებზე ეპოქისათვის დამახასიათებელი პლასტიკური ხერხებით შეექმნა ამ ვოტივური საკულტო ძეგლის შესატყვისი მხატვრულ-იდეური ერთიანობა, რომელშიც ნათლადაა წარმოჩენილი ადრეული ქრისტიანებისათვის ასე კარგად გასაგები ცნებები და იდეები. დმანისის ქვასვეტზე, ისევე, როგორც სხვა ქართული ქვასვეტების წახნაგებზე გაშლილი, ზუსტად განსაზღვრულ კანონიკურ სისტემას დამორჩილებული რელიეფური კომპოზიციები გვთავაზობს თავისი დროის სულიერი, კულტურული და სოციალური ვითარების ამსახველ დაშიფრულ სურათს, რომლის აღსადგენად აუცილებელია ამ უცნაური მხატვრული ენის ღრმა შრეებში შეღწევა. ქრისტიანობის ადრეულმა ხანამ შექმნა თავისი მხატვრულ-სიმბოლური ენა, რომლის არსში ჩაწვდომა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან იგი მოწოდებულია, როგორც კლიმენტ ალექსანდრიელი ამტკიცებდა, „დაფაროს, რათა გამოთქვას და მიჩქმალოს, რათა გამოააშკარავოს" ჭეშმარიტება. VI საუკუნის დასასრულის დმანური ქვასვეტი ადრეული ქრისტიანობის ამ პრინციპის ნათელი ილუსტრაციაა.

წარწერები[5]

საეკლესიო კომპლექსზე აღმოჩენილი წარწერები ენობრივი თვალსაზრისით ორ ჯგუფად იყოფა: ქართულ, სომხურ წარწერებად და პირობით ნიშნებად ან, შესაძლოა, ბერძნული დამწერლობის ძეგლებად. მასალის, შესრულების წესის, პალეოგრაფიისა და ქრონოლოგიის თვალსაზრისით ისინი კიდევ რამდენიმე ქვეჯგუფად შეიძლება დავყოთ. ძირითადად ესენია სხვა ადგილებიდან მოტანილ ქვაჯვარებზე შესრულებული წარწერები (შექმნის თანადროული და უფრო გვიანი ხანის), ეკლესიების გადახურვისათვის გამოყენებულ კრამიტზე არსებული წარწერები (კრამიტის შექმნის სინქრონული) და გაურკვეველი წარმომავლობის ქვის ფრაგმენტებზე შესრულებული წარწერები.

ქვაჯვარების შექმნის თანადროული წარწერები:

1. სრულად შემონახული ქვასვეტის კაპიტელის ქტიტორების გამოსახულებიანი წახნაგის მარცხენა „აშიაზე" რელიეფურად გამოყვანილი ასომთავრულით, სვეტისებრი განლაგებით, ოთხ სტრიქონად (სტრიქონში თითო გრაფემა) შესრულებულია წინადადება ბიბლიური „შესაქმედან" (1,5): 1. Ⴓ; 2. Ი; 3. Ⴗ; 4. Ⴚ; ⴓⴗⴚ „დღე ა" (ასოების სიმაღლე 2.5-2.8სმ-ია). შესაძლოა ამ წარწერის ქტიტორებთან განთავსება ქვაჯვარის დამუშავების დაწყებაზე მიუთითებდეს. წარწერა, ცხადია, ქვასვეტის დამზადების თანადროულია. რელიეფური კვეთა და პალეოგრაფია იძლევა მის V-VI სს-ით დათარიღების შესაძლებლობას **[შოშიაშვილი ნ., 1980, 31]** (ნახ. 11$_2$; ტაბ. 13, 28$_1$).

5 აღნიშნული თავი ეკუთვნის – ბ-ნ ზაზა ალექსიძეს



2. ქვაჯვარის (?) ფრაგმენტზე რელიეფური ასომთავრულით შესრულებული წარწერა (წითელი ტუფი – 3X8X8სმ): ⲧⲩ „ქე“. გრაფემების თავზე თითქოს გაირჩევა ქარაგმის ნიშნის ნაშთი. ასეა თუ ისე, წარწერა წაკითხული უნდა იქნეს შემდეგნაირად: ⲧ(ⲓⲅⲩⲛⲉ)ⲩ „ქ(რისტ)ე“. იგი შესრულებულია ლამაზი, რელიეფური, კლასიკური ასომთავრულით და ქვაჯვარის თანადროულია. უნდა დათარიღდეს V-VI სს-ით **[შოშიაშვილი ნ., 1980, 31]**. (ნახ. 27₇; ტაბ. 28₁₀).

3. ქვაჯვარის (?) ფრაგმენტზე შემორჩენილია ღრმა კვეთით შესრულებული სამი ასომთავრული გრაფემა: ⲟⲩⲣ „დპა“ (წითელი ტუფი 3X4X9სმ). ფრაგმენტი ყველა მხრიდან ჩამოტეხილია და წარწერის მთლიანად ამოკითხვა შეუძლებელია. ასევე შეუძლებლია თქმა, იგი დაქარაგმებული იყო თუ არა. შესაძლოა იყო, რადგან მოსალოდნელ ქვედა სტრიქონზე, როგორც ჩანს, გადარჩენილია ქარაგმის ნიშანი. როგორც სამუშაო ჰიპოთეზა, წარწერა შეიძლება აღდგეს შემდეგნაირად: **[ⲧⲁⲗⲣⲩⲗⲏⲓⲗⲏⲗⲏⲣ]ⲟ ⲩⲣ[ⲉⲓⲅⲏⲁⲗⲏⲗⲏⲣ - - -]** „[მოსაჭსენებლა]დ პა[ტრიკიოსისა - - -]“. წარწერა VII ს-ით შეიძლება დათარიღდეს (ნახ. 27₆; ტაბ. 28₈).

4. ქვაჯვარის (?) ფრაგმენტზე (წითელი ტუფი – 4X5X7სმ) შემორჩენილია ღრმა კვეთით შესრულებული ასომთავრული წარწერის ნაშთი, სამი სტრიქონი: 1. ⲙ̅ⲓ 2. **[Դ]ⲩⲃ** 3. **[ⲧ̅ⲣ]ⲧ̅ⲩ**, „პ̅რ[ვ]ელ[მ̅წ]მ̅ე“. წარწერა შეიძლება ასე აღდგეს: [სტეფანე] პირველმოწამე“. Var. „[რაჟდენ] პირველმოწამე; [თეკლა] პირველმოწამე“. წარწერა შეიძლება VII ს-ით დათარიღდეს (ნახ. 27₄; ტაბ. 28₆).

5. ქვაჯვარის (?) ფრაგმენტზე (წითელი ტუფი – 4X8X18სმ) შემორჩენილი მავედრებელი ხელის მარცხნივ და ზევით გამოსახულია ღრმა კვეთით შესრულებული ასომთავრული გრაფემა ⲥ „ს“. ამ გრაფემას არა აქვს დამათარიღებელი პალეოგრაფიული ნიშნები. შესაძლოა ეს იყოს სტელის

თანადროული ხელოსნის ნიშანი. სხვა ასეთივე კვეთით შერულებულ წარწერებთან ერთად ისიც VII ს-ით შეიძლება დათარიღდეს (ტაბ. 26₆).

6. ქვაჯვარის (?) ფრაგმენტზე (წითელი ტუფი 2X7X5სმ) საშუალო სიღრმით ამოკვეთილია მრგვლოვანი ასომთავრული წარწერა, რომელიც ორი გრაფემისაგან შედგება: Ⴗ „ეს“. ფრაგმენტი 180 გრადუსით რომ შევაბრუნოთ, მაინც ასევე წაიკითხება. თუ ქვას ისე დავაყენებთ, რომ ჩამოტეხილი ნაწილი „ს“-ს შემდეგ მოდიოდეს, მაშინ მისი აღდგენა უფრო ბუნებრივი იქნება: „ეს[ე] - - -“. შეიძლება იყოს ოსტატის წარწერის დასაწყისი და დათარიღდეს VII-VIII სს-ით (ნახ. 27₅; ტაბ. 28₇).

7. ქვაჯვარის (?) ფრაგმენტზე (წითელი ტუფი – 1.5X3X5მ). ღრმად ამოღარულია ასომთავრული გრაფემა Ⴑ „ს“. თუ ფრაგმენტს 180°-ით შევაბრუნებთ, მივიღებთ ასევე ასომთავრულ გრაფემა Ⴗ-ს „ე“. ამ გრაფემის „ს“-დ წაკითხვას მხარს უჭერს რკალის დაბოლოება შიგნით მიმართული მცირე ხაზით. თუ ეს გრაფემა არის სიტყვის ან საკუთარი სახელის ნაწილი, მაშინ ის უნდა იყოს მისი ბოლო გრაფემა, რადგან მარჯვნივ რაიმე ნაწერის კვალი არა ჩანს. ცხადია, ეს გრაფემაც ეკლესიის გადახურვის თანადროულია და რადგან პალეოგრაფიულად მისი დათარიღება შეუძლებელია, საბოლოო სიტყვა არქეოლოგებისაა (ნახ. 27₃; ტაბ. 28₉).

8. გაურკვეველი წარმომავლობის ქვის მცირე ზომის ფრაგმენტებზე გამოსახულია გაურკვეველი ნიშნების ფრაგმენტები. შესაძლოა ეს იყოს ხელოსნის პირობითი ნიშნები ან რომელიმე უცხო დამწერლობის გრაფემები. ამ თვალსაზრისით იგი ყველაზე ახლოს არის ბერძნული უნციალური დამწერლობის გრაფემებთან. ასეთ შემთხვევაში იგი შეიძლება დათარიღდეს IV-VII სს-ით **[გამყრელიძე თ., 1989, 86-89]** (ტაბ. 28₁₂).

ეკლესიის გადახურვის თანადროინდელი წარწერები:

1. კრამიტის ნატეხზე (კერამიკა – 2X6X9სმ) მრგვლოვანი ასომთავრულით ამოღარულია ორი გრაფემა: ⵔⵛ „და“. „დ“ თითქმის მთლიანად ჩანს. ჩამოტეხილია მხოლოდ რკალი მარცხენა მხარის ნაწილი. ყელი მაღალი აქვს. მარცხენა რკალი ყელთან შეკრული არ არის. ნ. შოშიაშვილი ამ მოვლენას X ს-ით ათარიღებს („ზოგჯერ გახსნილია“) **[შოშიაშვილი ნ., 1980, 32]**, მაგრამ იმავე მოვლენას ნუსხურ დამწერლობაში IXს-ედ ადასტურებს **[ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, III, 1978, 323]**. „ა“-ს მარჯვენა მხარე ჩამოტეხილია. იგი უყელოა და ზედა ხაზის მარცხენა ბოლოს ამთავრებს ზევით და შიგნით მიმართული რკალი. „და“ ან ხელოსნის პირობითი ნიშანია, ან საკუთარი სახელის დასაწყისი, მაგ. „და[ვით]“. ცხადია, წარწერა ეკლესიის გადახურვის თანადროულია და მისი მეტნაკლები სიზუსტით დათარიღებაც არქეოლოგების საქმეა (ნახ. 27₁; ტაბ. 28₅).

2. კერამიკული ფილის ფრაგმენტზე (კრამიტი?) (კერამიკა – 1.5X7X8სმ) გამოსახულია ორი გრაფემა, რომელიც სარკისებური წაკითხვის შემთხვევაში გვაძლევს ნუსხურად შესრულებულ ⵓ-ს „უ“. თუ ეს ვარაუდი სწორია, წარწერის დათარიღება შესაძლებელია IX-X სს-ით (ნახ. 27₂; ტაბ. 28₁₁ₐ, 28₁₁ᵇ).

ქართული გრაფიტები:

1. მთავარი ქვაჯვარის კაპიტელზე, ღმრთისმშობლის სავარძლის სახელურის მარცხნივ და ძირში კუთხოვნებისაკენ მიდრეკილი მრგლოვანი ასომთავრულით, ერთ სტრიქონად ამოკაწრულია გრაფიტო, რომლის მარჯვენა ნაწილი ამოტეხილია და შესაძლოა მეორე ბლოკზეც გადადიოდა. გრაფიტოს გადარჩენილი ნაწილი კარგად იკითხება: Ⴗ̆ⵔⵓⴰⴷⴰⵏ - - - „ჯ̆ური“. ქარაგმის გახსნით: ⵅⵓⴷ(ⵛ)ⴰⵏ „ჯუ(ა)რი“. დამახასიათებელია, რომ ამ და ყველა სხვა ქართულ გრაფიტოში „ო“-ს

რკალის ზედა ნაწილი გახსნილია. ამ ნიშნით ასომთავრულის ნუსხურობისაკენ მიდრეკილებაზე ვერ ვილაპარაკებთ, რადგან ყველგან ასევე ზედა რკალგახსნილად იწერება გრაფემა Ⴑ „თ“. ასეთი „ო“ და „თ“ გვხვდება წრომის სტელის წარწერებში, რომელთაც ნ. შოშიაშვილი IX ს-ით ათარიღებს, თუმცა სხვა გამოცემებში დათარიღებულია უფრო ადრინდელი ხანით (VI და VI-VII ს-ით) **[შოშიაშვილი ნ., 1980, 130-134]**. ჩემი აზრით, გრაფიტო შეიძლება VIII ს-ით დათარიღდეს (ტაბ. 28₂).

2. ქვაჯვარის ფრაგმენტზე, სვეტისებრ, თითო სტრიქონში ორი გრაფემით, ასომთავრული გრაფემებით ამოკაწრულია პილიგრიმული გრაფიტო: 1. †ᾼ 2. Ⴑᾼ 3. Ᾰᾼ „ქ᾽ე თე კე“: ქარაგმის ნიშანი (ოდნავ მარჯვნივ დახრილი სწორი ხაზი) აქვს მხოლოდ პირველ სიტყვას †ᾼ „ქ᾽ე“:. Ⴑ „თ“-ს ზედა რკალი მთლიანად გახსნილია. ასეთი ნიმუშები გვხვდება წრომის სტელის წარწერებში **[შოშიაშვილი ნ., 1980, 130-134]**. მეორე „ე“-ს მარცხენა კაუჭი ძლიერ მოკლეა პირველთან შედარებით, მაგრამ მის „ი“-დ წაკითხვა არაფერს არ გვაძლევს. პალეოგრაფიულად ყველაზე დამახასიათებელია ᾼ „ᾼ“-ს თავი მარცხნივ გაზიდული შვერილის გარეშე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მთლიანად წარწერა IX ს-ზე გვიანი არ შეიძლება იყოს. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაშიც შეიძლება ლაპარაკი VIII ს-ის შესახებ. ერთგვარი ალბათობით, წარწერის წაკითხვა შეიძლება ასე: ქ(რისტ)ე <შეიწყალე> თეკ[ლ]ე“. Var. „ქ(რისტ)ე <შეიწყალე> თ(ევდორ)ე <და> კ(ონსტანტინ)ე“; „ქ(რისტ)ე <შეიწყალე> თ(ევდორ)ე <და> კ(ჯრიკ)ე“. პირველ ვარიანტს მხარს უჭერს ბოლო სტრიქონში „კ“-სა და „ე“-ს შორის ამოტეხილი ადგილი სადაც თავისუფლად ჩაეტეოდა გრაფემა „ლ“ და, აგრეთვე, ქარაგმის ნიშნების უქონლობა ბოლო ორ სტრიქონზე (ტაბ. 28₄).

3. ქვაჯვარის ფრაგმენტზე, ადამიანის ფიგურის შემორჩენილი ნაწილის მარცხნივ, მავედრებელი ხელების ქვეშ ამოკაწრულია სომხური გრაფიტო, რომელიც ფარავს რაღაც ნიშნებს, რომელთა შორის ძლივს გაირჩევა ქართული ანბანის ნაწილი. სუსტად ამოკაწრული ქართული ასომთავრული გრაფემები, რომელთა გარჩევაც მოხერხდა, შემდეგია: ᾼ „ე“, Ᾰ „კ“, Ᾱ „ლ“, ᾷ „მ“, Ὰ „ჲ“. თარიღის ზუსტად განსაზღვრა ძნელია, მაგრამ გრაფიტო, ჩემი აზრით, VIII ს-ზე გვიანი არ უნდა იყოს (ტაბ. 28₄ₐ).

4. ქვაჯვარის ფრაგმენტზე სამსტრიქონიანი კუთხოვანი ასომთავრულით ამოკაწრული გრაფიტო: Ⴑ᾽Ⴑ Ⴓ᾽Ⴑ ᾹᲔᾼᲫᲠᲩ[ᾼ] Ᾰᾼ ᲠᲨ Რ[Ᾱ]ႱᾸᾹᾼ ᾷᾼᾹ,[ᾼ] ᾹᾼᾷᲠ ᲠᲬᾼᾼ. „ო᾽ო ღ᾽ო სტეფან[ე] შ᾽ე და ა[ს]ული მის[ი] ზიქა ადეი - - -“. ქარაგმების გახსნით გრაფიტო ასე წაიკითხება: Ⴑ(ᲫᲠᲨ)Ⴑ Ⴓ(ᾷᾼᾸⴑ)Ⴑ ᾹᲔᾼᲫᲠᲩ[ᾼ] Ᾰ(ᾼᾼᲫᲧᲠᲨ)ᾼ ᲠᲨ Რ[Ᾱ]ႱᾸᾹᾼ ᾷᾼᾹ,[ᾼ] ᾹᾼᾷᲠ ᲠᲬᾼᾼ, „უ(ფალ)ო ღ(მერთ)ო, სტეფანე შ(ეიწყალ)ე და ასული მისი ზიქა ად - - -“. გრაფიტოს მესამე სტრიქონის მარჯვენა და ქვედა ფენა ჩამოტეხილია. თუმცა დარჩენილ ნაწილში გრაფემების კვალი არა ჩანს. როგორც ყველა სხვა წარწერაში „ო“-ს ზედა რკალი გახსნილია. თავისებურია Რ „დ“-ს დაწერილობა: მაღალი კისერი და მარცხნივ გახსნილი რკალი. წინადადების დაბოლოება გაურკვეველია. გრაფიტო VIII ს-ზე გვიანი არ უნდა იყოს (ტაბ. 28₃).

სომხური გრაფიტები:

ქვემო ქართლში (დმანისი, სამშვილდე) სომხური მოსახლეობის გაჩენა დაკავშირებული უნდა იყოს სომეხ კვირიკეან ბაგრატუნებით სათავეში ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს შექმნასთან X ს-ის მეორე ნახევარში. ცხადია, არაბთაგან გამოქცეულ სომეხთა ინფილტრაცია უფრო ადრე იყო დაწყებული **[მაისურაძე ი., 2002, 122-125]**. გრაფიტები პალეოგრაფიულად X ს-ით შეიძლება დათარიღდეს, თუმცა ზოგი ნიშანი უფრო ადრინდელ ხანაზეც მიუთითებს.

1. ქვაჯვარის ფრაგმენტზე, ადამიანის ფიგურის შემორჩენილი ნაწილის მარცხნივ, მავედრებელი ხელების ქვეშ, სადაც გამოსახულია ზემოთ აღნიშნული ქართული ასომთავრული ანბანის

რამდენიმე ასო, ამოკაწრულია სომხური პილიგრიმული გრაფიტო. ძირითადად ნუსხური (բոլորգիր „ბოლორგირ“), ასომთავრულის (երկաթագիր „ერკათაგირ“) იშვიათი შერევით. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ დასაწყისის (գլխագիր „საზედაო“) Ե „ე“ და დასასრულის Ց-ს („ჲოტა“) ნაშთი. ამ გრაფემის სრული ფორმა შეგვიძლია აღვადგინოთ მომდევნო სოლომონის გრაფიტოს მიხედვით – . ასეთი ფორმის „ჲოტა“ შემხვედრია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე X ს-ის (904 წლის ახლოს) სომხურ ნუსხურ გრაფიტოში (ატენის სიონი) **[ალექსიძე ზ., 1978, 50-52; Aleksidzé Z., 1992, 309-313]**. სიგანეში მცირე ადგილის გამო გრაფიტო დაწერილია სვეტისებრ, თითო ხაზში ორი გრაფემით: 1. Ես 2. սա 3. բգ 4. ի՛ս 5. ծա 6. ռա 7.ա՛յ. ქარაგმების გახსნით: Ես Սարգիս ծ(առ)այ Ա(ստուծ)ոյ „მე, სარგისი, მონა ღმრთისა“ (იგულისხმება „დავწერე“). IX-X ს-ზე უფრო ადრინდელი ხანით დათარიღებაზე საუბრის საშუალებას მოგვცემდა „ა“ გრაფემის მოხაზულობა: იგი ორი სახით გვხვდება - ასომთავრულიდან ნუსხურზე გარდამავალი ძალიან იშვიათი ფორმით და გამოკვეთილად ნუსხური (ტაბ. 28ᲐᲑ).

2. მთავარ ქვაჯვარაზე, ღმრთისმშობლის ტახტის მარცხენა მხარეს თავისუფალ ადგილზე ამოკაწრულია სამსტრიქონიანი პილიგრიმული გრაფიტო. პირველი სტრიქონის დაწერისას ავტორმა შეცდომა დაუშვა – Ես „მე“-ს მაგიერ დაწერა Էա „ეა“ – ამიტომ მიატოვა იგი და თავიდან დაიწყო ქვედა ხაზზე: Ես սողոմոն ծառայ ա՛յ ქარაგმის გახსნით: Ես Տողոմոն ծ(առա)յ Աստուծոյ „მე, სოლომონ. მონა ღმრთისა“ (იგულისხმება „ეს მე დავწერე ღმრთის მონამ სოლომონმა“). წარწერა იწყება საზედაო Ե „ე“-თი. ასომთავრული ფორმისაა, აგრეთვე, „ჲ“ (შდრ. სარგისის გრაფიტო). დამახასიათებელია Աա „ა“ გრაფემის ორგვარი დაწერა იმავე ფორმით, როგორც ესა გვაქვს სარგისის გრაფიტოში და ტრადიციული ნუსხურით. დანარჩენი ყველა გრაფემა შესრულებულია ნუსხურით. პალეოგრაფიული ნიშნებით ეს გრაფიტო მსგავსია სარგისის გრაფიტოსი და შესაძლებელია ერთი და იმავე პიროვნების შესრულებულია. ასეთ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ სტელაზე ხელი ყველას არ მიუწვდებოდა, ან კიდევ ყველას არ შეეძლო წერა. სოლომონის გრაფიტო, ისევე როგორც სარგისისა, IX-X სს-ით შეიძლება დათარიღდეს. ამაზე მიუთითებს ორივე მათგანში სიტყვის ბოლოს յ „ჲ“-ს რეგულარულად შენარჩუნება (ტაბ. 28Გ).

ამგვარად, შესაძლებელია განვაცხადოთ, რომ ნაგზაურის ეს ძეგლი არის ადრე შუა საუკუნეების ქრისტიანული საეკლესიო კომპლექსი, რომელიც შეიცავს ქართული ხუროთმოძღვრებისა და ზოგადად ადრეული ხანის ქრისტიანული კულტურისათვის დამახასიათებელ თითქმის ყველა სტილისტურ ნიშანს.

ასევე აღსანიშნავია, რომ ნაგზაურის კომპლექსის გეგმარება – საერთო გალავნით შემოფარგლული ეკლესიები, მათი ურთიერთმიმართება და სხვა ნაგებობათა ნაშთები, აქ მონასტრის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. მსგავსი გეგმარება აქვს არქეოლოგიური გათხრების შედეგად 1959 წელს აღმოჩენილ სამონასტრო კიმპლექსს „ლამაზ გორაზე“ ისტორიული ბოლნისის მიდამოებში **[ამირანაშვილი ჯ., 1968, ნახ. 1]**. ამ ტიპის ქართული მონასტერი ასევე ცნობილია პალესტინაში – ვირჯილიო კორბოს მიერ 1940-იან წლებში გათხრილი მართკუთხა გალავნით შემოფარგლული წმ. თეოდორეს ქართული მონასტერი ბირ ელ-კუთში, ბეთლემთან **[ჩაჩანიძე ვ., 1974, სურ. 30]**.

ამ მოსაზრებათა დასაბუთებისათვის კი აუცილებელია დადგინდეს კომპლექსის ნაგებობათა სამშენებლო ფენები და მათი თარიღები; კომპლექსის არსებობის ქრონოლოგიური საზღვრები, დანგრევის დრო; აქ გამოვლენილი ქვის რელიეფების ძეგლთა რაობა, თარიღი და მათი მიმართება ამ კომპლექსთან; დაბოლოს კომპლექსის ფუნქცია. ყოველივე ამისთვის კი მნიშვნელოვანია ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება და ამ რეგიონის ადრე შუა საუკუნებით დათარიღებულ ძეგლთა მიმოხილვა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ მდ. მაშავერას ხეობა ადრექრისტიანულ ხანაში სამშვილდის საერისთაოში შედიოდა. მაშავერას ზემო წელი კი სამშვილდის საერისთაოს უფრო მცირე ადმინისტრაციული ერთეულის, ქვეშის ხევის ნაწილი იყო **[ბერძენიშვილი დ., 1979, 45]**. IX ს-ში დმანისის გაქალაქების შემდეგ ქვეშისხევს დმანისხევი ეწოდა **[ბერძენიშვილი დ., 1979, 46]**. იქვე მახლობლად მდებარე გომარეთის ზეგანი კი სასპასპეტოს ერთ-ერთ ოლქს – თრიალეთს მიეკუთვნებოდა **[ბერძენიშვილი დ., 1979, 56]** და ეტყობა კიდევაც ამ ზეგანის ხუროთმოძღვრებას ე.წ. „თრიალეთური ხელი“.

საეკლესიო დაყოფით „ჩვენი“ რეგიონი დმანისის საეპისკოპოში შედიოდა. ეს საეპისკოპოსო პირველად 506 წ. მოიხსენიება „ეპისტოლეთა წიგნში“. აქ სხვებთან ერთად ნახსენებია სამუელ დმანელი ეპისკოპოსი **[ბერძენიშვილი დ., 1979, 115]**.

როგორც ვხედავთ, ისტორიულ-გეოგრაფიული და საეკლესიო კუთვნილებით ეს ტერიტორია ქვემო ქართლის შემადგენელი ნაწილი იყო და, ბუნებრივია, აქ არსებული ხუროთმოძღვრული ძეგლების და ქვემო ქართლის ნაგებობათა სტილისტური ერთიანობა.

კონკრეტულად კი, აქ ჩვენ ვამჩნევთ ხუროთმოძღვრების თვითმყოფადობის თვალსაზრისით უფრო მცირე ერთეულს, რაც მოიცავს მაშავერას ხეობის ზემო წელის და ზურტაკეტის ზეგანის ადრექრისტიანული ხანის ხუროთმოძღვრებას.

სამწუხაროდ ამ რეგიონის შესახებ ადრე შუა საუკუნეების ისტორიული წერილობითი წყაროები მწირია და დმანისის ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა მიმართ სხვა კონკრეტული ცნობები არ მოგვეპოვება. მცირეა ფაქტობრივი მასალაც. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ კონკრეტული რეგიონის არსებული და ახლად გამოვლენილი მატერიალური კულტურის ძეგლების გულმოდგინედ გამოკვლევა და გარემოებების გაანალიზება, რათა შევქმნათ ათვლის მყარი წერტილები ისტორიული სინამდვილის აღსადგენად.

თუმცა, როდესაც ვლაპარაკობთ ისტორიული კონტექსტის გათვალისწინების აუცილებლობაზე მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის დროს, ბუნებრივია ვგულისხმობთ არა მხოლოდ

კონკრეტული რეგიონის ისტორიას, არამედ მთელი ქართლის სამეფოს ისტორიულ რეალიებსაც, რადგან მხედველობაში გვაქვს ადრექრისტიანული ქართლის სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურულოგიური ერთიანობა, რაც ვლინდება მთელს მის მიწა-წყალზე არსებულ მატერიალური კულტურის ძეგლებში.

ამასთან, გასათვალისწინებელია ვითარება საქართველოს მეზობელ ქვეყნებში და მათი გავლენაც საქართველოზე, ვინაიდან საქართველო ადრექრისტიანულ პერიოდში, ისევე როგორც სხვა ეპოქებში, მუდმივად იყო ჩაბმული თანადროული მსოფლიოს პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებში.

ამ ეპოქის ძირითადი ნიშანი იყო დაშლის პროცესში მყოფი რომისა (შემდეგ რომის მემკვიდრე ბიზანტიის) და იმხანად აღორძინებული სასანიდური ირანის პოლიტიკურ-კულტურული დაპირისპირება (IV-VIსს), რასაც შედეგად მოყვა ორთავე იმპერიის დასუსტება და ბოლოს ირანის სახელმწიფოს შთანთქმა, უკვე ახალი იმპერიული ძალის – არაბთა სახალიფოს მიერ (VIIს-ის მეორე ნახ). ქართლი ამ პროცესების უშუალო მონაწილე იყო და თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ამ გამოწვევების თითქმის ეპიცენტრს წარმოადგენდა, რაც ბუნებრივია უშუალო გავლენას ახდენდა ქართლის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე.

სამწუხაროდ ქართლსაც მისი სამეფოს გამაუქმებელი ირანის ბედი ერგო და მისი პოლიტიკური სხეულიც ჩაყლაპა არაბთა სახალიფომ, თუმცა გაუძლო ამ სასტიკ გამოწვევებს და ირანისგან განსხვავებით გადარჩა კულტურულად, რაც მის მიერ არჩეული მართებული ორიენტაციის, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწეების ფასდაუდებელი ღვაწლის და მდიდარი თვითმყოფადი ტრადიციების მქონე მოსახლეობის დამსახურება იყო. ქრისტიანულ მრწამსზე დაფუძნებული მძლავრი კულტურული ბაზისი გახდა ამ ქარტეხილებიდან ქვეყნის გამომყვანი.

არქიტექტურის ისტორიაში ამ ეპოქას (V-VIIსს), ქართული ხუროთმოძღვრების კლასიკურ ხანად მოიხსენიებენ, ხოლო მის მომდევნო, არაბობის პერიოდს – გარდამავალ ხანად (VIII-IXსს).

ეკლესიების მშენებლობა ქართლში იწყება ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან ერთად და ეს პროცესი არ შეწყვეტილა ქვეყნის ისტორიის განსაკუთრებით რთულ პერიოდებშიც, თუმცა ეკლესიათა მშენებლობის ინტენსივობა, რა თქმა უნდა, დამოკიდებული იყო ომიანობისა და მშვიდობიანობის ხანგრძლივობის თანაფარდობაზე.

საეკლესიო მშენებლობის მძლავრი ტალღა ჩანს ვახტანგ გორგასლის ეპოქაში – V ს-ის მეორე ნახევარი. ამ დროს არის აგებული ბოლნისის სიონი და ბუნებრივია, რომ ამ მასშტაბისა და დიდი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულების ნაგებობის მშენებლობის თანადროულად ამ რეგიონში ეკლესიათა შენება ფართოდ უნდა ყოფილიყო გაშლილი. ამ უკანასკნელ ხანს ზოგი მკვლევარი ბოლნისის სიონს უფრო ადრეული ხანით ათარიღებს – IV-V დასაწყისი [**პატარიძე რ., 1984, 140-159; კაკაბაძე ს., 1985, 149-154; მჭედლიშვილი ბ., 1985, 100-114, ბოგვერაძე ა., 1994, 15; გოილაძე ვ., 1996, 5].**

შესაძლოა ეს პროცესი შენელდა VIს-ის პირველ ნახევარში, როდესაც სპარსეთის მოძალების გამო ქართლში მეფობა უქმდება და ეგრისში (დასავლეთი საქართველო) ბიზანტიისა და სპარსეთის დაპირისპირების ფონზე „დიდი ომიანობა“ ოცი წლის მანძილზე გრძელდება, რაც უარყოფითად უნდა ასახულიყო ქართლის კულტურულ და სამშენებლო საქმიანობაზეც. ვითარება უმჯობესდება VI ს-ის მეორე ნახევრიდან. ქართლში ასურელი მამების მოღვაწეობა ქვეყანას მძლავრ სულიერ იმპულსს სძენს და ამასთან საქართველოსათვის ხელსაყრელი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებაც დადებითად მოქმედებს ქვეყნის მომძლავრებაზე, რაც ვლინდება კულტურულ სფეროშიც. ამ დროს არის აგებული ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ბევრი შესანიშნავი ძეგლი და მათ შორის სამშენებლო ხელოვნების შედევრი – მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი.

სპარსეთის კვლავ მომძლავრება VII ს-ის პირველ მეოთხედში, ხაზართა გააქტიურება და განსაკუთრებით არაბთა ექპანსია იმავე საუკუნის შუა ხანებიდან საკმაოდ აფერხებს ეკონომიკურ აღმავლობასა და შესაბამისად საეკლესიო სამშენებლო ხელოვნების განვითარებას. თუმცა VII ს-ში ნაკლები აქტივობით საეკლესიო მშენებლობა კვლავ არსებობს და თბილისის საამიროს მძლავრობის დროსაც კი (VIII-IX სს.) მიმდინარეობს.

ამ პერიოდში ქართლში რამდენიმე დიდი ბრძოლა მოხდა. პირველად ვახტანგ გორგასლის მეფობის ბოლოს – V-VI სს-ის მიჯნა. შემდეგ 730-იან წლებში მურვან ყრუს შემოსევისას და 853 წელს ბუღა თურქის ლაშქრობის დროს. თუმცა არ უნდა გამოვრიცხოთ 620-იანი წლების სამოქალაქო და კონფესიური დაპირისპირება ჰერაკლე კეისრის ლაშქრობისას და ასევე ხაზართა შემოჭრები VII-VIII სს-ში.

ეს ისტორიული წიაღსვლა დაგვჭირდა რათა ნაგებობათა კვლევის დროს თვალწინ გვქონდეს ეკლესია-მონასტრების შესაძლო მშენებლობის ან მათი ნგრევა-განადგურების ქრონოლოგიური ჩარჩოები. ამასთან, საეკლესიო კომპლექსის კვლევის პროცესში მნიშვნელოვანია მაშავერას ხეობის ადრე ქრისტიანული ხანის ხუროთმოძღვრების წარმოჩენაც, ეს ეპოქა კი IV-VII სს-ს მოიცავს.

ამ კონკრეტული მხარის ხუროთმოძღვრება, ზოგადად საქართველოს, კერძოდ კი ქვემო ქართლის ხუროთმოძღვრების შემადგენელი ნაწილია. აქ თავს იჩენს ყველა ის სტილისტური თავისებურება, რაც დამახასიათებელია ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებისათვის და ამასთან შეიცავს ისეთ ნიშნებსაც, რომლებიც მხოლოდ ამ რეგიონის თვითმყოფადი გამოვლინებაა.

ერთი მხრივ ეს გარემოება განპირობებულია საამშენებლო მასალითაც, ვინაიდან ამ რეგიონის ნიადაგი ვულკანური წარმოშობის ბაზალტის სქელ ფენაზეა წარმოქმნილი და ძირითად საამშენებლო მასალას ხშირად ბაზალტი წარმოადგენდა. აქ ბაზალტია გამოყენებული, როგორც მშრალი წყობის უზარმაზარ ლოდებიანი „ციკლოპური“ სახლებისათვის, ისევე შუა საუკუნეების ნაგებობებისათვისაც. ეს ძნელად დასამუშავებელი ქვა, ერთგვარად, ამ რეგიონის საამშენებლო ხერხების თავისებურებასაც განსაზღვრავდა. თუმცა, კეთილდღეობის პერიოდებში, განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაგებობებისათვის შორიდან ეზიდებოდნენ ადვილად დასამუშავებელ მასალას – კირქვას, ქვიშაქვას, შირიმს და ტუფს. ძნელბედობის ჟამს კი იმ მასალას იყენებდნენ, რაც ადვილად მოიპოვებოდა. სხვა მხრივ, ამ მხარეში თავს იჩენდა იგივე ხუროთმოძღვრული სტილისტიკა, რაც მთელს ქვემო ქართლში.

ამ მხარეში ადრე შუა საუკუნეების ხანის ათამდე ნაგებობაა შემორჩენილი. ზოგ მათგანს ადრეული ხანის მხოლოდ რამდენიმე სტილისტური ნიშანი აქვს და მათი ზუსტად ადრექრისტიანული ხანით დათარიღება მხოლოდ სავარაუდოა. ადრეული ძეგლებიდან მხოლოდ ერთი უნდა ყოფილიყო გუმბათიანი ნაგებობა – ვარდისუბნის ე.წ. „მრგვალი ეკლესია“, დანარჩენი კი დარბაზული ეკლესიებია.

„მრგვალი ეკლესია“ გუმბათიანი ნაგებობის ერთი პირველი ნიმუშთაგანია საქართველოში (IV-VI სს). იგი უკავშირდება ელინისტურ-რომაული სამყაროს ეპოქის და ადრექრისტიანულ მავზოლეუმებს და მარტირიუმებს. რომის იმპერიაში უკვე აპრობირებული ამ სტილის ტაძრის აგება ახლად გაქრისტიანებული საქართველოსათვის (IVს) უცნაური არ უნდა გვეჩვენოს, რადგან სხვა ამგვარი ფაქტებიც არის დაფიქსირებული ქართულ მატიანეებში. თუმცა ეს ხუროთმოძღვრული ტიპი საქართველოში აღარ განვითარებულა და ძალიან მალე შემუშავდა გუმბათიანი ტაძრების თვითმყოფადი სტილი, რომელმაც შემდგომში პოვა განვითარება.

დარბაზულ ეკლესიათა გეგმარება მარტივია. ისინი წარმოადგენენ ორი ქანობით გადახურულ, საშუალო ზომის დარბაზებს, რომელთა უმრავლესობას აღმოსავლეთიდან შვერილი აბსიდა აკრავთ.

ზოგიერთი ნაგებობის გეგმა გართულებულია მინაშენით – ორთაღედით გახსნილი სტოა-კარიბჭით („შინდლარი“). ყველა ამ ნაგებობას გააჩნდა ამ ხანის სხვა ქართული ეკლესიებისათვის დამახასიათებელი ნიშნები – სრულყოფილად გათვლილი გეგმარება და დახვეწილი პროპორციები; საგანგებოდ დამუშავებული და ერთმანეთთან კარგად მორგებული კვადრებით აყვანილი განიერკედლებიანი ფასადები; შვერილი აბსიდები და საკურთხევლის განიერი მხრები ინტერიერში; დახვეწილი თაღები, ტიმპანები და ქვაზე კვეთილობა.

სამწუხაროდ, სრული, თავდაპირველი სახით მხოლოდ ერთი ეკლესიაა შემორჩენილი. არქეოლოგიურად გამოვლენილი სამი მათგანი თითქმის მთლიანად დანგრეულია, ორი - გადაკეთებულია, ხოლო დანარჩენებსაც ეტყობა გადაკეთების კვალი და საკმაოდ დაზიანებულია.

სავარაუდოა, ამ რეგიონში ადრექრისტიანული ხანის სხვა ნაგებობების არსებობაც, რომლებიც დროთა ვითარებამ დაანგრია და მიწით დაფარა. ამ მოსაზრებას ამტკიცებს ის გარემოება, რომ სამი ეკლესია უკანასკნელ ათწლეულებშია აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად.

აღსანიშნავია აგრეთვე ადრექრისტიანული ხანის ქვაჯვარების სიმრავლე ამ რეგიონში და მათი თანაარსებობა ეკლესიებთან.

ვიდრე უშუალოდ ნაგებობათა განხილვაზე გადავიდოდეთ, უნდა აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება – ადრექრისტიანული არქიტექტურის განხილვა ქართული წინაქრისტიანული ხუროთმოძღვრების ტრადიციების და ბერძნულ-რომაული არქიტექტურის გავლენის გაუთვალისწინებლად სრულყოფილი ვერ იქნება. სამწუხაროდ, ამ რეგიონში არ შემორჩენილა ადრექრისტიანული ხანის სამშენებლო წარწერით ზუსტად დათარიღებული ნაგებობები, თუმცა, ძნელად წარმოსადგენია, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში აქ, ქართლში შემოსასვლელ ერთ-ერთ ცენტრალურ გზაზე, არ არსებულიყო ქალაქური ტიპის დასახლებები. ასეთ დასახლებებზე შესაძლოა მიუთითებდეს სოფ. განთიადთან, სამანქანო ტრასის გასწვრივ და სოფ. ვარდისუბანთან, მაშავერას მარცხენა, მაღალ ნაპირზე დაფიქსირებული ვრცელი ნასახლარები, რომლებიც ჯერ სრულყოფილად არ არის შესწავლილი, თუმცა შესაძლოა, ვივარაუდოთ აქ წინაქრისტიანული ფენების არსებობა. ამასთან, თუ ამ რეგიონის ნაგებობები თითქმის სრულად იმეორებს ზოგადად ქართული ადრექრისტიანული ხანის ხუროთმოძღვრების სტილისტიკას, ასეთივე ვითარება უნდა ყოფილიყო წინაქრისტიანულ ხანაშიც და, ქართლის ცენტრალური რეგიონის მსგავსად, აქაც უნდა არსებულიყო ამ ხანის ნაგებობები. მათი არ არსებობა ამ მხარეში გამუდმებული ომიანობით უნდა იყოს გამოწვეული, მაგრამ, იმედია, რომ მომავალში ამგვარი ნაგებობები აუცილებლად იქნება მიკვლეული. აქვე უნდა აღვნიშნოთ „ციკლოპური“ ნაგებობები ზურტაკეტის ზეგანის ხეობებში, რომლებიც შესასწავლია, მაგრამ მათი არქაულობა უეჭველია, რაც ასაბუთებს აქ მყარი სამშენებლო ტრადიციის არსებობას და მის უწყვეტობას.

ქართლში ქრიტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისას (IV ს. I ნახ.) მძლავრი საამშენებლო ტრადიციის არსებობა დადასტურებული და დასაბუთებულია. დაახლოებით იგივე ვითარება უნდა ყოფილიყო ამ მხარეშიც.

მეფე მირიანის მიერ კონსტანტინეპოლიდან საეკლესიო მშენებლების მოწვევა არ უნდა შეხებოდა საერო მშენებლობას და საცხოვრებელ თუ საზოგადოებრივ შენობებს ალბათ ისევე აგებდნენ, როგორც ქრისტიანობის მიღებამდე. სამწუხაროდ, ამ რეგიონის ადრექრისტიანული ხანის ხუროთმოძღვრების შესახებ ჩვენ მხოლოდ საეკლესიო ნაგებობის მაგალითზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ. ეს ნაგებობები წარმოაჩენენ როგორც რომაული და წინა აზიური სამყაროს გავლენას, ასევე ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციებს, რაც გამოვლინდა თვითმყოფადი ქართული ხუროთმოძღვრული სტილის ჩამოყალიბებაში.

ბერძნულ-რომაული გავლენის გამოძახილი უნდა იყოს უკვე აღნიშნული „მრგვალი ეკლესია“.

იგი მდებარეობს სოფ. ვარდისუბნის დასავლეთით, მდ. მაშავერას მარცხენა, მაღალ ნაპირზე, დმანისის ნაქალაქარის მოპირდაპირე მხარეს. ეკლესიის ნანგრევები აღმოჩნდა 1989წ. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული გათხრების შედეგად. ნაგებობა შემორჩენილია მხოლოდ 1 მ-ის სიმაღლეზე. გეგმის წრიული მოხაზულობის გამო მას პირობითად „მრგვალი ეკლესია" უწოდეს. აგებულია უხეშად დამუშავებული, თანაბარი ზომის, რუხი ბაზალტის ქვებით, რომლებიც ერთმანეთთან კარგად არის მორგებული. კედლების სისქე 1,1 მ-ია.

ნაგებობის ბირთვს წარმოადგენდა ნახევარწრიულად შვერილი აბსიდით დასრულებული წრიული მოცულობა, წრეზევე განლაგებული ტრაპეციის ფორმის ექვსი მასიური ბურჯით. ცენტრალური მოცულობა შემოსაზღვრული იყო ასევე წრიული გარშემოსავლელით, რომელიც აღმოსავლეთი მხრიდან დასრულებული იყო გარე კედლების სწორკუთხედებში მოქცეული საკურთხევლის თითო მცირე აბსიდით. შესასვლელი გარშემოსავლელში, დასავლეთ ცენტრალურ ღერძზე იყო დატანილი. გარშემოსავლელის სამხრეთი აბსიდის წინ გამოვლინდა სუფთადგათლილი, ღვინისფერი ქვებით დაგებული იატაკი, ერთიან ქვაში ამოკვეთილი ჯვრით. შემორჩა იგივე ღვინისფერი მასალისგან გამოთლილი კაპიტელები მარტივი თაროთი და ქვევით შეღუნული სიბრტყით. არსებული გეგმის მიხედვით, სავარაუდოა, ვიფიქროთ, რომ „მრგვალი ეკლესია" წარმოადგენდა გუმბათიან ნაგებობას, რომლის გუმბათი უშუალოდ ეყრდნობოდა წრიულ საფუძველს, ყოველგვარი დამატებითი კონსტრუქციის გარეშე.

არქეოლოგი გ. ბოლქვაძე ნაგებობას IV ს-ით ათარიღებს და მას კონსტანტინე დიდის მიერ ქართლში მოვლინებული ხუროების მიერ წარმოებული აღმშენებლობითი საქმიანობის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტად მიიჩნევს **[ბოლქვაძე გ., 1996, 50].**

სტილისტური ანალიზის საფუძველზე ხელოვნებათმცოდნე ც. ჩაჩხუნაშვილი მას ათარიღებს V-VI სს-ით. იგი აღნიშნავს, რომ ეს ეკლესია დასავლური მაგალითის პირდაპირი ასლი კი არ არის, არამედ გადამუშავებულია ქართული ხუროთმოძღვრული ტრადიციების შესაბამისად – მასიური ბურჯები სვეტების ნაცვლად, კედლების თვითმყოფადი წყობა. ამავე დროს ეს ნაგებობა უკვე ეკლესიაა, კარგად განვითარებული საკურთხევლებით და არა მარტირიუმი **[ჩაჩხუნაშვილი ც., 1992, 73].**

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ 506 წ. „ეპისტოლეთა წიგნში" მოხსენებულია დმანისის საეპისკოპოსო. სავარაუდოა, რომ დმანისის საეპისკოპოსო ტაძარი „მრგვალი ეკლესია" უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრების სასარგებლოდ შესაძლოა მეტყველებდეს „მრგვალი ეკლესიის" ირგვლივ ადრეული შუა საუკუნეების მძლავრი ნამოსახლარის არსებობა სამაროვნით და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაგებობების ნაშთებით **[ბოლქვაძე გ., 1996, 48; 1984, 37].**

ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართულმა ხუროთმოძღვრებამ მიიღო რა მძლავრი იმპულსი რომაული სამყაროდან, საკუთარ ხუროთმოძღვრულ ტრადიციებს შეუსაბამა, გადაამუშავა და შემდეგ ჩამოაყალიბა ხუროთმოძღვრების თვითმყოფადი მწყობრი სისტემა, რაც გამოვლინდა სხვა ეკლესიებში.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა კიდევ ორი ნაგებობა, რომლებიც ადრეული ხანის ეკლესიებად განიხილება. ერთი 1968 წ. სოფ. უკანგორთან ე.წ. „კვრინჩხიანი", ხოლო მეორე 1998 წ. – ჩვენს მიერ განხილული კომპლექსის მთავარი ტაძარი სოფ. განთიადთან. ორთავე ეკლესია დარბაზულია. ამ ნაგებობებში მეორდება როგორც საერთო ზომები, ისე გეგმარებაც და კონსტრუქციული დეტალები. ისინი ერთმანეთის თითქმის ასლს წარმოადგენენ და განსხვავდებიან მხოლოდ კედლების წყობის ხასიათით და ზოგიერთი დეტალით.

„კვრინჩხიანი" თითქმის მთლიანად მიწით იყო დაფარული. გათხრების შედეგად გამოვლინდა მხოლოდ 2 მ-მდე სიმაღლის კედლები. არქეოლოგი ვახტანგ ჯაფარიძე ეკლესიას V ს-ით ათარი-

ღებს **[ჯაფარიძე ვ., 1982, 97]**.

ეკლესიის ზომებია – 10,7 X 7,15 მ. აღმოსავლეთით სრულდება ნახევარწრიულად შვერილი აბსიდით. აგებულია კარგად გათლილი, ღია ფერის კვადრებით. წყობის რიგობითობა დაცულია. საფასადო კვადრები ერთმანეთთან მჭიდროდ არის მორგებული. ოდნავ უარესია შიდა კედლების წყობა. კედლების სიგანე 1,2 მ-ია.

ეკლესიის დარბაზი საკმაოდ ვრცელი უნდა ყოფილიყო. იგი უპილასტროა. განიერმხრებიანი (0,8 მ.), ღრმა საკურთხეველი 2 საფეხურით არის ამაღლებული. მისი იატაკი დაგებულია კარგად გათლილი, ბრტყელი ფილებით. იქვე დევს ტრაპეზის მაღალი, მართკუთხა ქვა გლუვი ლილვით ზედა ნაწილში. სხვა კონსტრუქციული ნაწილები არ შემორჩენილა.

ნაგებობის პროპორციები დახვეწილია. იგრძნობა გამოცდილი ოსტატის ხელი. დასავლეთი და სამხრეთი შესასვლელების წირთხლები სუფთად გათლილი ქვებით არის ამოყვანილი. ორთავე კარი ფასადების ცენტრშია დატანებული. სარკმლები არ შემორჩენილა.

სამწუხაროდ, გათხრების ანგარიშში არ არის მითითებული თუ რითი იყო გადახურული ეკლესია და გამოვლინდა თუ არა გათხრების დროს ნაგებობის ძირს ჩამოცვენილი გადახურვის ნაშთები.

ეკლესიის გათხრის დროს აღმოჩნდა V-VII სს-ის ქვაჯვარების სვეტების, ბაზების, კაპიტელების და ჯვრის მკლავების ფრაგმენტები. ზოგ ბაზაზე შემორჩენილია უძველესი ქართული ასომთავრული წარწერები, ხოლო კაპიტელებზე – საერო პირთა, ცხოველების და მცენარეების რელიეფური გამოსახულებები. აღსანიშნავია, რომ ეს ფრაგმენტები ეკლესიაში გარკვეული წესრიგით ეწყო და ბევრი მათგანი უკვე თავიდანვე დამტვრეული იყო. დაწვრილებით ამ ფრაგმენტების შესახებ იხ. **[ჯაფარიძე ვ., 1970, 52; ჯაფარიძე ვ., 1982, 27, 71}**.

ასევე მთლიანად მიწით იყო დაფარული სოფ. განთიადთან გათხრილი ჩვენს მიერ განხილული საეკლესიო კომპლექსის №1 ეკლესიაც. აქ კედლები მხოლოდ 1 მ-ის სიმაღლემდე გამოვლინდა. მის დასავლეთ ნაწილში კი მხოლოდ ცოკოლია შემორჩენილი. ეს ეკლესიაც დარბაზული ყოფილა (10,6 X 6,3 მ.), შვერილი, ნახევარწრიული აბსიდით.

ადრეული ხანისათვის დამახასიათებელი, სრულყოფილად გათვლილი და გაწონასწორებული ხასიათი, ეკლესიის ნანგრევებშიც კი ნათლად ვლინდება.

ამგვარად, „მრგვალი ეკლესია“, უკანგორის „კვრინჩხიანი“ და ნაგზაურის პირველი ეკლესია, რომელთა ადრეულობა უდავოა, მიგვანიშნებს, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკვე ადრექრისტიანულ ეპოქაში შენდებოდა დახვეწილი ფორმების მქონე ქრისტიანული ტაძრები. აღსანიშნავია, რომ რომაულ-ბერძნული ტიპის ნაგებობები იმავე სახით არ განვითარებულა და დაიწყო თვითმყოფადი ფორმების შემუშავება. ამ ორ დარბაზულ ეკლესიაში, საქართველოს სხვა ადრეულ დარბაზულ ნაგებობებთან ერთად („ლამაზი გორის“ და მანხუტის ქვედა ეკლესია ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ჭერემის წმ. ბარბარეს ეკლესია გურჯაანის მუნიციპალიტეტში) შემუშავდა ის ხუროთმოძღვრული ფორმები და მხატვრული სტილისტიკა, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო დარბაზულ ეკლესიებს.

ამ ეკლესიათა პარალელურად უნდა განვიხილოთ ნაეკლესიარი, რომელიც შემორჩენილია ზურტაკეტის ზეგანზე, შავწყაროსწყალის მარცხენა ფერდობზე, ადგილ კაკლიანის მიდამოებში.

ეს დარბაზული ეკლესია (9,2 X 6,15 მ.) მხოლოდ გეგმის დონეზეა შემორჩენილი. ნახევარწრიულ შვერილ აბსიდს გარედან მხრები არ აქვს. აგებული ყოფილა კარგად გათლილი და ერთმანეთთან ზედმიწევნით მორგებული, მონაცრისფრო ბაზალტის მოზრდილი კვადრებით. ქვების ხარისხი და წყობა ანალოგიურია ინტერიერშიც. შემორჩენილია მხოლოდ პირველი რიგის ქვები.

ნაეკლესიარის საკურთხეველი ოდნავ ნალისებური ფორმისაა. მისი მხრები განიერია – 0,5 მ. ძალზე განიერია ნაგებობის კედლებიც – 1,28 მ. ინტერიერში აგდია არქიტრავის კარგად გათ-

ლილი, მასიური ქვა. შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა, რადგან მისასვლელი ეკლესიას ამ მხრიდან აქვს. აღსანიშნავია, რომ შესასვლელი ჩრდილოეთ ფასადის ცენტრშია. ეკლესიის ირგვლივ დიდი, ლოდოვანი გალავანი და საფლავის ქვებია. ჩრდ. ფასადთან დევს ერთ ქვაში გამოკვეთილი მასიური სანათლავი.

სხვა კონსტრუქციული დეტალები ნაეკლესიარზე არ შემორჩენილა, მაგრამ არსებული სტილისტური ნიშნებიც საკმარისია იმისთვის, რომ ეს ეკლესია ადრეული ხანის ნაგებობად მივიჩნიოთ. ნაგებობის განიერი კედლები, საკურთხევლის მძლავრი მხრები, იდეალურად დამუშავებული და ერთმანეთზე კარგად მორგებული კვადრები, მასიური, კარგად გათლილი არქიტრავი, ცენტრში გაჭრილი შესასვლელი, ყოველივე ეს ადრეულ ხანაზე მიუთითებს – V-VIს ზურტაკეტის ზეგანზეა აგებული ადრეული ხანის კიდევ ერთი ეკლესია. იგი სოფ. სარკინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ველიდან ამოზიდულ გორაკზეა აღმართული. ამ დარბაზულ ეკლესიას სამხრეთით გრძელი მინაშენი აქვს, რომელიც მოგვიანებით არის მასზე მიდგმული.

ეკლესია აგებულია მოშავო ბაზალტის მსხვილი, მომრგვალებული ქვებით, რომელთაც დროთა განმავლობაში მომწვანო-ჟანგისფერი მიუღიათ. შენობის კუთხეები და კონსტრუქციული დეტალები უკეთ დამუშავებული კვადრებითაა აწყობილი. ინტერიერის კედლების წყობა დიდად არ განსხვავდება ფასადებისაგან. ეკლესიის ირგვლივ დიდი ლოდებით შექმნილი მართკუთხა გალავანია. შესაძლოა, აქ წინაქრისტიანული ხანის ძეგლი არსებობდა. ამგვარი გალავნები ზურტაკეტის სხვა ეკლესიებსაც გააჩნიათ. ამ ეკლესიის ადრეულობაზე მიუთითებს სამხრეთი ერთადერთი შესასვლელის მძლავრი, ნალისებური თაღით შეკრული ტიმპანი და ახლომახლო მიმოფანტული ლავგარდანის სტილიზებულ თაღედებიანი ქვები.

ნაგებობას ეტყობა გადაკეთებათა კვალი. პილასტრთა კაპიტელების ჩათვლით მთელი ზედა ნაწილი, სხვადასხვა ქვებით აწყობილ კონქთან ერთად, გადაწყობილს ჰგავს. გვიანი უნდა იყოს ერთ ქვაში გამოკვეთილი, ჯვრებით მორთული აღმოსავლეთი სარკმელიც. მინაშენის შესასვლელთან შემორჩენილია ასომთავრული წარწერა, რომელიც იმდენადაა დაზიანებული, რომ არ იკითხება.

ეს ეკლესია ზემოთ აღწერილებზე უფრო გვიან უნდა იყოს აგებული, მაგრამ არა VI-VII სს-ის შემდგომ პერიოდში.

ერთადერთი ადრეული ეკლესია, რომელიც თავდაპირველი სახით არის შემორჩენილი, აგებულია სოფ. შინდლარში, ქალაქ დმანისის ცენტრიდან სამი კმ-ის მანძილზე. ეს ეკლესია ძალზე დაზიანდა 1970-იანი წლების ბოლოს, მიწისძვრის შედეგად. ამჟამად კი რესტავრირებულია. იგი დარბაზული ეკლესიაა, სამხრეთი თანადროული მინაშენით.

ეკლესია აგებულია თანაბარ რიგებად ნაწყობი მონაცრისფრო ბაზალტის უხეშად დამუშავებული, თანაბარი ზომის ფოროვანი ქვით. კონსტრუქციულ ნაწილებში და კარ-სარკმელთა მოჩარჩოებისათვის კი უფრო უკეთ გათლილი ქვებია გამოყენებული. შიდა კედლების წყობაც ფასადების მსგავსია. აქ გამოირჩევა თლილი ქვით გადაყვანილი ნახევარწრიული კამარა და სატრიუმფო თაღი. თაღის იმპოსტები პროფილირებულია (თარო და წრეთარგი). დარბაზი აზიდულია და დახვეწილი პროპორციებისაა. ნახევარწრიული საკურთხევლის სარკმელი შიგნიდან მართკუთხაა და ასეთივეა სამხრეთი სარკმელიც. ხოლო დასავლეთი სარკმელი თაღოვანია. დარბაზის სამხრეთი შესასვლელი მასიური არქიტრავითაა გადახურული.

ეკლესიას სამხრეთი მინაშენი მთელ სიგრძეზე გასდევს. იგი წარმოადგენს ცენტრში ორთაღედით გახსნილ სტოას, რომელიც აღმოსავლეთით მცირე მართკუთხა აბსიდით არის დასრულებული. სტოა თლილი ქვით გადაყვანილი კამარით არის გადახურული, აღმოსავლეთი პატარა ნაშვერი კი – უფრო დაბალი, ცილინდრული კამარით.

„შინდლარის“ ფასადები სადაა. მხატვრულ აღქმას განაპირობებს თანაბარი ზომის მართკუთხა ქვების კარგად მორგებული რიგები. ერთ-ერთი დეკორაციული სახეა სამხრეთ ფასადზე ამოკვეთილი ჯვრის რელიეფური გამოსახულება.

ამ ეკლესიის გეგმა და სივრცითი გადაწყვეტა უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფორმებისაა. თავისი ხუროთმოძღვრული ნიშნებით იგი ახლოს დგას VI-VII სს-ით დათარიღებულ ეკლესიებთან.

რეგიონის კიდევ რამოდენიმე დარბაზულ ეკლესიას აქვს ადრეული ხანის ნაგებობისათვის დამახასიათებელი კედლების წყობა, მაგრამ სხვა მხრივ ისინი არაფრით გამოირჩევიან. ესენია: სოფ. სალამალეიქთან მდებარე ე.წ. „გატეხილი საყდარი“ ე.წ. „იფნარის ეკლესია“ ზურტაკეტის ზეგანზე და ლუკა მახარობლის ეკლესია ლუკუმის მთაზე. ეს ნაგებობები ნახევრად დანგრეულია და ეტყობა გადაკეთებათა კვალიც.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სოფ. უკანგორის ე.წ. „ორკარიანი ეკლესია“ V-VI სს-ით არის დათარიღებული **[ჯაფარიძე ვ., 1982, 25; Чубинашвили Н., 1988, 62]**. იგი მოზრდილი, დარბაზული ნაგებობაა (14,0 X 7,40 მ.), გეგმით სწორკუთხა, მცირე სადიაკვნეთი მის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. თავის დროზე სამხრეთ და დასავლეთ მხრიდან გარშემოსავლელი უვლიდა. ამჟამად მხოლოდ მისი საფუძვლების ფრაგმენტებია შემორჩენილი. როგორც ჩანს, სადიაკვნე და სამხრეთ გარშემოსავლელი ეკლესიასთან ერთად ორფერდა სახურავის ქვეშ იყო მოქცეული.

ეკლესია აგებულია მოყვითალო ფერის, სწორკუთხა, კარგად გათლილი ქვიშაქვით. ინტერიერში კედლების წყობა უხეშად გათლილი, მომრგვალებული ბაზალტის ქვებით არის აყვანილი, ხოლო კონსტრუქციული დეტალებისათვის კარგად დამუშავებული ქვებია ნახმარი.

წაგრძელებულ დარბაზს შუაზე ყოფს ძლიერად წამოწეული, ერთსაფეხურიანი პილასტრები. ღრმა საკურთხევლის მხრები განიერია. სადიაკვნეში კარი გაჭრილია აბსიდის მხრიდან. დარბაზში ორი შესასვლელია – სამხრეთიდან და დასავლეთიდან. გარშემოსავლელი კი, ალბათ, სამხრეთი მხრიდან თაღებით უნდა ყოფილიყო გახსნილი.

დეკორაციულად მორთულია მხოლოდ აბსიდის სამხ. კუთხის იმპოსტი, რომელზეც გამოსახულია ურთიერთგადამკვეთი წრეები. უკანგორის ეკლესიის ადრეული ხანის ნიშნებია: აღმოსავლეთი თანაბარწირთხლებიანი სარკმელი, სქელი კედლები და აბსიდის განიერი მხრები. ამასთან აქვს ისეთი ნიშნებიც, რომლებიც აშორებს მას ადრეულ ხანას – შიდა სივრცის პროპორციები, ძლიერად წინ წამოწვდილი პილასტრები, სქელი თაღები. V ს-ის ნაგებობებისაგან მას აშორებს ასევე კარგად განვითარებული გარშემოსავლელი ორი მხრიდან. ამ გარემოებიდან გამომდინარე არსებობს მოსაზრება, რომ ეს ეკლესია, შესაძლოა, VII ს-ის II ნახევრის ან VIII ს-ის დასაწყისის ნაგებობა იყოს **[მეფისაშვილი რ.., ხელნაწერი]**.

აღსანიშნავია უკანგორის ეკლესიაში და მის კედლებთან აღმოჩენილი ქვაჯვარების ფრაგმენტები, მათი ბაზისები ასომთავრული წარწერებით და ადამიანთა გამოსახულებიანი ბარელიეფებიანი ქვების ფრაგმენტები. ერთ-ერთ ბაზაზე გამოსახულია თათვარაზის ცნობილი ექვსსტრიქონიანი წარწერა, რომელიც V ს-ით არის დათარიღებული **[მუსხელიშვილი ლ., 1941, 9; ჯაფარიძე ვ., 1982, 58]**.

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკვე ადრექრისტიანულ ხანაში შენდებოდა ეკლესიები, რომლებიც შეიცავენ ზოგადად ქართული ხუროთმოძღვრების ადრეული ხანის, ამ ტიპის ნაგებობების თითქმის ყველა სტილისტურ ნიშანს.

დასკვნა

ამგვარად, შემორჩენილი ფაქტობრივი მასალით, ისტორიული კონტექსტით და სხვა გარემოებებით შესაძლებელია კომპლექსის ფუნქციის, მისი დაარსების, განვითარების და ნგრევის პერიოდის წარმოდგენა, თუმცა ნივთიერი და წერილობითი წყაროების სიმცირის გამო ამ დასკვნებს ლოგიკური ვარაუდის სახე უფრო ექნება ვიდრე უცილობელი მტკიცებულებისა.

თავდაპირველად აგებული ჩანს პირველი ეკლესია და დაახლოებით იმავე დროისა უნდა იყოს მეორე ეკლესია, რადგან აღმოსავლეთისაკენ დამხრობის გრადუსით, წყობის ხასიათით და მშენებლობის ხარისხით იგი პირველი ეკლესიის მსგავსია. შესაძლოა იგი ცალკე მდგომი სანათლავიც კი ყოფილიყო, როგორც ეს გვხვდება ადრექრისტიანული ხანის საწყისი ეტაპის საეკლესიო კომპლექსებში [**ბახტაძე ნ., 2010, 58, 59**]. **არ არის გამორიცხული, რომ პირველი ეკლესია სწორედ ადრე**ქრისტიანული ხანის საწყის ეტაპზე იყოს აგებული – მშენებლობის თარიღი შეგვიძლია V-VIსს დასაწყისით შემოვფარგლოთ. VI ს-ის მეორე ნახევრიდან არქიტექტურული ესთეტიკა უკვე განსხვავებულია. თარიღის უფრო დაკონკრეტება კი ფაქტობრივი მასალის ნაკლებობის გამო ძნელდება. პირველი ორი ეკლესიის დაზიანების ან დანგრევის შემდეგ თანადროულად ჩანს აგებული მესამე და მეოთხე ეკლესიები. მათი აგების თარიღის დასადგენადაც ცოტა ფაქტობრივი მასალა მოგვეპოვება, თუმცა გარკვეული გარემოებები მსჯელობის საშუალებას გვაძლევს.

ამ ეკლესიების და მთელი კომპლექსის ნგრევის ზედა ზღვარი VIII–IX სს. უნდა იყოს, რადგან გათხრებისას გარდამავალ ხანაზე გვიანი არტეფაქტები არ არის მოძიებული, მაშინ როდესაც აქ გამოვლინდა ადრე შუა საუკუნეების ლეგა-მოჩალისფრო, ჭდეულ ორნამენტიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ნახ. 9; ტაბ. 8).

მესამე და მეოთხე ეკლესიები ერთმანეთის მსგავსია, თანადროული უნდა იყოს და შესაძლოა ერთი და იგივე ოსტატის მიერ არის აგებული. სტრატიგრაფიულად მესამე ეკლესია მეორე ეკლესიის საფუძველზე დგას და მისი შემდეგდროინდელობა უეჭველია. თვით მესამე და მეოთხე ეკლესიების გეგმების თავისებურება და კედლების წყობის ხასიათი მათი გარდამავალი ხანის დროინდელობაზე მიგვითითებს. უფრო ვიხრებით იმ აზრისკენ, რომ შესაძლოა ეს ეკლესიები გარდამავალი ხანის საწყისი ეტაპისა იყოს VII-VIII სს-ის მიჯნა. ამასთან ანგარიშგასაწევია, რომ გამოვლენილი რეალიებით ეს კომპლექსი შესაძლოა მონასტერი ყოფილიყო, რაზეც მიუთითებს გალავანი და საცხოვრებელი თუ სამეურნეო სათავსოების ნაშთები. მონასტრის აქ დაარსება და არსებობა VI–VIII სს. დასაწყისის ფარგლებში შესაძლებელი ჩანს, VIII საუკუნის 30-იან წლებიდან კი თბილისის საამიროს შექმნის და ქვემო ქართლში არაბთა გავლენის გაძლიერების პირობებში ნაკლებად მოსალოდნელია. შესაძლოც კი არის, რომ ეკლესიების ნგრევა მურვან ყრუს 730 წლების ლაშქრობის დროს მომხდარიყო ან 853 წელს ბუღა თურქის ლაშქრობისას.

პირველ ეკლესიაზე სამხრეთი მინაშენის გაჩენა მესამე და მეოთხე ეკლესიის აგებაზე ადრე უნდა მომხდარიყო, რადგან მესამე და მეოთხე ეკლესიის არქიტექტურა დაბალი ხარისხისაა და ნაკლები მოსალოდნელია მინაშენის თაღედი იმ დროს მოეწყოთ. თაღედის არსებობის დამადასტურებელი კი არის მინაშენის სამხრეთ ნაწილში მრგვალი სვეტის ბაზისის (in situ) გამოვლენა.

ამგვარად, ჩვენი მოსაზრებით პირველი ეკლესია ადრექრისტიანული ეპოქის საწყის ეტაპზე უნდა იყოს აგებული, შესაძლოა V ს-შიც კი და მისი მშენებლობის ზედა ზღვარი VI ს-ის I ნახევარზე გვიანი არ უნდა იყოს. ამ ნაგებობის პირველი ნგრევა, რისი საბუთიც არის იატაკის ქვედა პირველ ფენაზე გამოვლენილი დამწვარი და დეფორმირებული ბრტყელი კრამიტი და ლურსმნები, შესაძლოა მომხდარიყო ან ვახტანგ გორგასლის მეფობის ბოლო პერიოდში, ქვემო ქართლში გამართუ-

ლი ომების დროს (V-VI სს-ის მიჯნა), ან ჰერაკლე კეისრის ლაშქრობისას (627-628წწ) კონფესიური დაპირისპირების პროცესში.

მეორე ეკლესია პირველი ეკლესიის თანადროული თუ არა, არც უფრო მოგვიანო ხანისა არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში ამ ორი ეკლესიის თანადროულად არსებობა შესაძლებელი ჩანს გარკვეული დროის მანძილზე. ამასთან მეორე ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდან არ ფიქსირდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ მას შესასვლელი ჩრდილოეთიდან ჰქონდა, რაც ამ შემთხვევაში აადვილებდა ფუნქციურ კავშირს იქვე ჩრდილოეთით მდებარე პირველ ეკლესიასთან.

